პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კანონ. (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. [illegible] ტელეფ. 13—80 [illegible] 6—48.

დღიური

— საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები ლიტვაში არსებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ.
— 2 მარტს გაიხსნება გერმანიის კომპარტიის ყრილობა.
— ლიტვის მთავრობამ შეაჩერა მემელიდან გერმანელთა გადასახლება.
— ეგვიპტეში სიკვდილით დასაჯეს ინგლისელი გენერალ ლი-სტაკის მკვლელი.
— კუნძულ სუმატრაზე მოხდა შეტაკება ადგილობრივ მცხოვრებთა და ჰოლანდიის ჯარებს შორის.

ოთხშაბათი, 5 იანვარი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 3 (1758)

პარტია და საბჭოთა არჩევნები

საბჭოთა არჩევნების მორიგი კამპანია, როგორც ყოველთვის, ეხლაც განსაკუთრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებს პარტიის ყოველ ცალკე ორგანიზაციას. ჩვენ უკვე საკმაო გამოცდილება გვაქვს იმ მხრივ, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შესძლონ წარსულ საარჩევნო კამპანიათა დროს დაშვებულ ნაკლულევანებათა თავიდან აცილება და პარტიის ხაზის მეტი სისწორით და სიმტკიცით გატარება.

საბჭოთა ყველა არჩევნებისაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი არჩევნები, როცა პარტია ატარებდა საარჩევნო კამპანიას გაშლილ საბჭოთა დემოკრატიის საფუძვლებზე და, როცა წინანდელთან შედარებით მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა ხმის მიცემაში ამ არჩევნების დროს ჩვენ დავინახეთ, რომ როგორც საზოგადოთ მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენშიაც ამომრჩეველთა პოლიტიკური აქტივობა დიდათ გაიზარდა და ეს ზრდა უთუოდ შეეხო მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს.

ქალაქებში, სადაც პროლეტარული ხელმძღვანელობა საბჭოთა მუშაობაში განსაკუთრებით მკვეთრი და მტკიცეა, შეძლებულ ელემენტების აქტივობას იმდენი ნიადაგი არ ქონია. სამაგიეროთ სხვა სურათი იყო სოფლად, სადაც ზოგჯერ კულაკობა თავის გავლენის ქვეშ აყენებდა საშუალო გლეხკაცობას და თვით იგდებდა ხელში არჩევნების ინიციატივას. ეს სხვათა შორის, იმიტომაც ხდებოდა, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა ფართე საბჭოთა დემოკრატია ზოგან თავისებურათ გაიგეს. აქტიური ხელმძღვანელობის ნაცვლად ისინი ჩვეულებრივ მოწმის როლს თამაშობდენ არჩევნებში.

კულაკობის აქტივობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო მთელ რიგ მაზრებში, სადაც სოფლის მოსახლეობის ეს კატეგორია შედარებით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხეში. გორის, თბილისის, თელავის და სიღნაღის მაზრებში იყო შემთხვევა, როცა კულაკები არჩევნებში გამარჯვების მიზნით წინასწარ ორგანიზაციულ სამზადისსაც აწარმოებდენ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ელემენტები წელსაც შეეცდებიან შარშანდელი ფანდების განმეორებას. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები უნდა აქედანვე შეუდგენ სამზადისს, რათა საბჭოთა ახალ არჩევნებში გამარჯვება ღარიბ და საშუალო გლეხკაცობას არგუნონ. აქ დიდი წინდახედული და მოქნილი მუშაობაა საჭირო, რომ შეძლებულ ელემენტებთან ბრძოლის დროს არ იქნას დარღვეული ფართო საბჭოთა დემოკრატია.

ამ მიზნით ჩვენს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ. რომ არჩევნებში ყოვლად დაუშვებელია ბრძანებლობა და რეპრესიული ზეგავლენა. სოფლის შეძლებულ ელემენტების აქტივობას პარტიამ ადგილობრივად უნდა დაუპირისპიროს ღარიბი და საშუალო გლეხკაცობის მტკიცე ბლოკი.

როგორ უნდა შეიქმნას ეს ბლოკი?

იქ, სადაც დღემდე ღარიბ გლეხთა შორის მუშაობას ადგილობრივი ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას აქცევდა, ადვილია წინასწარ საარჩევნო სამზადისის ჩატარება. მაგრამ არის ადგილები, სადაც ეს მუშაობა დღემდი ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ საბჭოთა არჩევნები სხვათა შორის უნდა გამოყენებულ იქნას ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის მუშაობის გაჩაღების დასაწყისათ.

ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა, რომ არჩევნების დროს სრული ერთსულოვნება განმტკიცდეს ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციაში. წარსული არჩევნების მაგალითებიდან ვიცით, რომ ზოგჯერ ეს ერთსულოვნება ირღვეოდა. საარჩევნო კრებებზე კომკავშირელები და კომუნისტებიც კი სათანადო სიმტკიცით ვერ იცავდენ თავისავე ორგანიზაციის დადგენილებას.

ამასთან ერთად ჩვენ, სოფლად მრავალი შესაძლებლობანი მოგვეპოვება ღარიბ გლეხობასთან კავშირის გასაბმელად და მათ დასარაზმავათ საარჩევნო კამპანიაში. ესაა გლეხკომები, ქალთა სადელეგატო კრებები, კოოპერაცია, პროფკავშირი და დაბოლოს თვით საბჭო. საჭიროა ამ ორგანიზაციებიდან გამოიკვეთოს ღარიბ გლეხთა ჯგუფები, რომლის გარშემოც უნდა გაერთიანდეს ორგანიზაციულად დაუფორმავი ღარიბი გლეხობა.

საარჩევნო კამპანიაში ეს გაერთიანება მოხდება ორ მთავარ საკითხის ირგვლივ. პირველია საბჭოს მუშაობის საღი და მიუდგომელი კრიტიკა, მეორე,— ახალ კანდიდატების შერჩევა. სრულიადაც საჭირო არაა, რომ ჩვენ ხელი დავაფაროთ საბჭოს ნაკლულევანებებს, თუნდაც საბჭოში კომუნისტები მუშაობდენ, პირიქით, კრიტიკის ინიციატივა ღარიბ გლეხების და პარტიის ხელში უნდა დარჩეს. რომ მან მახინჯი სახე არ მიიღოს.

ამასთან ერთად, რომ პარტუჯრედს არ შეუხვდეს თავისი კანდიდატების ამომრჩევლებისადმი იძულებით თავზე მოხვევა, საჭიროა უჯრედის კრებაზე შეფასებულ იქნას ასარჩევი პირები და გამოიყოს ისეთები, რომელთაც ღარიბ და საშუალო გლეხების ნდობა აქვს მოხვეჭილი. კანდიდატთა ეს სია უნდა გაირჩეს უჯრედის გაფართოებულ კრებაზე უპარტიო აქტივთან ერთად და შემდეგ უნდა გადატანილ იქნას ღარიბ გლეხთა საერთო კრებაზე.

ამავე დროს ადგილობრივ პარტორგანიზაციამ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს, რომ არ მოხდეს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა დაპირისპირება. ამისათვის საჭიროა. რომ როგორც საბჭოს მოქმედების შეფასების, ისე ახალ კანდიდატების შერჩევის დროს გლეხთა ეს ფენები ერთმანეთთან შეთანხმებით გამოდიოდენ.

სამზადისი საბჭოთა ახალ არჩევნებისათვის უკვე ბევრგან დაწყებული პარტორგანიზაციების მთავარ საზრუნავ საგნად უახლოეს პერიოდის განმავლობაში საარჩევნო კამპანია წარმოადგენს. რომ ეს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე წარმატებით იქნას შესრულებული, საჭიროა ყველა ზომების მიღება შეძლებულ ელემენტების ორგანიზაციულ და იდეურ გარიყვისათვის და ღარიბ და საშუალო გლეხების პარტიულ ორგანიზაციების ირგვლივ მჭიდროთ შემოკრებისათვის.

გერმანიის პოლიტიკური კრიზისი

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

გერმანიაში უკანასკნელ წლებში დამყარდა რაღაც ჩვეულების მსგავსი, რომლის მიხედვით საიმპერიო მთავრობა შობის არდადეგებისათვის იღებს უნდობლობის ვოტუმს და გადადგომას აცხადებს. ასე მოხდა 1925 წელში, როცა გადადგა ლიუტერის კაბინეტი, ასე მოხდა ეხლაც: გადადგა მარქსის კაბინეტი. ახალი მთავრობის შედგენა იანვრის მეორე ნახევრისათვის გადაიდო. ალბად იმის იმედით, რომ შობის და ახალი წლის უქმეები დამამშვიდებელ გავლენას იქონიებს აღრეულ გონებაზე. მართლაც, ის, რაც მოხდა უშუალოდ მარქსის კაბინეტის გადადგომის წინ, უაღრესი პარტიული კინკლაობის ხასიათს ატარებდა. ეს კინკლაობა მით უფრო გამწვავებული იყო. რამდენადაც მასში ნაკლებ როლს თამაშობდენ პრინციპიალური მოტივები.

ვინაიდან რეიხსტაგის ყველა პარტიები, რომელთაც კომუნისტების გამონაკლისით, ხმა მისცეს უნდობლობის ვოტუმს, არ არიან და არც შეიძლება იყვენ გადაყენებული მთავრობის პრინციპიალური მოწინააღმდეგენი. ეს უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ მარქსის კაბინეტს საერთოდ შეეძლო არსებობა მხოლოდ ნაციონალისტებისა და სოციალ-დემოკრატების წყალობით. წარსული წლის შემოდგომაზე მთავრობამ მოახდინა ცდა, რომ სოციალ-დემოკრატების მუდმივი მხარის დაჭერა უზრუნველეყო; ამასთანავე დაპირდა მას წინასწარ შეთანხმებოდა კანონპროექტების ყველა მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს იყო ეგრედ-წოდებული „ჩუმი კოალიცია“, ფაქტიურ შეუღლების მაგვარი რამ, რომლიდანაც სოციალ-დემოკრატიას რეგისტრაცია-ქმნილ ქორწინებაზე თანდათანობითი გადასვლის იმედი ქონდა, ე. ი. მთავრობაში შესვლის იმედი ქონდა ეგრედ-წოდებულ „დიდი კოალიციის“ საფუძველზე.

სოციალ-დემოკრატი პოლიტიკანები თავის უმთავრეს ანგარიშებს ამყარებდენ სწორედ იმაზე, რომ მათ გარეშე, როგორც „ლოკარნოს და ტუარის“ საქმეების საუკეთესო სპეცების გარეშე, შტრეზემანისათვის ძნელი იქნება თავისი საგარეო პოლიტიკის გატარება.

და პირიქით, მთავრობის აშკარა გადახრა ნაციონალისტების მხარეზე სოციალ-დემოკრატების წარმოდგენაში უკავშირდებოდა აუცილებელ საგარეო პოლიტიკურ გართულებებს.

მაგრამ სოციალ-დემოკრატების იმედები მოვლენათა ასე მშვიდობიანად განვითარებაზე, არ გამართლდა. მძიმე ინდუსტრიამ, რომელიც ერთგვარად აწვდის ფინანსებს როგორც სახალხო პარტიის მემარჯვენე ფრთას, ისე ნაციონალისტების პარტიას, არ მოისურვა, რომ უკანასკნელი გარიყული ყოფილიყო მთავრობიდან. დიდ კოალიციას დაუპირდაპირეს ბურჟუაზიული ბლოკის იდეა.

სახალხო პარტიამ, მისი საპარლამენტო ლიდერის შოლცის მეთაურობით იკისრა ამ ხაზის გატარება. ჩუმმა კოალიციამ სოციალ-დემოკრატებთან სრული მარცხი განიცადა. მთავრობაში შემავალ პარტიებს შორის წარმოიშვა უთანხმოება: სახალხო პარტია მიიწევდა ნაციონალისტებისაკენ, ცენტრის და ნაწილობრივ დემოკრატების ორიენტაცია კი იყო დიდ კოალიციაზე. მარქსის კაბინეტი ვერ გამოდგა უნარიანი ორთავე მიმართულებაში და რეიხსტაგის წინაშე უნდა დაესვა თავისი ბედ-იღბალის გადაწყვეტის საკითხი.

სოციალ-დემოკრატიამ, გაცხარებულმა იმით, რომ მისი „მცირე პრეტენზიები“ დარჩა დაუკმაყოფილებელი, გადასწყვიტა ბურჟუაზიული პარტიებისათვის მოეწყო პატარა შინაური სკანდალი და მთელი ქვეყნისა და მუშათა კლასის წინაშე გამოსულიყო, ხუმრობა ნუ გგონიათ, ოპოზიციონური პარტიის როლში. სოციალ-დემოკრატი ბელადები გრძნობდენ, რომ მუშათა მასებისა და მათი პარტიის უბრალო წევრთა აღშფოთება ბურჟუაზიასთან კოალიციის შექმნის წინააღმდეგ იმდენად ძლიერია, რომ ამ პოლიტიკის გაგრძელება მასების სულისკვეთებისათვის ანგარიშის გაუწევლად სახიფათო ხდებოდა. სოციალ-დემოკრატი ბელადები სცდილობდენ, რომ მკვირალა ოპოზიციონური სიტყვებით და ულტიმატიურ ჟესტებით დაეფარათ კოალიციონურ მთავრობაში შესვლის მხურვალე სურვილი. გამოცდილმა პოლიტიკურმა შარლატანებმა გამოსვლის ისეთი ხერხი აირჩიეს, რომელმაც საშუალება მისცა მათ, თავისი ვითომდა ბრძოლა რეაქციასთან დაეკავშირებიათ ანტანტის გულის მოგებასთან და [illegible] გალაშქრებებთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ეხლა 1926 წელში შეიდემანმა, მიულერმა და სხვებმა განსაცვიფრებელი ახალი რამ აღმოაჩინეს: რომ გერმანიის რეიხსვერი, რომლის მოწყობაშიაც სოციალ-დემოკრატებს ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა, სავსეა მონარქისტი ოფიცრებით, მას ფაშისტურ ორგანიზაციებთან აქვს კავშირი და საუკეთესო იარაღს წარმოადგენს მონარქიული რესტავრაციისათვის. „სისხლიანი ძაღლის“ ნოსკეს თანამებრძოლს ფილიპე შეიდემანს, რომლის ხელები გასვრილია ბერლინელი მუშების სისხლით, რომლებსაც 1918 წლის იანვარში იარაღს ხდიდენ თეთრგვარდიელი ბანდები თვით ამავე ნოსკეს მეთაურობით, იმდენი უტიფრობა შესწევს, რომ აცხადებს: „რომ მას რეიხსვერის მოწყობის საშუალება ქონოდა, მაშინ ეს უკანასკნელი სულ სხვაგვარ სახეს მიიღებდა ეხლა“. ყოველივე ეს, ცხადია, მხოლოდ სასაცილოა, რომ ასეთი უტიფრობას არ წარმოადგენდეს. მაგრამ ცხადია, რომ შეიდემანის გამოსვლის მთავარი მიზანი იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ქვეყნისათვის ეუწყებია დემოკრატიული რეიხსვერის აშენების განუხორციელებელი გეგმები. უმთავრესი რამ მის განცხადებაში იყო ლეგენდა საბჭოთა გაზის ყუმბარის“, გერმანიის რეიხსვერის საბჭოთა მთავრობასთან კავშირის შესახებ, ერთი სიტყვით „მხილებათა“ მთელი ის მასალა, რომელიც ორი კვირის წინედ აცნობა ვილაცამ „მანჩესტერ გარდიენ“-ის ბერლინელ კორესპონდენტს.

დაიწყეს რა „სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა“ შავ რეიხსვერის წინააღმდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გაიძვერები შეეცადენ უზრუნველეყოთ მხარის დაჭერა და სიმპატია მსოფლიოს უძლიერესი კონტრ-დაზვერვის—ინგლისის კონტრ-დაზვერვისა, რომელსაც შეუძლია იმ პირთა სამსახურის დაფასება. რომელნიც ყოველგვარ სიყალბეს თხზავენ და ავრცელებენ.

მარქსის კაბინეტი დაეცა იმისათვის, რომ ნაციონალისტებმა, სოციალ-დემოკრატების მსგავსად გადასწყვიტეს გამოეცადათ თავიანთი ძალები და ზეგავლენა მოეხდინათ საშუალო პარტიებზე. მაგრამ ყველა ამ პარტიებს, რომელნიც სცდილობენ თავის მხარეზე გადასწიონ პარლამენტის საქანელა, ყველაზე უფრო ეშინიათ იმისა, რომ უშუალოდ მიმართონ ამომრჩევლებს. ამომრჩეველთა მასების ეს შიში „აერთიანებს“ რეიხსტაგის ყველა ფრაქციებს—დაწყებულს ნაციონალისტებიდან და სოციალ-დემოკრატებით გათავებულს. ვინაიდან მშრომელთა მასები, რომელნიც შევიწროებული არიან გადასახადებით და მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკით, აღშფოთებული არიან ხაზინის ძარცვით, რომელნიც თავადებისათვის ანაზღაურების მიცემის სახით ტარდება, სულ უფრო და უფრო საგრძნობლად მემარცხენდებიან. მუშათა კლასი, რომელმაც თავის მხრეზე გადაიტანა კაპიტალისტური რაციონალიზაცია, რაიც დაკავშირებულია უმუშევრობის ზრდასთან, ზურგს აქცევს თავის სოციალ-დემოკრატიულ ბელადებს.

ყოფილმა კანცლერმა ვირტმა თავის სიტყვაში ტყუილად კი არ მოიგონა შიშით 3 მილ. გერმანელი, რომელთაც მტრული რევოლიუციონური პოზიცია უჭირავთ მთავრობის მიმართ.

გაზეთები გამოსთქვამენ თავიანთ აზრს კოალიციის შესაძლებელ კომბინაციათა და პერსონალურ კანდიდატების შესახებ. მარცხნივ თუ მარჯვნივ გადაიხრება საპარლამენტო საქანელა, თუ თავის ადგილზე დარჩება, ყოველივე ეს იქნება საკითხის დროებითი გადაწყვეტა. ჯერ-ჯერობით კი ფაქტი ფაქტად რჩება: გერმანიის უსუსური პარლამენტარიზმს არ ძალუძს მტკიცე ხანგრძლივი პოლიტიკური წონასწორობის შექმნა.

მოსკოვი, 4 იანვარი.

ოსმალეთის მთავრობა ერთა ლიგის წინააღმდეგ

მცირე ერებს ერთა ლიგაში წაერთვა ხმის ამოღების უფლება

ავსტრიის სოციალ-დემოკრატები იარაღით ეხმარებოდენ ცანკოვის მთავრობას

ინგლისის და გერმანიის კაპიტალს შორის დაიწყო ბრძოლა ქვა-ნახშირის ბაზრების დასაპყრობად

ოსმალეთი და ერთა ლიგა

ანგორა, 3 იანვ. ოსმალეთის ოფიციოზი „ეკო დე ტიურკი“ სწერს:

„ოსმალეთის პოზიცია ერთა ლიგის მიმართ სავსებით გარკვეულია. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვეწინააღმდეგებით ერთა ლიგის დიად ჰუმანიტარულ იდეას, ერთა ლიგის, რომელსაც ერთნაირი დამოკიდებულება ექნება ყველა ერებთან უფლებრივ თვალსაზრისით. ჩვენი თავდაჭერილი დამოკიდებულება არსებულ ერთა ლიგის მიმართ გამოწვეულია ამ დაწესებულების სტრუქტურით და, უმთავრესად, მისი მოქმედებით, მის მიერ აქამდის მიღებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა გამოტანილ იქნა მასში შემავალ სამ თუ ოთხ დიდ სახელმწიფოების მიერ. ერთა ლიგაში შემავალი პატარა სახელმწიფოები მოკლებული არიან სიტყვის უფლებას. ერთა ლიგა, რომელშიაც არ შედიან შეერთებული შტატები, რუსეთი და ოსმალეთი, არ არის სრული და არ გამოდგება იმ მიზნების განსახორციელებლად, რომელთათვის ის დაარსებულ იქნა. ეჭვს გარეშეა, რომ ჟენევის ორგანიზაცია მისი ეხლანდელი სტრუქტურით ვერ შესძლებს შეაიარაღების შეზღუდვას და მშვიდობიანობის და უშიშროების უზრუნველყოფას. რაშიაც დიდათ დაინტერესებული არიან განათლებული ერები. ეს ჭეშმარიტება აშკარაა ლიგის დამცველთათვის, მაგრამ არის სახელმწიფოები, როგორც, მაგალითად, ინგლისი, რომლებიც დიდ სარგებლობას პოულობენ ჟენევის ორგანიზაციის არსებობიდან. ერთა ლიგის შექმნა იყო ცდა, რომელიც საუკეთესო გაკვეთილათ გამოდგება მთელი ქვეყნის ხალხისათვის. ყველა ისინი, ვისაც ჰქონდა პაციფისტურ ორგანიზაციების და „საერთაშორისო სამართლიანობის“ ჰუმანიტარულ იდეების იმედი, ამ ცდის შემდეგ დარწმუნდენ, რომ მათ უნდა იქონიონ მხოლოდ საკუთარ ძალების, საშუალებების და რესურსების იმედი. აი ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ“.

მენშევიკების კავშირი ცანკოვთან

ვენა, 3 იანვარი. ყოველკვირეულმა ორგანომ „ტრიბუნალ“-მა, რომელსაც სცემს სოციალ-დემოკრატებთან დაახლოებულ გაზეთ „აბენდ“-ის ყოფილი რედაქტორი ვეისი, უკანასკნელ დროს სისტემატიური კამპანია გახსნა ავსტრიის სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ. „ტრიბუნალმა“ გამოაქვეყნა მთელი რიგი გამამამხილებელი საბუთები, რომლებიდანაც სჩანს, რომ ვენის არსენალი, რომლის სათავეში დგანან სოც.-დემოკრატები, იარაღს აწვდიდა ბულგარეთის რეაქციონურ მთავრობას, დაწყებული 1923 წლიდან (როცა ბულგარეთში ცანკოვის მეთაურობით მოხდა კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალება) 1925 წლის ბოლომდე. იარაღი იგზავნებოდა საიდუმლოთ სხვადასხვა საქონლის სახით. არსენალმა ცანკოვის მთავრობას მიაწოდა 20.000 ვინტოვკა.

„ტრიბუნალის“ სიტყვით, ამ ამბებს გაცნობილი იყვენ პარტიის გამოჩენილი წევრები, მათ რიცხვში სოც.-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრი დეპუტატი დეიჩი. (ადს).

ბრძოლა ქვანახშირისათვის

ბერლინი, 3 იანვარი. უკვე დაიწყო ინგლის - გერმანიის სანახშირო ომი, რომლის შესახებ სწერდა ინგლისის პრესა სამთამადნო მუშების გაფიცვის დამთავრების შემდეგ. აქამდის ბრძოლა სწარმოებს საფრანგეთის და იტალიის ბაზრების დასაპყრობათ. გერმანიის მრეწველობის ერთგვარ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს ის. რომ მან საფრანგეთში ერთ-ერთ მსხვილ წარმოებასთან დასდო ხელშეკრულება ხანგრძლივი ვადით. მიუხედავათ იმისა, რომ ამაში მას დიდ წინააღმდეგობას უწევდენ ინგლისის ფირმები. (ადს).

ინდოეთის გაყვლეფა

ინდოეთის ხარჯზე

ლონდონი, 3 იანვარი. კალკუტაში ინდოეთის სავაჭრო - სამრეწველო კონგრესზე სიტყვა წარმოსთქვა კონგრესის თავმჯდომარემ ბომბეელმა მრეწველმა პეტიტმა, რომელმაც **სასტიკათ დაგმო ინდოეთის მთავრობის** (ლაპარაკია ინგლის - ინდოეთის მთავრობაზე) **სამრეწველო პოლიტიკა**. პეტიტის სიტყვით, **ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია მისცეს მოგება ინგლისს ინდოეთის ხარჯზე**. პეტიტმა იმედი გამოსთქვა, რომ ინდოეთის მომავალი საკანონმდებლო კრება გამოიტანს თავის განაჩენს ინდოეთის მთავრობის ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ და განაჩენს სისრულეში მოიყვანს მეფის მოადგილე ინდოეთში. (ადს).

მუსლიმანთა მოთხოვნილებები

ლონდონი, 3 იანვ. რეიტერის სააგენტო დელიდან (ინდოეთი) იუწყება:

„მუსლიმანთა ლიგის ყოველწლიურმა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს დაუყოვნებლივ დანიშნულ იქნეს მეფის კომისია ინდოეთის კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლათ. რეზოლიუცია მოითხოვს, რათა ცალკე პროვინციის საკანონმდებლო კრებები შედგენილ იქნეს უმცირესობათა პროპორციულ და ნამდვილ წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით“. (ადს).

საახალწლო ტრაბახობა

ბერლინი, 3 იანვარი. გერმანიის ბურჟუაზიული გაზეთები საახალწლო წერილებში ერთსულოვნად აღნიშნავენ გერმანიის საერთაშორისო გავლენის ზრდას წარსული წლის განმავლობაში და აცხადებენ, რომ გერმანიის ერთა ლიგაში შესვლას დიდი მნიშვნელობა აქვს.

შტრეზემანის ორგანო „ტემლიხე რუნდშაუ“ აღნიშნავს, რომ საკითხი ლოკარნოს პოლიტიკის შესახებ უკვე აღარ არის სადაო, რადგან თვით ნაციონალისტებიც კი მზად არიან ითანამშრომლონ მთავრობასთან ფაქტიურად შექმნილ მდგომარეობის საფუძველზე.

„ახალი წელი—სწერს გაზეთი—გამორკვევს—საფრანგეთი საბოლოოდ დადგება თუ არა გერმანიასთან დაახლოების გზაზე. ლოკარნოს პოლიტიკა შეუთავსებელია რეინის ოლქის ოკუპაციის დატოვებასთან. რეინის ოლქი 1927 წელს უნდა გახდეს თავისუფალი. თუ საფრანგეთი დაიცავს თავისი მილიტარისტების თვალსაზრისს, მაშინ 1927 წელში სერიოზული დაბრკოლებები გადაეღობება წინ მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეს“.

მემარცხენე დემოკრატიული „ფრანკფურტ ცაიტუნგ“ აცხადებს, რომ გერმანია საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მიზანი იყო „გაექარწყლებინა საბჭოთა კავშირის შიში, რომელიც გამოწვეული იყო გერმანიის ერთა ლიგაში შესვლასთან დაკავშირებით და შესაძლებლობა მიეცა გერმანიისათვის, რომ ის შორს ყოფილიყო იმ არეულობისაგან, რომელთაც ადგილი აქვთ მის აღმოსავლეთ საზღვრების იქით. ამ ხელშეკრულებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაედო ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გერმანიის და საბჭოთა კავშირს შორის მდებარე ტერიტორიაზე არეულობის მრავალ კერების არსებობა, ასეთი ხიდის აღშენებლობას საშიშარ ნაბიჯათ გახდიდა“.

„გერმანიამ—სწერს შემდეგ გაზეთი—თვით უნდა მიიღოს ზომები. რათა ნეიტრალური გახდეს საშიშროებანი. რომელთაც ადგილი აქვთ მის ინტერესების სფეროში მყოფ ზონებში. რაც შეეხება დანარჩენ ადგილებს, გერმანიას შეუძლია მხოლოდ ერთა ლიგის და მთელი ქვეყნის ყურადღება მიაქციოს რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე მშვიდობიანობის განმტკიცების აუცილებლობას. გერმანია დაინტერესებულია პირველ რიგში მშვიდობიანი ურთიერთობა იქონიოს პოლონეთთან. რათა შემდეგ უფრო გაუმჯობესებულ ატმოსფერაში მას შესაძლებლობა ექნეს დამშვიდებით აწარმოოს პოლონეთთან მოლაპარაკება სანაპირო საზღვრების საკითხების შესახებ“. (ადს).

მინისტრების თათბირი

რეველი, 3 იანვარი. ესტონეთის გაზეთები იტყობინებიან რეველში ფინეთის და ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრების ჩასვლის შესახებ და აცხადებენ, რომ ესტონეთის, ლატვიის და ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირზე მთავარი ყურადღება მიექცევა საკითხს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების შესახებ.

გაზეთების ცნობით, ესტონეთი მზადაა დასდოს ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამასვე იზამს ფინეთიც.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ესტონეთის მთავრობამ გადასწყვიტა მოითხოვოს, რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს სამედიატორო სასამართლოს პრინციპი. (ადს).

მათრახის რეჟიმი

ბრძოლა სუმატრაზე

ლონდონი, 3 იანვარი. პადანგიდან (სუმატრა) მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ჰოლანდიის ჯარებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის სწარმოებს ბრძოლა. მოკლულია ერთი ჰოლანდიელი ოფიცერი და დაჭრილია 2 ჯარისკაცი. (ადს).

ფიზიკური დასჯა

ამსტერდამი, 3 იანვარი. **ჰოლანდიის პარლამენტმა უარყო სოციალ - დემოკრატების მიერ შეტანილი წინადადება ინდონეზიაში ფიზიკურ დასჯის მოსპობის შესახებ.** (ადს).

კონცესიები ოსმალეთში

ანგორა, 3 იანვარი. ვაჭრობის მინისტრმა სტამბოლის გაზეთების კორესპონდენტებს აცნობა, რომ ინგლის-ამერიკულ ფინანსისტების ჯგუფი წინადადებას აძლევს ოსმალეთის მთავრობას, რათა მიეცათ მათ კონცესია აღმოჩენილ მაგრამ ჯერ დაუმუშავებელ ტყვიის, თუთიის, სპილენძის და ნავთის მადნებზე. მინისტრის განცხადებათა მიხედვით, ეს საკითხი შესწავლის პირველ საფეხურზე იმყოფება. არავინ იცის აგრეთვე, თუ ვის წარმოადგენს ინგლის-ამერიკელთა ჯგუფი. ამბობენ, რომ მთავრობას აქვს განზრახვა დასდოს ჯგუფთან ხელშეკრულება იმ შერეული საზოგადოების დამტკიცების შესახებ, რომლის კაპიტალის 51 პროცენტი ოსმალეთის იქნება. (ადს).

ყურადღება სასოფლო-სამეურნეო განათლებას

სოფლის მოსახლეობაში განსაკუთრებით დიდია მისწრაფება სასოფლო-სამეურნეო განათლებისაკენ. თითქმის ყოველი მაზრა და ყოველი რაიონი მოითხოვს არა თუ დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების, არამედ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმების გახსნას. ჩვეულებრივი ცხრაწლედები და შვიდწლედები ვერ სარგებლობენ გლეხობაში საკმაო თანაგრძნობით, რადგანაც ამ სასწავლებლებში კურსდამთავრებულ ახალგაზრდობის უმრავლესობა გამოუსადეგარია სოფლის მეურნეობაში და პრაქტიკულ ცხოვრებაში. ამიტომ გლეხობა უფრო ეტანება სასწავლებლებს პრაქტიკულ-სპეციალური განხრით და განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს, რომლებსაც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა რიცხვი საკმაოდ გამრავლდა. საქართველოში ამჟამად ათი სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი და ცხრა დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი ითვლება.

სამწუხაროდ ამ სასწავლებელთა რაოდენობრივი ზრდა არ არის შეფარდებული მათ თვისობრივ ზრდასთან. ეს სასწავლებლები მხოლოდ მაშინ გაამართლებენ თავის დანიშნულებას, თუ სათანადოთ იქნებიან მოწყობილნი და თეორეტიულ მომზადებასთან ერთად ახალგაზრდობას მისცემენ პრაქტიკულ ცოდნას სოფლის მეურნეობაში მუშაობისათვის. ასეთი სასწავლებლები აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სასკოლო შენობებით, ინვენტარით, სამეცნიერო კაბინეტებით და ლაბორატორიებით, რისაც საკმაო დიდი თანხები სჭირდება და ყოველ შემთხვევაში გაცილებით მეტი ვიდრე ჩვეულებრივ ცხრაწლედებს. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისთვის საჭიროა მიწის საკმაო ნაკვეთი აგრონომიის პრაქტიკული შესწავლისთვის. აგრეთვე ძნელი საქმეა მომზადებულ მასწავლებელთა კადრის გამონახვა.

როგორც სჩანს, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები სასურველ მდგომარეობიდან ჯერ-ჯერობით ძალიან შორს არიან და ზოგიერთი მათგანი სრულებით ვერ ამართლებს თავის სახელწოდებას. არა თუ პროვინციის ტეხნიკუმები, არამედ თვით თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმსაც მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ და საჭიროა დიდი დახმარება, რომ მან გაამართლოს თავისი დანიშნულება.

რასაკვირველია, დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებსაც ბევრი რამ აკლიათ. მაგრამ მათი მოწყობა შედარებით უფრო ადვილი საქმეა. სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები კი განსაკუთრებით ყურადღებას და დახმარებას მოითხოვენ. ამის გარეშე ისინი ვერ გაამართლებენ ჩვენს იმედებს, ვერ მოგვცემენ ჩვენი სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგებისთვის ოდნავ მომზადებულ ტეხნიკოსებსაც კი. მოთხოვნილება კი ასეთ მუშაკებზე თანდათან იზრდება და ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინების თვალსაზრისით მისი დაკმაყოფილება გადაუდებელ ამოცანათ ისახება.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ ტიპის მხოლოდ არსებული სასწავლებლები და სრულებითაც არ მოვითხოვთ მათი რიცხვის გამრავლებას. პირიქით შეიძლება საჭირო გახდეს დროებით მათი რიცხვის შემცირება. სამაგიეროდ, რაც დარჩება, ისინი სრულებით უზრუნველყოფილი უნდა იქნან როგორც სასწავლო დაწესებულებებით, ისე შერჩეული მასწავლებლებით და სხვა. ამ შემთხვევაშიაც მართალია ამხ. ლენინის სიტყვები: „სჯობს ცოტა და კარგი“.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა მასიური გავრცელებისთვის გამოსადეგი იქნებიან გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში იწყეს გავრცელება ჩვენში. მათი რიცხვი ამჟამად საქართველოში 40 აღწევს და მოსალოდნელია მათი კიდევ უფრო მეტი გამრავლება. ჯერ-ჯერობით ეს სასწავლებლები ჩვენში ახალი საქმეა, მაგრამ თავიდანვე შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ისინი გაამართლებენ თავის დანიშნულებას ახალგაზრდა გლეხობის პოლიტიკური და აგრონომიული აღზრდის მხრივ.

მაგრამ სოფლის სამეურნეო ძალების აღორძინებისთვის გლეხთა ახალგაზრდა სკოლებთან ერთად საჭიროა სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებიც, რომლებმაც უნდა მოგვცენ სპეციალურად მომზადებული კვალიფიციური ძალები. ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნების გამოყენება და მისი დამუშავებისთვის აუცილებელია ასეთი მეცნიერულ-ტეხნიკურათ მომზადებული ძალების ჩაბმა სოფლის მეურნეობაში.

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შედეგმა, ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრამ და მიწის სამართლიანმა განაწილებამ საგრძნობლად გააუმჯობესა ჩვენი გლეხობის მდგომარეობა და უზრუნველყო მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცება. გლეხობამ მიიღო მისი საუკუნოებრივი შრომით და ოფლით გაპოხიერებული მიწა, რომელიც წარმოადგენს მისი კეთილდღეობის მთავარ დასაყრდნობს. დღეს იგივე გლეხობა ეძებს ამ მიწის დამუშავების და გამოყენების საუკეთესო გზებს და საშუალებებს.

სასოფლო-სამეურნეო განათლების ჯეროვან ნიადაგზე დაყენებით უზრუნველყოფილ იქნება ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინება და ჩვენი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მ. დ.

საბჭოთა პრესა

სამრეწველო საქონლის თვისება

მრეწველობის პროდუქციის რაოდენობის მხრივ ჩვენ საერთოდ გაუსწორდით ომის წინანდელ დონეს, ეს არ ითქმის საქონლის თვისებაზე; მიუხედავად ამ დარგში მიღწეულ მთელ რიგ თვალსაჩინო შედეგებისა, ჩვენი სამრეწველო საქონლის თვისება მრავალ შემთხვევაში მაინც მეტად მდარეა. ეს ეხლა განსაკუთრებით საგრძნობი ხდება მოსახლეობისათვის, რომელმაც საქონლის „პირველი სიმშილი“ დაიკმაყოფილა და რომელიც ამიტომ გაცილებით უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს სამრეწველო საგნებს. რა ზომებით შეიძლება საქონლის თვისების გაუმჯობესება? ამაზე „რაბოჩაია გაზეტა“ უპასუხებს:

„პირველ ყოვლისა, შინა-საქარხნო კონტროლის ორგანიზაციით. მეორე ღონისძიებას წარმოადგენს წარმოების სტანდარტიზაცია, ე. ი. წინასწარ განსაზღვრულ ნიმუშის მიხედვით ერთნაირი ფორმების გამომუშავება. საფაბრიკო ნიშნის შემოღებამ აგრეთვე დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს თვისებაზე, ვინაიდან საფაბრიკო ნიშნით ყოველთვის შეიძლება გაგება, თუ რომელმა ქარხანამ თუ ფაბრიკამ გამოუშვა ესა თუ ის საქონელი. ასეთი გზით უპასუხისმგებლობა აღმოფხვრილი იქნება. დაბოლოს, აუცილებელია თვისების გაუმჯობესებით დავაინტერესოთ მუშები, მაგალითად, პრემიების გაცემით და სხვა საშუალებებით—მაღალი ღირსების საქონლის გამომუშავებისთვის.

პროდუქციის თვისების საკითხს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. რომ არ ვილაპარაკოთ ზოგად მოსაზრებებზე, რომ სოციალისტური წარმოება კაპიტალისტურზე უკეთ უნდა იყოს მოწყობილი და ამიტომ არამც თუ უნდა მივაღწიოთ ომის წინანდელ დონეს, არამედ გავასწროთ ევროპას,—ჩვენში არსებობს პრაქტიკული მიზეზებიც, რომ საქონლის თვისება გავაუმჯობესოთ. ვაძლევთ რა გლეხს კარგი თვისების საქონელს, ჩვენ ვანმტკიცებთ მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან და, მაშასადამე, ვამტკიცებთ პროლეტარიატის დიქტატურას. გარდა ამისა, მუშები არიან არა მარტო მწარმოებელნი, არამედ ამავე დროს საქონლის მომხმარებელნიც. ამიტომ საქონლის ცუდი ღირსება მათვე აყენებს უშუალო ზარალს. ცხადია, მუშა სასიცოცხლოდ უნდა იყოს დაინტერესებული პროდუქციის თვისების აწევით და იბრძოდეს ამისთვის“.

საქონლის თვისების გაუმჯობესებისათვის თავის დროზე გაცხოველებული და ფართე კამპანია წარმოებდა. ბოლო დროს რამოდენიმედ მოდუნდა ეს კამპანია, რაც დაუშვებელია. ამ საკითხს უნდა ექცეოდეს სისტემატიური ყურადღება. მუშების კვალიფიკაციის და შრომის დისციპლინის ამაღლება, ფაბრიკა-ქარხნების მომარაგება კარგი თვისების ნედლეულით, გაცვეთილ საქარხნო მოწყობილობის შეცვლა, აი საითკენ უნდა იქნეს მიმართული მუშაობა, ზევით ხსენებულ ღონისძიებათა გატარებასთან ერთად

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ბრიანი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 3 იანვარი. საახალწლო საუბარში ჟურნალისტებთან ბრიანმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან იმდენათ კარგია, რამდენათაც კარგი შეიძლება იყოს იგი ეხლანდელ პირობებში. საბჭოთა მთავრობაზეა დამოკიდებული ამ ურთიერთობის გაუმჯობესება; საბჭოთა მთავრობამ უნდა გამოააშკარავოს კეთილი სურვილი, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საერთაშორისო სამართლიანობას. ჩვენ იმედს არ ვკარგავთ. ჩემის აზრით, რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესია“.

ამერიკა მდგომარეობას „არკვევს“

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. სააგენტო „ასოშიეტედ პრესს“-ი სწერს: „არის ნიშნები იმისა, რომ ამერიკის მთავრობა სწავლობს საბჭოთა საქმეების მდგომარეობას. როგორც აღნიშნული იყო, ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ევროპის და აზიის საერთაშორისო მდგომარეობაში სახელმწიფო დეპარტამენტი დააყენა ისეთი სიტუაციის წინაშე, რომელიც არსებითად განსხვავდება იმ სიტუაციისაგან, როდესაც იუზმა უარყო საბჭოთა წინადადება“.

კანტონის მთავრობის ნოტა

ახალი სატახტო ქალაქი

ხანკოუ, 3 იანვარი. ნაციონალურ-რევოლიუციონურმა მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი უჩანის, ხანიანის და ხანკოუს გაერთიანების შესახებ. ახალი ქალაქი უხანის სახელწოდებით გამოცხადებულია ჩინეთის ნაციონალურ სატახტო ქალაქათ.

საფრანგეთი და ჩინეთი

პარიზი, 3 იანვარი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ბრიანმა განაცხადა, რომ საფრანგეთი იცავს ვაშინგტონის შეთანხმებას ვალების შესახებ და მას არავითარი სურვილი არ აქვს ჩაერიოს ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. „ჩვენ ჩინეთში არ გადავდგამთ არავითარ ნაბიჯებს. რომლებიც ერთ-ერთი მებრძოლი მხარის მიერ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც ჩინეთის დანაწილების ცდა. შეიძლებოდა შემუშავებული ყოფილიყო უფრო გამომწვევი და საჩქარო პოლიტიკა, მაგრამ მე მირჩევნია დაცდის პოლიტიკა“.

კანტონის მთავრობა აფრთხილებს შეერთებულ შტატებს

ხანკოუ, 31 დეკემბერი. სახალხო რევოლიუციონურ მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ყევგენი ჩენმა ვაშინგტონში გარეშე საქმეთა მინისტრს კელოგს დეპეშით გაუგზავნა შემდეგი ნოტა:

„ჩემმა მთავრობამ, ნათქვამია ნოტაში, მიიღო ცნობები, რომ შეერთებული შტატების მთავრობას განზრახვა აქვს დაეთანხმოს ინგლისის წინადადებას იმის შესახებ, რომ ჩინეთში დაუყოვნებლივ შემოღებული იქნეს ეგრეთ წოდებული ვაშინგტონის დამატებითი ბაჟები, რომლის შემოსავალი უნდა გადაეცეს ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში. ინგლისის მემორანდუმის აზრი ისეთია, რომ ახალი შემოსავლის ორი მესამედი გადავა ჩვენი პოლიტიკური მტრების ხელში. რომლებიც, ამრიგად, მიიღებენ საშუალებას გააგრძელონ სამოქალაქო ომი, ეს უკანასკნელი აღატაკებს ჩინეთის ხალხს და აფერხებს ჩინეთის განთავისუფლებას ეხლანდელი რეჟიმისა და საერთაშორისო კონტროლისაგან.

იმ შემთხვევაში თუ გატარდა ინგლისის წინადადება, ჩან-ძო-ლინი მიიღებს ახალ თვალსაჩინო შემოსავალს, და აგრეთვე წყაროს ახალი სესხების უზრუნველსაყოფად; ეს სესხები კი მას ხელს შეუწყობს მუკდენის ვალიუტის განმტკიცებაში.

შემდეგ არა მარტო პეკინი, რომელშიაც შემოსავალი საბაჟოებიდან გადაქცეულია ძარცვის ობიექტად, არამედ თვითეული ღია ნავთსადგური გახდება მილიტარისტების მტაცებლური მადის ახალ ობიექტად, რაც კვლავ გააძლიერებს ფეოდალიზმის ნაშთებს ჩინეთში ხელს შეუწყობს სამოქალაქო ომის გაჭიანურებას.

დაბოლოს, შანხაი, რომელიც თითქმის უბრძოლველად გადავიდა სახალხო-რევოლიუციონურ მთავრობის ხელში, ეხლა შეუძლია დიდი ზარალი მიაყენოს უცხოელთა ვაჭრობას. მილიონი, რომელიც ბლოკირებული უნდა იქნეს შანხაიში, ე. ი. დამატებითი ბაჟის 40 პროც., სუნჩუან-ფანისა და ჩჟან-ცზუნ-ჩანისათვის იგივეა, რაც ხორცი ნადირისათვის.

ინგლისის მემორანდუმში გამოთქმული შეხედულებები და გრძნობები არ აღელვებს ჩინელ ნაციონალისტებს. ეს შეხედულებები ფარავენ პოლიტიკას, რომელიც ობიექტიურად ხელს უშლის ნაციონალ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის განვითარებას.

მაგრამ ისინი, ვინც ხელმძღვანელობს ამ მოძრაობას, საკმაოდ ძლიერი არიან, რომ აღმოფხვრან ახალი საშიშროება“ (ადს).

თეთრი ტერორის წინააღმდეგ

ვინიცაში

ვინიცა, 4 იანვარი. მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაცია 4 ლიტველი კომუნისტის დახვრეტის წინააღმდეგ მიღებულ რეზოლიუციაში მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშებს, რომ შეაჩერონ ლიტვის ჯალათების ხელი, რომელიც ახალი ბოროტმოქმედებათათვის ემზადებიან მუშათა კლასის წინააღმდეგ. (ადს).

მინსკში

მინსკი, 4 იანვარი. **გაიმართა მუშაახალგაზრდებისა და მასწავლებელთა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია ლიტველი კომუნისტების დახვრეტის წინააღმდეგ. დემონსტრაციას მრავალი ათასი კაცი დაესწრო. ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში ხდება საპროტესტო კრებები ფაშისტურ მხეცობათა წინააღმდეგ.** (ადს).



კარლ პოჟელლო გედრის იის. გრეიფენბერგი რაფ. ჩორნი.

ლიტვის 4 კომუნარი, რომლებიც დახვრიტა ლიტვის ფაშისტურმა მთავრობამ

ხარკოვში

ხარკოვი, 4 იანვარი. **მოხდა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი ებრაელთა პოგრომების წინააღმდეგ კიშინევში. სიტყვები წარმოსთქვეს ბესარაბიიდან გამოქცეულებმა და საბჭოთა მოლდავიის წარმომადგენელმა უკრაინის მთავრობაში. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში მიტინგი პროტესტს აცხადებს რუმინეთის ბურჟუაზიის პოგრომულ მოქმედებათა და რუმინეთში მცხოვრებ ყველა ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრის წინააღმდეგ.** (ადს).

გერმანიაში

ბერლინი, 3 იანვარი. **მთელ გერმანიაში ძლიერდება მოძრაობა ფაშისტურ ტერორის წინააღმდეგ ლიტვაში. მრავალ ქალაქებში მოხდა მასიური კრებები. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა თავის ორგანიზაციებს, რომ დემონსტრაციები მოაწყონ და საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა მთავრობას. გარდა ამისა, რემედასის საშუალებით ლიტვის მთავრობას გაეგზავნა საპროტესტო დეპეშა მუშების და გლეხების დახოცვისა და [illegible] ში დაპატიმრების წინააღმდეგ. საპროტესტო დეპეშას ხელს აწერს [illegible] ნის ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, რომელთა რიცხვი ორმოდენიმე ასეულს უდრის.** (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი, 3 იანვარი. **გერმანიის კომუნისტურ პარტიის ყრილობა გაიმართება 2-დან 7 მარტამდე ესენში.** (ადს).

პილსუდსკის ზრახვები

პარიზი, 3 იანვარი. პარიზის უკრაინელთა წრეებში დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ პილსუდსკის განზრახვა აქვს გალიციაში და ვოლინში შექმნას ბაზა დასავლეთ უკრაინის ხელში ჩასაგდებათ. „უკრაინსკი ვისტი“-მ გამოაქვეყნა იმ მემორანდუმის ტექსტი, რომელიც უკრაინელმა მოღვაწემ ბაჩინსკიმ (პოლონეთთან შეთანხმების მომხრე) გადასცა პილსუდსკის.

ბაჩინსკი აცხადებს, რომ გალიციაში და ვოლინში მხოლოდ იმ შემთხვევაში გამაგრდება ანტი-საბჭოთა ტენდენციები, თუ პოლონეთის მთავრობა დააკმაყოფილებს უკრაინელთა სურვილებს. ბაჩინსკი წინადადებას იძლევა, რომ შეიქმნას ანტისაბჭოთა უკრაინელი პარტია. ეს პარტია, მისი სიტყვებით, პოლონეთთან ერთად იბრძოლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ პოლონეთის მთავრობა უკრაინელებს მისცემს ავტონომიას, იმის მსგავსს, როგორითაც პოლონელები სარგებლობენ ავსტრო-უნგრეთში. ბაჩინსკი პოლონეთის მთავრობას სთხოვს, რომ გალიციელების ეკონომიურ და კულტურულ ორგანიზაციებს მიეცეთ სუბსიდია 4 მილიონი ზლოტის რაოდენობით. (ადს).

სვენ-გედინის ექსპედიცია

სტოკჰოლმი, 4 იანვარი. ცნობილ შვეციელ მკვლევარს, სვენ-გედინს, რომელიც ამ ჟამად პეკინში იმყოფება განზრახული აქვს, პეკინის მთავრობის ნებართვით და ჩინეთის სამეცნიერო საზოგადოებების თანამშრომლობით, ექსპედიციის მოწყობა ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის რაიონებსა, გან-სუს პროვინციასა, დასავლეთ მონღოლეთსა და ჩინურ თურქესტანში **მათი გამოკვლევის მიზნით.**

სამხედრო ვალდებულთა ხელ-ახალი აღრიცხვისათვის

მიმართვა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკის პრეზიდიუმებისადმი

მოსკოვი, 4 იანვარი. 10 იანვარს მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყება სამხედრო ვალდებულ მოსახლეობის ხელახალი აღრიცხვა; აღრიცხული იქნებიან ისინი, ვინც ეკუთვნის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თადარიგის ჩვეულებრივ, და აგრეთვე უმცროს მეთაურთა შემადგენლობას. ხელახალი აღრიცხვის ძირითადი მიზანია სამხედრო ვალდებულთა არსებული თადარიგის გარდაქმნა იმ დებულებასთან შეთანხმებით, რომელიც დაწესებულია სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ გამოცემულ კანონით; ამასთანავე ხელახალი აღრიცხვის მიზანია შემადგენლობის სწორად აღრიცხვა.

ეს ხელახალი აღრიცხვა ჩატარებული უნდა ყოფილიყო სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის გამოცემის შემდეგ, მაგრამ ვინაიდან აუცილებელი იყო გამოცდილების მიღება კანონის გამოყენებაში, ხელახალი აღრიცხვა გადადებული იქნა 1926-27 წლის ზამთრისათვის, რომ არ დარღვეულიყო მუშაობა საერთო საკავშირო აღწერის ჩასატარებლად.

მოსალოდნელ ხელახალ აღრიცხვას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის და ამიტომ ადგილობრივმა სამხედრო და სამოქალაქო აპარატმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ეს მუშაობა სწორად და შეუფერხებლად იქნას ჩატარებული.

ხელახალი აღრიცხვა ჩატარებული იქნება სოფლებში—აღმასკომებთან (რაიონულ და სათემო აღმასკომებთან), ქალაქებში—საოლქო (სამაზრო) სამხ. კომისარიატების მიერ. ადგილობრივ და სამხედრო მმართველობის სწორეთ ამ ორგანოებს უნდა აღმოეჩინოს მატერიალური დახმარება.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მოუწოდებს მოკავშირე რესპუბლიკებს ასეთი დახმარებისაკენ, მოაგონებს რა მათ, რომ ხელახალი აღრიცხვა არა მარტო სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის, არამედ იგი მთელი საბჭოთა კავშირის ამოცანას შეადგენს.

სასურველია განხილული იქნეს და დახმარება აღმოეჩინოს ხელახლა აღრიცხვას შემდეგ ფორმებში: მოსახლეობაში ფართოდ უნდა გაიცნოთ ხელახალი აღრიცხვის მიზნები, აღმასკომებმა უნდა მიმართონ მოსახლეობას, რომ სამხედრო ვალდებულებები გამოცხადდნენ ხელახალ აღრიცხვაზე იმ ვადებში და იმ ადგილებში, რომლებიც დაწესებული იქნება სამხედრო მმართველობის ორგანოების მიერ, ჩატარებული უნდა იქნეს კამპანია ამ ღონისძიების მნიშვნელობის განსამარტავად, სამხედრო-საღრიცხვო ორგანოებს უნდა მიეცეს ტეხნიკური მუშაკები, ხელახალა აღრიცხვის საქმეს უნდა აღმოეჩინოს შეძლებისდაგვარი მატერიალური დახმარება და მიღებული უნდა იქნეს ზომები ხელახალი აღრიცხვის შეუფერხებლად ჩასატარებლად რისთვისაც მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ყველა ადგილობრივი პირობები.

საბჭოთა კავშირის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკები მიიღებენ ყველა ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელახალი აღწერის მთლიანობას და წარმატებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობა წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ გადასცეთ ეს მიმართვა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომებს.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე
კალინინი.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **რიკოვი.**

საბჭოთა კავშირის სამხედრო - საზღვაო სახალხო კომისარი და რევოლიუციონურ - სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე **ვოროშილოვი.**

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მოსკოვი აღწერის მიხედვით

მოსკოვი, 4 იანვარი. 3 იანვარს გამოირკვა აღწერის წინასწარი შედეგები. მოსკოვში აღმოჩნდა 2.018.286 მცხოვრები. ყოველ 1.000 მამაკაცზე მოდის 1.040 ქალი. 1920 წელთან შედარებით მოსკოვის მოსახლეობა გაიზარდა თითქმის 1 მილიონი კაცით; 1923 წელთან შედარებით კი თითქმის ნახევარი მილიონით. (ადს).

რადიო-ტელეფონი მატარებლებზე

ლენინგრადი, 4 იანვარი. სუსტი დენის ქარხნის ტრესტმა მოსკოვ-ხარკოვის რაიონში მატარებლებში მოაწყო გადამცემი რადიო-სადგურები. ცდამ კარგი შედეგები მისცა. რადიო-ტელეფონი მშვენივრად გადასცემს და იღებს ყველა ცნობებს. (ადს).

პროფ. კულეშოვის დამსახურება

მოსკოვი, 4 იანვარი. ყოფ. ზოოტეხნიკურმა ინსტიტუტმა და სასოფლო-სამეურნეო განათლების საბჭომ შუამდგომლობა აღძრეს მიწადმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. სმირნოვის წინაშე, რათა პროფ. კულეშოვს მესაქონლეობის და სოფლის მეურნეობის დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოს სამეცნიერო წოდება და მიეცეს გაძლიერებული პერსონალური პენსია. (ადს).

ხულიგნობისთვის

ვერხნე-იუდინსკი, 4 იანვარი. ოთხ ხულიგანს ტუნგინის აიმაკის სოფ. ნიკოლსკში მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ხულიგნების გასამართლებამ დიდძალი ხალხი მიიზიდა. გასამართლების სანახავად ჩამოდიოდენ 85 ვერსის სიშორიდან. (ადს).

ლიგოვსკის ხულიგნების საქმე

ლენინგრადი, 4 იანვარი. ჩუბაროვის შესახვევის „გმირთა" მიმართ გამოტანილ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის ვადა, რომლის დროის განმავლობაში ის შეიძლება გასაჩივრებული იქნეს, გათავდა 1-ლ იანვარს. ვინაიდან 1 იანვარი დასასვენებელი დღე იყო, ვადის გათავება, სისხლის სამართლის—პროცესუალურ კოდექსის თანახმად, გადატანილი იქნა 3 იანვრის დილისათვის. ვადის გათავებამდე დამცველებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი და მთელი საქმე გადაიგზავნა მოსკოვში რუსეთის უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიაში. (ადს).

დაზღვეულ მფლობელობათა აღწერა

მოსკოვი, 4 იანვარი. აღწერის მასალებით, მოსკოვში ითვლება 29,157 დაზღვეული მფლობელობა. 1920 წ. იყო 27.098. 1923წ.—27.185; ცარიელი ადგილი იყო 1920-ში—1.400; 1923-ში 1.331, ხოლო ამჟამად არის მხოლოდ 356. ცარიელ ადგილებში არ არის შესული შემოუღობავი ცარიელი მიწები.

მოსკოვში დაჭერილი აღმოჩნდა 232.003 ბინა. 1920 წ. იყო—173.674; 1923 წ.—191.004; ცარიელი ბინა აღრიცხულია — 3.136. ეს არის ახლად აგებული სახლების ბინები, ჯერ-ჯერობით მდგმურებით დაუსახლებელნი (უმეტეს ნაწილად), და ძველი დანგრეული ბინები, ასევე მდგომარეობით დაუსახლებელნი, მათი შეკეთების შეუძლებლობის გამო. 1920 წ. ცარიელი ბინა იყო 16.217.

დაზღვეული მამულების რიცხვი 1920 წელთან შედარებით გაიზარდა 2.069-ით, ხოლო დაჭერილ ბინების რიცხვი იმავე პერიოდში გაიზარდა 58.329-ით, ხოლო უკანასკნელ სამ წელში — 40.999-ით.

სულ 2.018.286 მცხოვრებზე დამთვლელებს მიუღიათ 742.356 საოჯახო ბარათის შევსება. მაშასადამე, საშუალოდ ოჯახი შესდგება 2,7 კაცისაგან. (ადს).

კოლექტიური ხელშეკრულებები

ნავთის კონცესიონერებთან

მოსკოვი, 4 იანვარი. მემაღაროეთა კავშირის ცეკაში შესდგა თათბირი იაპონიის წარმომადგენლებთან, რომელთაც ნავთის ამოღების კონცესია აქვთ აღებული სახალინზე. ცეკამ მიუთითა კონცესიონერებს, რომ საკონცესიო ფირმებმა არ შეასრულეს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულებანი. კონცესიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი შეასრულებენ ამ ვალდებულებებს. კავშირის ცეკას წარმომადგენლებმა კონცესიონერების ყურადღება მიაქციეს იმაზე, რომ კოლექტიური ხელშეკრულების გამოგზავნილ იაპონურ ტექსტში აღმოჩენილ იქნა ერთგვარი გადახვევა რუსული ტექსტიდან. კონცესიონერებმა აღუთქვეს მათ, რომ შეცდომები შესწორებულ იქნება ხელშეკრულების ახალ გამოცემაში. (ადს).

საზ. „საქართველოს მარგანეცთან"

მოსკოვი, 4 იანვარი. მემაღაროეთა კავშირის ცეკამ შეიმუშავა კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი, რომელიც უნდა დაიდოს საკონცესიო სააქციო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცთან". ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ითვალისწინებს სამუშაო ხელფასის გადიდებას ამ საზოგადოების წარმოებებში 20 პროცენტის ფარგლებში, მთელ რიგ ზომებს შრომის დაცვისა და მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების დარგში. (ადს).

თვითღირებულების დაკლება

მოსკოვი, 4 იანვარი. შრომის და თავდაცვის საბჭომ მოისმინა ს. მ. უ. ს. წარმომადგენლების მოხსენებები სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.

შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა შესაძლებლად და აუცილებლად იქნეს ცნობილი თვითღირებულების დაკლება მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში უფრო მეტის რაოდენობით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ს. მ. უ. ს. გეგმებში; ამასთანავე თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ უნდა გახდეს შრომის ნაყოფიერების გადიდება როგორც წარმოების ორგანიზაციის, ისე ცალკე საწარმოო პროცესების გაუმჯობესების გზით.

შრომის და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს და სახგეგმო კომისიის საწარმოო გეგმების შედგენის დროს სპეციალურად გამოარკვიოს მრეწველობის თვითეული დარგისათვის როგორც თვითღირებულების შემცირების მინიმუმი, ისე ის ზომები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ამ შემცირების ცხოვრებაში გატარება.

შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა სამრეწველო პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების საქმეში მიღწეული შედეგები საკმაოდ არ იქნეს მიჩნეული; საკმაოდ არ არის მიჩნეული აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებული იყო ამისთვის დღევანდლამდე.

შრომის და თავდაცვის საბჭომ დაავალა ს. მ. უ. ს. დააჩქაროს კალკულიაციის ახალი ფორმების შემოღება მრეწველობის იმ დარგებში, რომლებშიაც იგი აქამდი არ ყოფილა შემოღე-

ტელეფონის საერთაშორისო კომიტეტი

მოსკოვი, 4 იანვარი. ტელეფონის საერთაშორისო ტეხნიკური კომიტეტის სესიაზე დამსწრე საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. **გირშფელდმა** საბ-
თა კავშირის დეპეშათა სააგენტოს
ამშრომელთან საუბარში განაცხადა,
შორეული მანძილის ტელეფონის
ეტის სესია 27 დეკემბერს დამთავ-
არიზში. სესიაზე წარმოდგენილი
ქვეყანა. საბჭოთა კავშირი ამ სე-
ირველად იყო წარმოდგენილი.
ტის სხდომებს დაესწრო ერთა
წარმომადგენელი. საბჭოთა კავ-
დელეგაციის წინადადებით, სესი-
ო, რომ ეს დელეგატი კრებებს
ბა არა როგორც ერთა ლიგის პო-
იკური დელეგატი, არამედ პერსო-
ურად, როგორც საერთაშორისო ტე-
ფონის საქმის დიდი სპეციალისტი.
ესიამ მოისმინა მეცნიერული და პრაქ
იკული მნიშვნელობის მოხსენებანი ტე-
ეფონის საკითხების შესახებ. საბჭოთა
ელეგაციამ კავშირი დაამყარა დიდ
სპეციალისტებთან ტელეფონის დარგში და გაეცნო ახალ ტეხნიკურ მიღწევებს.

ერთა ლიგისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ საბჭოთა დელეგაციის წინადადებით მიღებული იქნა ფორმულა რომელიც ამბობს, რომ კომიტეტი არის ტეხნიკური ორგანიზაცია და არავითარ პოლიტიკურ ურთიერთობას არ იჭერს ერთა ლიგასთან.

საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლები არჩეულ იქნენ მთელ რიგ კომისიების შემადგენლობაში.

კომიტეტის შემდეგი სესია შესდგება 1927 წ. იტალიაში. (ადს).

ღამის ცნობები

ინტერვენციის წინააღმდეგ

მექსიკა, 4 იანვარი. მექსიკის პარლამენტმა სასტიკი პროტესტი განაცხადა ნიკარაგუაში შეერთებული შტატების ინტერვენციის წინააღმდეგ და მოიწონა კაიესის მთავრობის პოლიტიკა.

ახალი წევრები მიიღება

ლონდონი, 4 იანვარი. „უორკერს უიკლის" ცნობებით, კომპარტია 23 იანვრიდან იწყებს კამპანიას ახალი წევრების მისაღებად. ამასთანავე მთელს ინგლისში მოწყობილი იქნება ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი მიტინგები.

მცირე ანტანტის კონფერენცია

ვენა, 4 იანვარი. რუმინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო უარყოფს ხმებს, თითქოს მცირე ანტანტის კონფერენციის მოწვევა მოსალოდნელია ახლო მომავალში.

სამინისტრო იტყობინება, რომ კონფერენცია მოწვეული იქნება არა უადრეს მარტისა ჩეხოსლოვაკიაში.

რაჩისის განცხადება

ჰელსინგფორსი, 4 იანვარი. სოციალ-დემოკრატების ვიბორგის ორგანოს ცნობით, ლიტვის „ოხრანკის" უფროსმა რაჩისმა განაცხადა, რომ კოვნოს გადატრიალებას არაფერი საერთო არ აქვს კომუნისტების მუშაობასთან. რაჩისის ეს განცხადება პასუხია ფინეთის „ოხრანკის" უფროსის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რამდენათ მართალია გაზეთების ცნობები, თითქოს გადატრიალებას კავშირი ჰქონდა კომუნისტების მუშაობასთან.

არგენტინა-ოსმალეთის ხელშეკრულების რატიფიკაცია

ანგორა, 4 იანვარი. მეჯლისმა დაამტკიცა არგენტინასთან დადებული მეგობრობის ხელშეკრულება, რომელიც ისეთივეა, როგორც შარშან ჩილისთან დადებული ხელშეკრულება. გარეშე საქმეთა მინისტრმა ტევფიკ-რუშდიბეიმ ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადა, რომ ახლო მომავალში ოსმალეთი მოლაპარაკებას დაიწყებს ბრაზილიასთან და მექსიკასთან.

ინგლისის ელჩი ანგორაში

ანგორა, 4 იანვარი. ანგორაში ჩავიდა ინგლისის ელჩი, რომელსაც საუბარი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრ ტევფიკ-რუშდი-ბეისთან.

პასუხი მისალმებაზე

რომი, 3 იანვარი. ფაშისტური დირექტორიის მიერ მიღებულ საახალწლო მილოცვებზე პასუხის გაცემის დროს მუსოლინიმ განაცხადა, რომ 1927 წელში პარლამენტი შეცვლილი იქნება კორპორატიული წარმომადგენლობით. კორპორატიულ სახელმწიფოს აპარატის შექმნა იწარმოებს პერიფერიებიდან ცენტროსაკენ. (ადს).

გარეშე საქმეთა მინისტრების შეხვედრა

რევილი, 3 იანვარი. გაზეთების ცნობებით, ლატვიის, ესტონეთის და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები პირველი შეხვედრის დროს პირველ რიგში იხილავენ ერთა ლიგის საკითხებს, კერძოდ ლიგის საბჭოს მომავალ არჩევნების საკითხს. ურთიერთი ინფორმაციის მიზნით შეეხებიან საბჭოთა კავშირთან გამართულ მოლაპარაკების მსვლელობას და ლიტვის ამბების შედეგებს. (ადს).

ქარიშხალი და თოვლი

ზღვა წყნარდება

ბათომი, 4 იანვარი. ღელვა ნელდება. ზღვა წყნარდება. ნავთსადგურიდან ზღვაში გამოსული გემები ისევ დაბრუნდენ ნავთსადგურში. ღამე ბათომში ჩამოთოვა 2 ვერშოკის სისქეზე. დღეს წყნარი, მზიანი ამინდია. (ადს).

ქარიშხალი ქედაში

ბათომი, 4 იანვარი. გუშინ ქედაზე გადავლილმა ქარიშხალმა დაანგრია გლეხკომის სასადილო და საზეინკლო. მოვიდა დიდი თოვლი.

სატელეგრაფო მავთულების დაზიანების გამო აჭარის სხვა კუთხეებიდან არ არის მიღებული ცნობები. (ადს).

ქარიშხალის შედეგები ბაქოში

ბაქო, 4 იანვარი. გუშინდელმა ქარიშხალმა აზნავთის სარეწავებზე წააქცია 100-დე კოშკი. წაქცევის დროს მოკლულ იქნა 4 მუშა. ნგრევასთან დაკავშირებით შემცირდა ნავთის ამოღება. ერთხანს ბურღვა შეჩერებული იყო. შეუდგნენ ნანგრევების აღდგენას და ზარალის გამორკვევას. ქარიშხალის მიერ ზღვაში გატაცებული „კირუმი" ჯერ-ჯერობით ვერ იპოვეს მუშებმა. „კირუმის" მოსანახავად გაგზავნილია ექსპედიცია „ბურევესტნიკისა" და „სობოლი"-ს შემადგენლობით. (ადს).

კრედიტები

მიწადმოქმედებისათვის

მოსკოვი, 4 იანვარი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ გაღებული სამიწათმოწყობო კრედიტი 855.000 მანეთის რაოდენობით განაწილა შემდეგნაირად: ცენტრალურ სამრეწველო რაიონს მიეცა 128.500 მანეთი, ქვემო-ვოლგის რაიონს—77.000 მანეთი, ცენტრალურ რაიონს—61.000 მანეთი შუა-ვოლგის რაიონს—93.000 მანეთი, ურალს—70.000 მანეთი, ციმბირს—130.000 მანეთი, ჩრდილოეთ-დასავლეთ რაიონს—66.000 მანეთი, დასავლეთ რაიონს—55.000 მანეთი, ვიატკა-ვეტლუგის რაიონს—15.000 მანეთი, ჩრდილოეთ რაიონს—15.750 მანეთი და ჩრდილოეთ კავკასიას—100.000 მანეთი.

თანხების განაწილება ხდება პირველი კვარტალის კრედიტების ხარჯზე.

ფინანსები

ა.-კ. მრეწველობისათვის

მოსკოვი, 4 იანვარი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთავარ ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიის სხდომაზე განხილულ და მიღებულ იქნა მრეწველობისათვის კრედიტებისა და ფინანსების მიწოდების პროექტი მიმდინარე საოპერაციო წლის მეორე კვარტალში.

მიღებული პროექტის თანახმად, ამიერ-კავკასიას მეორე კვარტალში მიეცემა 3.460.000 მან. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე კრედიტების გადიდებას მრეწველობის ცალკე დარგებისათვის პირველ კვარტალთან შედარებით. კრედიტების მიწოდება აზნეფტისათვის გადიდებულია 2.300.000 მან. მთავარ ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიის მიერ დასახული გეგმის გარდა გათვალისწინებულია 2.300.000 მან. მიცემა ნავთის მრეწველობისათვის საჭირო გადასახადის დასაფარავად. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მოგებიან სესხის გათამაშება

ბაქო, 4 იანვარი. 3 იანვარს დილის სხდომაზე გათამაშებულ იქნა ყველა ათი სერიის 460 ნომერი და ამავე დროს მოხდა 1924 წ. 8 პროცენტიანი სესხის მესამე ტირაჟის განაღდება. განაღდებულ იქნა მთელი სესხის ერთი მერვედი ნაწილი 12.500.000 მან. რაოდენობით.

შენობას, სადაც ხდება ტირაჟის გათამაშება, აუარებელი ხალხი აწყდება.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

ბაქო, 4 იანვარი. მიმდინარე საოპერაციო წლის მეორე კვარტალში აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო კრედიტები: მეხილეობისათვის—90.000 მან., მებოსტნეობისათვის—15.000 მან., მევენახეობისათვის—30.000 მან.; მელვინეობისათვის—60.000 მან., ღვინის დაყენებისათვის—22.000 მან. (ადს).

ქურდების ბანდის დაპატიმრება

ბაქო, 4 იანვარი. დაპატიმრებულია ქურდრეციდივისტების ბანდა, რომელშიაც შედიოდენ უმთავრესად უმაღლეს და საშუალო განათლების მქონე პირები: ფილიპოვი, ვაისბოინ, შმატკოვ, გეტტე, ნიკიტინი, ელისაბედ ფილიპოვა და ზემსკი. ბანდის „სპეციალობა" იყო საბეჭდი მანქანების და არიფმომეტრების ქურდობა. ბაქოში ბანდამ სხვადასხვა დაწესებულებებიდან მოიპარა 10.000 მანეთის მანქანები.

წინეთ ბანდა მუშაობდა როსტოვში, [illegible]ში, მახაჩკალაში და სხვა ქალაქებში. ბანდის ყველა წევრები არა ერთხელ ყოფილან აღრიცხული საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის მილიციების სამმართველოებში. (ადს).

ოქროს სესხის ტირაჟი

ბაქო, 4 იანვარი. 4 იანვარს შესწყდა პირველი ოქროს მოგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაცია. შემჩნეულია გაძლიერებული მოთხოვნილება მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციებზე.

5 იანვარს გაიმართება პირველი ოქროს მოგებიანი სესხის მე-9 ტირაჟი, რომელიც ჩატარებული იქნება ბაქოს ერთ-ერთ ცენტრალურ პროლეტარიულ რაიონში—ბალახანა-საბუნჩაში. იქ გაგრძელდება 20 მანეთიან მოგებათა გათამაშება.

ინტერესი ტირაჟისადმი არ კლებულობს. მიუხედავად ცუდი ამინდისა, წინასწარი ცნობებით, ტირაჟი და ფინსახკომის გამოფენა დაათვალიერა 12.000 კაცმა.

3 იანვრის საღამოს სხდომაზე გათამაშებული იქნა 1.490 ოცი მანეთიანი მოგება.

4 იანვრის დილის სხდომაზე გათამაშებული იქნა 1.790 ოცი მანეთიანი მოგება. საღამოს სხდომაზე გათამაშებული იქნა 210 მოგება.

პარასკევს, 6 იანვარს, საღამოს 6 საათზე შინსახკომის კაბინეტში მოწვეულია სრულიად საქართველოს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა

აღნიშნული კომისიის ქვემოდ ჩამოთვლილი წევრების დასწრება სავალდებულოა.

1) მათიკაშვილი შ., 2) მაშკევიჩი, 3) ჯაფარიძე ვ. 4) ფანცხავა, 5) ლოლობერიძე ლ., 6) სვანიძე, 7) რატნეკი, 8) აღნიაშვილი, 9) გობეჩია, 10) სტეფანოვი, 11) ჯაფარიძე ალექსანდრე, 12) ლომაშვილი ბ., 13) ჟუსოვი, 14) ეხიქსელოვი, 15) კოხლავაშვილი და 16) ბარბაქაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
2—1 კომისიის თავმჯდომარე **თოდრია**

ბაქოს მეთექვსმეტე პარტკონფერენცია

2 იანვრის საღამოს სხდომა

დეპეშა კომინტერნის აღმასკომს

2 იანვრის, საღამოს სხდომაზე, კონფერენციამ მოისმინა ამხ. ნიკიშინის მოხსენება პარტიის მორიგ ამოცანების შესახებ კომკავშირში და ამხ. კარაევის თანამოხსენება, რის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დეპეშა კომინტერნის აღმასკომისადმი:

„ძვირფასო ამხანაგებო! ბაქოს ნავთის მრეწველობის მომუშავე ოცი ათას კომუნისტისაგან მიიღეთ მხურვალე კომუნისტური სალამი. აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს ორგანიზაცია უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ პლენუმის მუშაობას, იყო რა დარწმუნებული, რომ ყველა ქვეყნების მოძმე პარტიები ერთსულოვან და სასტიკ პასუხს გასცემენ ტროცკიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებულ ოპოზიციის თავხედურ გამოსვლას. კომუნისტური პარტიების ბოლშევიზაციის შეუჩერებელი ზრდა, კაპიტალისტურ რაციონალიზაციის წინააღმდეგ მიმართულ მუშათა მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვების იმედით ავსებს ჩვენს გულს. საბჭოთა კავშირის მუშების მძლავრი დახმარებამ და სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებამ საბჭოთა კავშირში დეე გააძლიეროს და გააღვივოს ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიების რევოლიუციონური და პროლეტარული ენერგია.

გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომინტერნს!

დეპეშა ნუხის და გეოკჩაის ორგანიზაციებისაგან

მერე გამოქვეყნებულ იქნა შემდეგი დეპეშა, მიღებული ნუხის ორგანიზაციისაგან:

„ნუხის საქალაქო ორგანიზაციის საერთო კრება მხურვალე სალამს უგზავნის ბაქოს მე-16 პარტკონფერენციას. ნუხის ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ, ბაქოს კომიტეტის სიმტკიცით და ენერგიით სოციალიზმის აღმშენებლობის საქმე მიყვანილი იქნება ბოლომდე".

გეოკჩაის ორგანიზაციისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„გეოკჩაის მაზრის მეცხრე პარტიული კონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის ბოლშევიკების ერთ-ერთ მოწინავე რაზმს—ბაქოს ლენინელებს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მეთექვსმეტე პარტკონფერენციაც მოგვცემს შემდგომი სოციალისტური აღმშენებლობის სწორ ლენინურ ხაზს. გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატს და მის ბელადს კომუნისტურ პარტიას".

ამხ. ნიკიშინის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ჩაეწერა 109 კაცი. კამათი გადატანილია 3 იანვრისათვის.

ამხ. კარაევის სიტყვა

ბაქოს მე-16 პარტკონფერენციის 2 იანვრის საღამოს სხდომაზე ამხ. ნიკიშინის მოხსენების დამთავრების შემდეგ გამოდის ამხ. კარაევი.

— მე მინდა ვილაპარაკო თურქულ სკოლებში სწავლების საქმის შესახებ. სწავლების საქმის დაყენება ბევრ სკოლაში ვერ უძლებს კრიტიკას. სალიანში ყოფნის დროს, მე ერთ-ერთ პირველ საფეხურის სკოლის მასწავლებელს ვუსაყვედურე, რომ ის შავრაზმულ რამეებს ასწავლის მოწაფეებს. მან მიპასუხა: „რას ბრძანებთ, მე შავრაზმელი არა ვარ, მე თქვენი მეგობარი ვარ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სახელმძღვანელოა ასეთი. მე თვითონ არ ვიცავ მას".

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ თურქ პოეტს საბირას აქვს მეტად კარგი ნაწარმოები, რომელიც ქადაგებს სიძულვილს სასულიერო წოდებისა და კაპიტალიზმისადმი, მაგრამ მას აქვს აგრეთვე ნაწარმოები, რომელიც ჩვენი თვალსაზრისით არ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში.

შემდეგ კარაევს მოჰყავს ადგილები თურქ პოეტ გუსეინ ჯავიდის ნაწარმოებიდან, რომლის სწავლება სკოლებში ყოვლად დაუშვებელია თანამედროვე პირობებში.

ამხ. კარაევი კონფერენციის ყურადღებას მიაქცევს ზოგიერთ სახელმძღვანელოების შემდგენელთა პოლიტიკურ უცოდინარობაზე; მაგალითად, არსებობს გეოგრაფიის სახელმძღვანელო, სადაც ნათქვამია, რომ აზერბეიჯანი რ. ს. ფ. ს. რ-ში შედის, რომ მუსავატელების მთავრობამ თავისი ორი წლის არსებობის განმავლობაში ბევრად გაადიდა პირველ დაწყებით სასწავლებელთა რიცხვი აზერბეიჯანში, რომ პროლეტარული რევოლიუცია აზერბეიჯანში მოხდა 1921 წელს და სხვ.

თქვენ, ამხანაგებო, ხედავთ, რომ სრულ უცოდინარობას ვუნერგავთ ბავშვებს ასეთი სახელმძღვანელოებით. მოლები, რომელნიც ჩვენ გავრეკეთ სკოლებიდან, კვლავ მიძვრებიან ჩვენს სკოლებში აზერბეიჯანის სახელმწიფო გამომცემლობის აპარატის შემწეობით. ამავე დროს ჩვენ უამრავ ფულს ვხარჯავთ ასეთი უმზგავსო სახელმძღვანელოების შედგენაზე და გავრცელებაზე. აი, ამხანაგებო, ის უმზგავსოება, რომელსაც ჩვენს სკოლებში აქვს ადგილი. ამას ჩვენ უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება და ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ ასეთ მოვლენის აღმოსაფხვრელად.

3 იანვრის დილის სხდომა

3 იანვრის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი. ილაპარაკეს შემდეგმა ორატორებმა: გრინშტეინმა, ოსიპოვმა, კრუგლოვმა, ოდინჩევიჩმა, ვოლკოვმა, აფანასოვმა, ოსტაშკომ, კრილოვმა, მუსტაფა კულიევმა.

ამხ. ნიკიშინის საბოლოო სიტყვა

ბაქო, 4 იანვარი. 3 იანვარს კონფერენციის დილის სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ნიკიშინმა.**

ჩემს მოხსენებაში, ამბობს ამხ. ნიკიშინი, მე არ მილაპარაკნია ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღზრდის საკითხზე. ის უდიდესი ყურადღება, რომლითაც ახალგაზრდობა ეკიდებოდა ინგლისის მუშათა გაფიცვას, უცხოეთის სხვადასხვა დელეგაციების შეხვედრას და სხ., მოწმობს იმას, რომ კომკავშირი სათანადო მუშაობას აწარმოებს ახალგაზრდობას შორის საერთაშორისო საკითხების შესასწავლად. მართალია, ამასთან ერთად ახალგაზრდათა ცალკე ჯგუფებში არსებობს ინტერნაციონალურ პოზიციებიდან ჩამოშორების ტენდენციაც. ჩვენ, მაგალითად, გვაქვს (ეს არაა დამახასიათებელი, მე იგი მომყავს მხოლოდ მაგალითისათვის) ანტისემიტური გადახრანი ახალგაზრდობის შორის. ადგილი აქვს რუსი ახალგაზრდობის ქედმაღლობას, რომელმაც ნაწილობრივ მემკვიდრეობად მიიღო ძველი საძაგელი ჩვეულება—რუსოდიდური ყოყოჩობა თურქის, სომხის და სხ. ახალგაზრდათა მიმართ.

ეხლა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ. უკანასკნელმა საწარმოო გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდობის 40 პროც. ბლექით არის დაავადმყოფებული, მხოლოდ 26 პროც. არის სავსებით ჯანსაღი. დანარჩენები სხვა ავადმყოფობით არიან ავად. ეს გვეუბნება იმას, რომ ფიზიკური აღზრდის საქმე მოზარდი თაობის გაჯანსაღებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ამხანაგებო, მე ვილაპარაკე მუშაობის ერთგვარ შესუსტებაზე. ეს არ უარყვია არც ერთ აქ გამოსულთაგანს. რით აიხსნება ეს სისუსტე—ორგანიზაციის ზრდის კრიზისით თუ სხვა რომელიმე მიზეზით? ეს მეორე ხარისხოვანი საქმეა. მაგრამ კომკავშირის მუშაობის შესუსტების ფაქტი ცხადია, ამაზე ჩვენ თვალები არ უნდა დავხუჭოთ. ზოგიერთმა ამხანაგმა გაილაშქრა ჩემ მიერ წამოყენებული წინადადების—ცეკვის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ცეკვაში არაფერია მეშჩანური. როცა თქვენ ცეკვას მიზნად კი არ ისახავთ, არამედ ახალგაზრდობის გონიერ გართობის ერთ-ერთ საშუალებად, მაშინ ცეკვა არაა მავნებელი. მე ვფიქრობ, რომ ისეთ უცნაურ ადამიანად არ ჩამთვლით, რომელსაც სავალდებულოდ მიაჩნია შიმმისა და ფოკსტროტის ცეკვა. დეე, სულთმობრძავი ევროპა გაერთოს ამით.

სქესობრივ საკითხში, რასაკვირველია, არის ავადმყოფური მოვლენები და მართალი არიან ის ამხანაგები, რომელნიც აღნიშნავენ, რომ ამ საკითხს საკმაო ყურადღებას არ ვაქცევთ. ხანდახან ადგილი აქვს მეტად აღმაშფოთებელ ფაქტებს. ბაქოში, როგორც იცით, ამას წინეთ იყო ჩუბაროვის შესახვევის საქმის მსგავსი შემთხვევა, რომელშიაც 16 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

გაძლიერებული აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ჩატარდეს სქესობრივი საკითხის დარგში.

მე არაფერი მითქვამს იმაზე, რომ კომკავშირმა, ამ შემთხვევაში ბაქოს ორგანიზაციამ—აქტიური მონაწილეობა მიიღო მსჯელობაში შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ და ოპოზიციის გადაჭრით ერთსულოვან დაგმობაში. ამას მე აღვნიშნავ, როგორც ჯანსაღ მოვლენას. მომავალში უნდა ჩატარდეს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია ოპოზიციის ნამდვილი დასაბამის გამოაშკარავებისათვის. აი, ის საკითხები, რომელთა გაშუქება ვცადე საჭიროდ საბოლოო სიტყვაში. მე ვფიქრობ, რომ ამ კამათის საფუძველზე, რომელიც აქ გაიმართა, ჩვენ შევიმუშავებთ ჩვენს თეზისებს და პრაქტიკულ წინადადებებს, მათ კიდევ დაუმატებთ რამეს და შეიძლება შევცვალოთ კიდეც, იმისათვის, რომ მუშაობა კომკავშირში გავატაროთ იმ გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლებსაც მიიღებს მე-17 პარტიული კონფერენცია.

3 იანვრის საღამოს სხდომა

ამხ. პიტერსკის მოხსენება

ბაქო, 4 იანვარი. 3 იანვარს, საღამოს, ბაქოს მე-16 პარტიული კონფერენციის სხდომაზე მოხსენებით ბაქოს კოოპერაციის მუშაობის შესახებ გამოდის ამხ. **პიტერსკი.**

ბაქოს კოოპერაციის მიერ შესყიდული საქონლის საერთო ჯამი უდრის 1925 წ. 28 მილიონ მანეთს ხოლო 1926 წ. ეს თანხა გაიზარდა 38 მილ. მანეთამდე,—ე. ი. 34 პროცენტით მეტია. საქონლის გაყიდვა უფრო ინტენსიური იყო. 1925 წელში გაიყიდა 33 მილ. მან. საქონელი, ხოლო 1926 წ. 46 მილ. მან., ე. ი. 37,82 პროცენტით მეტი. კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვის ზრდას მუდამ ხელს უშლიდა ძირითად სამრეწველო საქონლის და სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების ნაკლებობა

ჩემს მიერ აქ მოყვანილ ციფრებს უნდა დაემატოს საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ციფრები, რომელიც წლიურად გამოიხატება 1.700.000 მანეთში, ე. ი. გადააჭარბა შარშანდელს 34 პროც.

საქონლის ბრუნვის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სავაჭრო ქსელიც. პირველ ოქტომბრისათვის ბაქოს კოოპერაციას ჰქონდა 349 სავაჭრო ერთეული, საზოგადოებრივი კვების 30 და 29 საწარმოო დაწესებულება. ცენტრალურ მუშათა კოოპერაციაში, რომელიც შესდგება ბაქოს კოოპერატიული კავშირისა და „გორნიაკის" კოოპერატივისაგან, პირველ ოქტომბრისათვის თვითეულ დუქანსა და მაღაზიაზე მოდიოდა 882 მეპაე, „კასტპოში"—207 მეპაე, „ვოენპოში"—208, „ოკოში"—118. საშუალოდ, ერთი დუქანი მოდიოდა 806 მეპაეზე. აქედან დასკვნა, რომ კოოპერაციამ საკმაოდ ფართოდ გაშალა სავაჭრო ქსელი.

კოოპერატიული ორგანიზაციების უმრავლესობამ შეამცირა ზედნადები ფასები, ზედნადები ფასი, რომელიც 1925 წლის მანძილზე იდგა 18 პროცენტზე, 1926 წელში დავიდა 17 პროცენტამდე.

დღეს ზედნადები ფასი უდრის 15 პროცენტს.

ფასების დაკლების მხრივ, ჩვენ გაცილებით დიდი მიღწევები გვაქვს კერძო ბაზრის ფასებთან შედარებით.

1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის საკუთარი თანხების საერთო ჯამი შეადგენდა 683.000 მან., ხოლო კოოპერაციაში სესხის სახით დაგროვილი თანხების საერთო ჯამი უდრიდა 6.955.000 მან., ე. ი. კოოპერაციის განკარგულებაში არსებულ საერთო თანხაში საკუთარი თანხა შეადგენდა 9 პროც.

1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის ჩვენი საკუთარი თანხა უდრის 2.190.000 მან., სესხად აღებული თანხა კი 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის შეადგენს 6.400.000 მან. დღეს გადაჭრით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა სავსებით მტკიცეა.

კოოპერაციის სამეურნეო ზრდასთან ერთად სწარმოებდა მისი ორგანიზაციული ზრდა. ბაქოს კოოპერატიულ კავშირში მეპაეთა რიცხვი გაიზარდა 60 პროცენტით, „ეპოში"—80 პროცენტზე მეტით და „გორნიაკში"—22,5 პროცენტით.

მეპაეთა რიცხვის ზრდასთან პარალელურად იზრდებოდა საპაიო თანხაც. მიმდინარე წელს საპაიო თანხა გაიზარდა 27 პროცენტით. პაის საშუალო რაოდენობა ჩვენს კოოპერაციაში დღემდე იმდენად მცირეა, რომ ბაქოს კოოპერაცია ამ მხრივ დგას ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე მთელ საბჭოთა კავშირში.

პაის საშუალო რაოდენობა 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის შეადგენდა 3 მან. და 36 კაპ., ხოლო 1926 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის 3 მან და 95 კაპ. საბჭოთა კავშირის სხვა ორგანიზაციებში კი პაი აღწევს 5 მანეთს.

თუ ჩვენ ავიღებთ ომის წინადროინდელ მუშათა კოოპერატივებს, დავინახავთ, რომ იქ საპაიო თანხა შეადგენდა მუშათა კოოპერატივებში 19 პროც., ხოლო საფაბრიკო-საქარხნო კოოპერაციაში—25 პროცენტს.

ნება მომეცით გადავიდე ჩვენი, ბაქოს კოოპერაციის წინაშე წამოჭრილ პრაქტიკულ ამოცანებზე. უნდა გავაფართოვოთ კოოპერაციის სამეურნეო მუშაობა, უზრუნველვყოთ კოოპერაცია როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო საქონლით, მთელი კოოპერატიული მუშაობა გავხადოთ მომგებიანი, კოოპერატიული აპარატის ყურადღება მივაქციოთ ფასების შემდეგ დაკლებაზე. პურის ცხობის განვითარების დარგში ჩვენ უნდა მოვახდინოთ პირველი ცდა, რომელსაც შეიძლება უწოდოთ ერთი უძნელესის ამოცანის გადაჭრა. ეს არის—მექანიკური ქარხნის აგება. საჭიროა შევაგროვოთ თანხები. უნდა წამოვაყენოთ და პრაქტიკულადაც გადავჭრათ კიდეც საკითხი საბანკო პროცენტის დაკლების შესახებ. ჯვარი უნდა დაუსვათ იძულებითი ასორტიმენტის საკითხს. საორგანიზაციო საკითხებიდან პირველ რიგში უნდა წამოვაყენოთ საკითხი პროფკავშირის წევრთა 100 პროცენტით ჩაბმის შესახებ კოოპერაციაში.

უნდა გავაძლიეროთ ქალებისა და დიასახლისთა ჩაბმა კოოპერაციაში. წელს ჩვენ მოგვიხდება საპაიო გადასახადის გადიდება 10 მანეთამდე, ის პატარა ცდა, რომელიც შარშან მოახდინა ბაქოს კოოპერატიულმა კავშირმა,—კოოპერაციის მეპაეთათვის წმინდა მოგებიდან პრემიების გაცემა გატანილი საქონლის რაოდენობის დამიხედვით,—უნდა განვავრცოთ და გავაფართოვოთ იმიტომ, რომ ამ ცდამ ყოველმხრივ გაამართლა თავი. მეპაეთა რიცხვი გაიზარდა 59 პროც., ხოლო საპაიო კაპიტალი 110 პროცენტით.

ორგანიზაციული მუშაობა ჩვენს კოოპერაციაში უნდა გამოიხატებოდეს კოოპერატიული მასების აქტივობის ამაღლებაში. უნდა მოვაწესრიგოთ და გავაცხოველოთ ჩვენს რწმუნებულთა კრებები. საჭიროა მათი რეგულიარულად მოწვევა, სადუქნო კომისიების მუშაობის გაუმჯობესება, კომიტეტების ადგილობრივ უჯრედებში მუშაობის გადაცვლის შემოღება და კოოპერატიული აქტივის ხელმძღვანელობაზე ყურადღების გაძლიერება. უკანასკნელი საკითხი არის საკითხი კოოპერატიული განათლების და კოოპერატიულ მუშაკთა მომზადების შესახებ. კოოპერატიული განათლების ყურადღების ცენტრს უნდა წარმოადგენდეს კოოპერატიული წრეები. კლუბების სამუშაო გეგმაში დროა შევიტანოთ კოოპერატიული პროპაგანდის საკითხი. მეორე მხრივ, უნდა დავსვათ კოოპერატიულ მუშაკთა მომზადების საკითხი და საკითხი სკოლების შესახებ, რომლებშიც კომკავშირის წევრები უნდა შევიყვანოთ (ადს).

4 იანვრის დილის სხდომა

ამხ. ბაგიროვის მოხსენება

ბაქო, 4 იანვარი. 4 იანვრის დილის სხდომაზე ბაზრის მოწესრიგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. **ბაგიროვმა.**

— ჩვენი საქონლის ბრუნვის დეფექტებიდან, დაიწყო თავისი მოხსენება ამხ. ბაგიროვმა, საჭიროა აღინიშნოს ორი მოვლენა: პირველი—ფასების მომატება ერთის მხრივ და მეორეს მხრივ კერძო კაპიტალის მონაწილეობის გადიდება საქონლის ბრუნვაში 31,8 პროც-დე, 24,4 პროც. მაგივრად, რომელიც იყო შარშან. ზრდის მიზეზია—საქონლის ნაკლებობა, რომლითაც სარგებლობდენ ჩვენი სავაჭრო ორგანოები და სცდილობდენ დანართების გადიდებას.

მეორე მოვლენაა ის, რომ სავაჭრო საქმე ვერ არის რაციონალურად, სწორად დაყენებული დაიაფი. გარდა ამ მიზეზისა, რომლებიც საერთოა მთელი კავშირისათვის, ჩვენ გვაქვს წმინდა ადგილობრივი მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფასებზე. ეს არის ჩვენი დაშორება ცენტრიდან და მწარმოებელ რაიონების ცენტრიდან. მეორე მიზეზია—ჩვენი სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სუსტი მუშაობა.

რითი აიხსნება კერძო კაპიტალის ზრდა, რომელიც ჩვენში შეადგენს 31,8 პროც., საბჭოთა კავშირში კი 24 პროც-ს? ეს აიხსნება კოოპერატიული ვაჭრობის სუსტი განვითარებით, მეორეს მხრივ კი იმით, რომ ჩვენი სავაჭრო ბრუნვა სპარსეთთან ადიდებს კერძო კაპიტალის ბრუნვას. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ აზერბეიჯანში სუსტად განვითარებულია შინამრეწველობა.

გასული პერიოდის განმავლობაში ბრუნვა აზერბეიჯანში უდრიდა 330.712.200 მანეთს, 220.190.180 მანეთის მაგივრად, რომელიც იყო შარშან. აზერბეიჯანში გასულ წელში იყო 19 ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაცია 42.000.000 მანეთის ბრუნვით. ეხლა ბრუნვის ზრდა წარსულ წლებთან შედარებით უდრის 73 პროც.

საკავშირო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს და სხვა რესპუბლიკების ორგანიზაციების ბრუნვა გამოიხატება 96.851.000 მანეთში, რაც წინა წლებთან შედარებით გადიდებულია 36 პროც.. ჩვენი კოოპერაციის ბრუნვა გასული წლის განმავლობაში გამოიხატა 86.453.000 მანეთში, რაც წინა წელთან შედარებით გადიდებულია 49,9 პროც. კერძო ბრუნვამ მიაღწია 105.496.000 მანეთამდე, რაც გასულ წელთან შედარებით გადიდებულია 56,9 პროცენტით.

ამ ჟამად მთელს აზერბეიჯანში არის 18.670 სახელმწიფო კოოპერატიული და კერძო სავაჭრო პუნქტი 12.528 წინააღმდეგ, რომელიც იყო 1924-25 წელში, რაც გადიდებას იძლევა 9,1 პროც-ით. ამ რაოდენობიდან ბაქოზე და მის რაიონებზე მოდის 5.990, ყველა დანარჩენ მაზრებზე კი 8.571 პუნქტი. კერძო პუნქტების რიცხვი უდრის 12.233, აქედან ბაქოზე მოდის 4.270. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რამდენათ განვითარებულია ბაქოში კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობა და რამდენათ უფრო მეტათაა განვითარებული კერძო ვაჭრობა მაზრაში პუნქტების რაოდენობისა და ბრუნვის მხრივ.

ჩვენ ბაქოში გამოვიკვლიეთ დაახლოვებით 71 სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია. მათი ნახევარი წლის ბრუნვა გამოიხატება 75.623.740 მანეთში. სავაჭრო-საორგანიზაციო ხარჯები ამავე ხნის განმავლობაში უდრის 3.500.000 მანეთს. რაც შეადგენს 14,6 პროც.. ჩვენ ამას ვთვლით არანორმალურ, დაუშვებელ მოვლენად, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. როგორი არანორმალური მოვლენები შევამჩნიეთ ჩვენ ამ სახელმწიფო ორგანიზაციების გამოკვლევის დროს? უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევნიშნეთ, რომ სავაჭრო-საორგანიზაციო ხარჯებს საერთო ბრუნვასთან შედარებით დიდი პროცენტი უჭირავს. ზოგიერთი ორგანიზაციების ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მეურნეობის არასწორად გაძღოლამ ზოგიერთი ორგანიზაციები მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ ისინი ხელს კიდებენ ყოველგვარ არახელსაყრელ კომბინაციებს. ჩვენს სავაჭრო ორგანიზაციებში ადგილი აქვს ლტოლვას მოგებისაკენ. მაგალითად მოვიყვან პურით მოვაჭრე ორგანიზაციებს. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ამ ორგანიზაციების წმინდა მოგება უდრის 19,15 კაპეიკს. პურის დამამზადებელ ყველა ორგანიზაციების მოგება 1925-26 წლის განმავლობაში გამოიხატა 1.000.000 მანეთში. ასეთი მოგება დაუშვებელია.

რამოდენიმე სიტყვა კოოპერაციის ნაკლულევანებათა შესახებ. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოოპერაციის საერთო ბრუნვიდან 25. პროც. მოდის მაზრებზე და 75 პროც. ბაქოზე. აი ამიტომ არის, რომ კერძო კაპიტალი მიდის სოფლად. ასეთივე სურათია კოოპერატიული პუნქტების განაწილების სფეროშიც. ჩვენ გამოვიკვლიეთ პურის ცხობის საქმე და გამოვარკვიეთ, რომ კოოპერაციის სავაჭრო ხარჯები პურის გაყიდვის დროს უდრის 38 ნახ. კაპ. იმ დროს, როდესაც როსტოვის კოოპერატივში ეს ხარჯები შეადგენს 21 კაპეიკს ფუთიდან.

ეხლა აღვნიშნავ იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განიხილოს კონფერენციამ. მე ვფიქრობ, რომ ს. მ. უ. ს. და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა უნდა განიხილონ საკითხი იმ საქონლის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ სახელმწიფო მრეწველობის ცალკე დარგებში, რომლებიც გასაღებული უნდა იქნეს კერძო აპარატის საშუალებით განსაზღვრულ საფუძვლებზე; ამასთანავე საჭიროა სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის გასასყიდ ფასების დანართის განსაზღვრა.

დამუშავდეს სავაჭრო ბირჟებთან არსებულ კერძო ვაჭრობის სექციის რეორგანიზაციის საკითხი ისეთ საფუძველზე, რომ ამ სექციებს დარჩეთ საუკეთესო კერძო ვაჭართა გამორჩევისა და მოვაჭრეთა წრიდან სპეკულიანტური ელემენტების განდევნის შესაძლებლობა. ყოველმხრივ ხელი შეუწყოს შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა შექმნას კერძო კაპიტალის მონაწილეობით. ყოველმხრივ ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობას ნედლეულის დამზადების დარგში. თვალყური ვადევნოთ დამმზადებელთა მუშაობას და ბოლო მოუღოთ აქა-იქ გამეფებულ საშუამავლო ვაჭრობას. ადმინისტრატიული რეპრესიული ზომებით წაერთვას ვაჭრობის უფლება იმ პირთ, ვინც შემჩნეული იქნება საქონლის გადაყიდვასა და დაწესებულ ფასებზე ზევით ვაჭრობაში. ფინსახკომს დაევალოს კერძო პირთათვის საშემოსავლო გადასახადის გადიდების საკითხის დამუშავება იმ საზღვრამდე, რომლებიც ფარგლავენ შემოსავლებთა დაგროვებას. ტრანსპორტის ხაზით, შემოღებულ იქნას გადიდებული ტარიფი კერძო ტვირთებისათვის სარკინიგზო და საზღვაო გზებზე კერძო კაპიტალის საქმიანობის შესაზღუდავათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების ბაზარზე. ზედმეტი სავაჭრო კაპიტალის რაციონალური გამოყენების მიზნით, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს სოფლის შინამრეწველობის განვითარებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიძლება გადაიქცეს საფრთხედ სოციალისტური მრეწველობისათვის, რომელსაც ხელთ უპყრია მრეწველობისა და ნედლეულის ძირითადი ბაზა.

ორი სიტყვა ჩვენი ნედლეულის ბაზრის შესახებ: აზერბეიჯანის სასოფლო-მეურნეობის მიერ მოცემული პროდუქციის ღირებულება, ჩვენი ეკონომისტების გამოანგარიშებით, უდრის დაახლოვებით 50-60 მილიონ მანეთს. სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები ასაღებენ მხოლოდ 29 მილ. მან. სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე ნედლეულის დამზადების დარგში ჩვენ დღემდე ვერ მოგვიხერხებია კერძო კაპიტალის განდევნა. პარკის დამზადების კამპანიაში დავმარცხდით, დავმარცხდით აგრეთვე ბრინჯის დამზადების კამპანიაში, ხოლო ახლა ვმარცხდებით ბეწვეულის დამზადების კამპანიაში. მთელი პარტიული მასის მასიური მონაწილეობის გარეშე, ყველა მუშების აქტიური მონაწილეობის გარეშე ჩვენ ვერ შევსძლებთ ჩვენი ბაზრის, ჩვენი საქონლის ტრიალის მოწესრიგებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელი ბაქოს ორგანიზაციის დახმარებით ჩვენ შევსძლებთ ამ დეფექტების აღმოფხვრას (ადს).

4 იანვრის საღამოს სხდომა

ბაქო, 4 იანვარი. პარტკონფერენციის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **პიტერსკისა** და **ბაგიროვის** საბოლოო სიტყვები.

შემდეგ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით მოხსენებით გამოდის ამხ. **ორახელაშვილი**, რომელსაც კონფერენცია ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით ხვდება. (ამხ. ორახელაშვილის მოხსენება მოთავსებული იქნება ხვალ).

პარტიული ცხოვრება

— დღეს, 5 იანვარს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. პროფსაბჭოს დარბაზში შესდგება საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის საერთო გაფართოებული კრება.

დღის წესრიგშია ამხ. სტასოვას მოხსენება კომინტერნის [illegible] გაფართოებული პლენუმის შედეგების შესახებ.

ბილეთები იცემა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებებში.

თბ. კომ. მდივანი [illegible]

ოპოზიციის წინააღმდეგ

ერთსულოვნათ ლენინურ ცეკას გარშემო

მოისმინა რა მოხსენება ამხ. გორდელაძე-სი კომინტერნის აღმასკომის მე-7 გაფართოებულ პლენუმზე გაერთიანებულ ოპოზიციის ახალი გამოსვლების შესახებ — ქართ. მეთ. სამხ. სკოლის პარტორგანიზაციის და კომკავშირის გაერთიანებული კრება აღნიშნავს რომ:

ოპოზიციონური ბლოკის გამოსვლა პლენუმზე თავის შემცდარი შეხედულებების დასაცავად მიუხედავათ იმისა, რომ ეს შეხედულებები მე-15 პარტკონფერენციის მიერ ერთხმად იყო უარყოფილი, ნათლად ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ტროცკიმ, ზინოვიევმა და კამენევმა უხეშად დაარღვიეს 16 ოქტომბრის დოკუმენტებში გამოქვეყნებული დაპირება, რომელიც შეიცავდა ბრძოლის ფრაქციულ მეთოდების უარყოფას. ოპოზიციამ თავის გამოსვლით დაამტკიცა, რომ ის მხოლოდ სიტყვით სცნობს და ემორჩილება მე-15 პარტკონფერენციის და მე-14 პარტყრილობის დადგენილებებს და რომ საქმით ის გააფთრებული ებრძვის ამ დადგენილებების წინააღმდეგ. ოპოზიციის ამ გამოსვლამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მათი გადახრა არის გადახრა სოციალ - დემოკრატიული და მათი კავშირი გერმანიის ულტრამემარცხენე და საფრანგეთის ულტრამემარჯვენეებთან არის აშკარა ღალატი ლენინიზმის და კომინტერნისადმი. კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ოპოზიციის იერიშები კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე ერთსულოვნად იქნა მოგერიებული. კრება მოუწოდებს ყველა პარტორგანიზაციებს, რომ მათ ერთსულოვნად ამოუდგენ გვერდში ლენინურ ცეკას იმ ღონისძიებების გატარებაში, რომელიც მიმართული არის და იქნება პარტიის რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებისა და ფოლადისებურ ერთიანობის განმტკიცებისკენ.

გაუმარჯოს საერთაშორისო კომპარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

მზადება პარტაღწერისათვის

საკ. კომპარ. (ბ) სტატისტიკური განყოფილების ლოზუნგები

სრულიად საკავშირო აღწერისათვის

მოსკოვი, 4 იანვარი. საკ. კომ. პარ. (ბ) სტატისტიკური განყოფილების ლოზუნგები სრულიად საკავშირო პარტაღწერისათვის ასეთია:

პარტაღწერა გამოარკვევს პარტიის წევრთა საერთო რაოდენობას საბჭოთა კავშირის საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატის საერთო მასაში და მრეწველობის ცალკე დარგებში. პარტაღწერა მოგვცემს პარტიის სრულ დახასიათებას. ის მოგვცემს კავშირის ტერიტორიაზე გაბნეულ კომუნისტების მილიონიანი არმიის ცალკე რაზმების ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს. პარტაღწერა მიაგნებს ძაფებს, რომელნიც აკავშირებენ სოფლებთან პარტიის მუშურ აქტივს. პარტაღწერა ჯამს გაუკეთებს პარტიის მიღწევებს კავშირის რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ეროვნებათა შორის მუშაობაში. სახეს პარტიისას, რომელმაც ათეული წლის მანძილზე მოიხვეჭა მუშათა კლასის ავანგარდის მდგომარეობა, განსაკუთრებით საჭიროა ვიცნობდეთ პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში. პარტიული აღწერა გამოარკვევს კომუნისტების ნამდვილ რიცხვს საერთო გლეხურ მასაში და კომუჯრედების მუშაობას მათ შორის.

აღწერის დღის, 10 იანვარს, ეცადე იყო შენს უჯრედში. პარტაღწერა ჩატარდება 10 იანვარს. ეცადე, რომ ამ დღისათვის შეამოწმო შენი პარტმოწმობები, გადაიხადე საწევრო გადასახადი. გაიარე პარტიულ აღწერას, მიიღებ ახალ პარტბილეთს.

ვინ უნდა გაიაროს პარტაღწერა

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ინსტრუქციიდან)

1) აღწერა უნდა გაიაროს პარტიის ყველა წევრმა და კანდიდატმა, რომლებიც 1927 წლის 10 იანვრისათვის (აღწერის კრიტიკული დღე) იქნებიან პარტიაში.

2) ამხანაგები, რომლებიც უჯრედის მიერ მიღებული არიან საკავშირო კომპარტიის (ბ) კანდიდატად, მაგრამ აღწერის კრიტიკული დღისათვის არ იქნებიან დამტკიცებული იმ პარტკომის მიერ, რომლის დადგენილება საბოლოოდ ითვლება—აღწერას არ გაივლიან.

3) საკავშირო კომპარტიის (ბ) კანდიდატები, რომლებიც უჯრედების მიერ გადაყვანილი არიან წევრებად, მაგრამ აღწერის კრიტიკულ დღისათვის არ იქნებიან დამტკიცებული იმ პარტკომების მიერ, რომელთა დადგენილება საბოლოოდ ითვლება—აღწერას გადიან, როგორც კანდიდატები.

4) კომუნისტები, რომლებიც გარიცხულნი არიან უჯრედების მიერ პარტიიდან, მაგრამ აღწერის კრიტიკული დღისათვის უჯრედის ეს დადგენილება არ არის დამტკიცებული იმ პარტიულ ინსტანციის მიერ, რომლის დადგენილება საბოლოოდ ითვლება—აღწერას გაივლიან.

5) უჯრედში აღწერას გაივლიან მხოლოდ ის წევრები, რომლებიც აღწერის მომენტში ამავე უჯრედის წევრად ითვლება.

6) კომუნისტები, რომლებიც დროებით არ იმყოფებიან თავის ორგანიზაციაში (მივლინებაში, შვებულებაში ყოფნისა და სხვადასხვა მიზეზების გამო) და რომლებიც თავის დროზე ვერ გაივლიან აღწერას თავიანთ უჯრედებში, დაბრუნებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდენ სამაზრო ან რაიონულ კომიტეტში აღწერის გასავლელად.

7) იმ კომუნისტების პირად ბლანკებზე რომლებიც დამატებით გაივლიან აღწერას პარტიულ კომიტეტებში (სამაზრო კომიტეტი, რაიკომი) უსათუოდ უნდა იქნეს ბლანკის ზედა ნაწილზე წარწერა: „დამატებითი აღწერა".

8) ერთეული კომუნისტები, რომელიც არც ერთ უჯრედზე არ არიან მიმაგრებული, მაგრამ ირიცხებიან ამა თუ იმ სამაზრო (რაიონულ) ორგანიზაციაში აღწერის გასავლელად ცხადდებიან სამაზრო კომიტეტში (რაიკომში) ან და გადიან აღწერის უჯრედებში აღნიშნულ პარტიულ კომიტეტების მითითებით. პირადი ბლანკები კომუნისტ ერთეულებზე დაწყობილი უნდა იქნეს ცალკე და უნდა გადაიგზავნოს ცენტრალური კომიტეტის სტატისტიკურ განყოფილებაში აღწერის დანარჩენ მასალებთან ერთად.

9) ის კომუნისტები, რომლებიც არ ირიცხებიან ადგილობრივ პარტორგანიზაციაში (ე. ი. დროებით ჩამოსულები მივლინებასა ან შვებულებაში ყოფნის გამო და სხვა) პარტიულ აღწერას აღნიშნულ ორგანიზაციაში არ გაივლიან.

10) ის ამხანაგები, რომლებიც განაცხადებენ, რომ ისინი პარტიას ეკუთვნიან, მაგრამ სათანადო პარტდოკუმენტები არა აქვთ (პარტბილეთი საკანდიდატო ბარათი დროებითი მოწმობა). აღწერას არ გაივლიან, სანამ საკითხს მათ შესახებ არ გადასწყვეტს სათანადო საკონტროლო კომისია.

11) კომუნისტები, რომლებიც 10 იანვრისათვის არ იქნებიან აყვანილი აღრიცხვაზე არც ერთ პარტორგანიზაციაში იმის გამო, რომ ისინი ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადავიდენ ან სხვა მიზეზების გამო, გადიან პარტაღწერას იმ ორგანიზაციაში, სადაც ისინი მიდიან, მაგრამ მას შემდეგ, რაც აყვანილი იქნებიან აღრიცხვაზე სათანადო პარტკომის მიერ.

ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი

მეორე სხდომა

თათბირის მეორე სხდომა შესდგა ორშაბათს დილის 10 საათზე. დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან საბჭოთა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის შესახებ. პირველად მოსმენილ იქნა სიღნ. სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის ამხ. გოგოლაშვილის მოხსენება, რომელმაც აღნიშნა, რომ სიღნაღის მაზრაში ქალებმა საკმაოდ აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა არჩევნებში. არჩევნების წარმატებით ჩატარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი უწყებების დარიგებამ. იყო შემთხვევები, როდესაც ქალები ძუძუმწოვარი ბავშვებით მიდიოდენ არჩევნებზე. მაზრაში არჩეულია 160 ქალი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ქალთა 35 პროცენტმა.შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენებები ამავე საკითხზე ამხ. მიხაილოვასი (თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონი) და ამხ. ჩიქოვასი (აფხაზეთი).

შემდეგი მოხსენებით გამოვიდა ცეკას ქალთა განყოფილების გამგე ამხ. ვ. ჯაფარიძე, რომელმაც დაახასიათა ქალთა მონაწილეობა 1925-26 წლის საარჩევნო კამპანიაში. ეს კამპანია, სთქვა ორატორმა განსხვავდებოდა წინა წლებისაგან იმით, რომ მან მიიზიდა მცხოვრებთა ფართო ფენები და მათ შორის მუშა და გლეხი ქალების საგრძნობი რაოდენობა. არჩევნებს საქართველოში დაესწრო საშუალოდ ქალთა მოსახლეობის 31,6 პროც. მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ქალები მიღებულ უწყებებს თავიანთ ქმრებს აძლევდენ და ამრიგად კარგავდენ საკუთარ ხმებს, უწყებებმა მაინც დიდი როლი ითამაშეს გლეხ ქალთა ფართო მასების ჩასაბმელად არჩევნებში. ვრცლად შეეხო ამხ. ჯაფარიძე არჩევნების ნაკლსაც, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ მიუხედავათ ქალთა აქტივობის ზრდისა დეპუტატ ქალთა რიცხვი საბჭოებში მაინც მცირეა. არჩევნებზე დაესწრო ქალთა მოსახლეობის 31 პროცენტი. საბჭოებში არჩეულ დეპუტატთა შორის კი ქალები მხოლოდ რვა ნახევარ პროცენტს შეადგენენ. მოისუსტებდა აგრეთვე საბჭოს წევრ ქალების საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის საქმეც. დასასრულ მომხსენებელი შეეხო საბჭოებში ქალების მომავალ მუშაობის პერსპექტივებს და აღნიშნა, რომ არც ერთი მშრომელი ქალის ხმა მომავალში არ უნდა დაიკარგოს. საბჭოში არჩეული არც ერთი ქალი არ უნდა დარჩეს პრაქტიკულ მუშაობის გარეშე.

საზოგადო მოღვაწე ქალთა შორის მუშაობის შესახებ და ქალთა დაწინაურების შესახებ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჩირქეზიშვილმა. ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველოში ამ დარგში მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა მიუხედავათ მე-13 მე-14 პარტყრილობების და მე-15 პარტკონფერენციის დადგენილებებისა. მუშა ქალების და გლეხი ქალების უფრო გაბედული წამოყენების შესახებ პასუხსაგებ მუშაობაზე. ორატორი ვრცლად შეეხო იმ გარემოებას, რომ ადგილებს მაზრაში აქამდის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ საბჭოს წევრ, გლეხკომის პრეზიდიუმის წევრ, სხვადასხვა გამგეობის და სარევიზიო კომისიების წევრ საზოგადო მოღვაწე ქალების მუშაობაზე. რაც შეეხება პასუხსაგებ სამუშაოზე მუშა და გლეხი ქალების წამოყენებას ამ დარგში ჩვენი პროფესიონალური და საბჭოთა ორგანოები ვერაფერით დაიკვეხნიან, ვინაიდან 794 მუშა და გლეხ „ვიდვიჟენცებიდან" პასუხსაგებ მუშაობაზე წამოყენებულია მხოლოდ 19 ქალი. დასასრულ ამხანაგი შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც უნდა იყოს დასახული, როგორც სამაზრო პარტიული კომიტეტების, აგრეთვე თვითეულ საბჭოთა ორგანოს წინაშე ამ დარგში.

ყველა ამ მოხსენებათა გარშემო გაიხსნა კამათი, რომელშიაც თათბირის მონაწილეებმა გაცხოველებული მონაწილეობა მიიღეს.

მესამე სხდომა

ორშაბათს საღამოს სხდომაზე დასრულდა კამათი მოხსენებათა გარშემო და მოსმენილ იქნა საბოლოო სიტყვები. შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან 1926-27 წლის მოწვევის ქალთა სადელეგატო კრებების არჩევნების შესახებ. მოხსენებები წაიკითხეს ამხ. თალაკვაძემ (აჭარისტანიდან) და მიხაილოვამ (თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონიდან).

თბილისის პარტკონფერენციისათვის

პარტმუშაობის განაწილება

პარტიის თბილისის კომიტეტი არაერთხელ მიაქცევდა რაიკომების ყურადღებას საკითხზე პარტიის წევრთა და კანდიდატთა, აქტივისა და უბრალო მუშაკთა პარტდატვირთვის მოწესრიგების შესახებ. ამ საკითხთან უშუალოდ დაკავშირებულია პარტიის ერთი ძირითადი ამოცანა — ეს არის ახალი საუჯრედო პარტაქტივის აღზრდა, უჯრედების პრაქტიკულ მუშაობაში პარტიულთა მეტი მასსის ჩაბმის გზით.

პარტდატვირთვის მდგომარეობის შესახებ საკითხის შესასწავლად რაიკომებმა გამოიკვლიეს 44 უჯრედი. გამოიკვლიეს 2.943 წევრი, რომელთაგან 1191 ანუ 40,4% დატვირთული აღმოჩნდა. ავლაბარ - ხარფუხისა და ქალაქის რაიონში იზრდება დატვირთულთა პროცენტი. ავლაბარ - ხარფუხის რაიონში —64,8%, ქალაქის რაიონში — 56,4%. დატვირთულ ამხანაგებს შორის 34,9% ერთი მოვალეობით არის დატვირთული. 31,3% — ორით, 18,3% — სამით, 8,2% —ოთხით და სხ.

პარტიულ მუშაობაში ჩაბმულია 895 კაცი, პროფესიონალურსა და საბჭოთა მუშაობაში — 786, კოოპერატიულსა და ნებაყოფლობით საზოგადოებებში 421, დანარჩენებში — 366.

აღნიშნული ციფრები მოწმობენ, რომ მუშაობაში ჩაბმულ ამხანაგების შემადგენლობაში მაინც და მაინც დიდი არ არის პარტდატვირთვა. მუშაობით დატვირთულ ამხანაგების 81,5% სამ მოვალეობაზე მეტი არა აქვს დაკისრებული.

სოციალური შემადგენლობის მიხედვით დატვირთულ ამხანაგებს შორის უმრავლესობას, 67,4% მუშები შეადგენენ, ეროვნების მიხედვით — ქართველები—42,2%. პარტსტაჟის მიხედვით — ყველაზე მეტად დატვირთულია ახალგაზრდა კადრი 1921 წლ.—1926 წლ.—69,9%. შარშანდელთან შედარებით გვაქვს უდავო მიღწევები პარტმოვალეობათა თანასწორად დანაწილების საკითხში. წინეთ ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვქონდა, რომ საშინლად დატვირთული იყო უჯრედის აქტივი, ხოლო უბრალო პარტიული მასა კი მთლად თავისუფალი იყო. დღეს ეს მდგომარეობა უკვე აღმოფხვრილია. პარტდატვირთვის საკითხი არც თუ ისე გამწვავებული. მართალია, მრავალ უჯრედებში სავსებით არ შეუგნიათ მუშაობაში პარტიის წევრთა და კანდიდატთა ჩაბმის საჭიროება. ეს შეეხება, უმთავრესად, საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებს. პარტდატვირთვის უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ ის სწარმოებს უთავბოლოდ, უკონტროლოდ და რომ მის შესწავლას არ სცდილობენ უჯრედთა ბიუროები.

ყველაფერი ეს იმას გვეუბნება, შემდეგში საჭიროა უჯრედებში პარტმოვალეობათა დანაწილების საკითხის მოწესრიგება და პრაქტიკულ მუშაობაში პარტიის წევრთა და კანდიდატთა მაქსიმალურად ჩაბმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი-ქარბუქი-ქარიშხალი

თბილისში

გუშინ ქარის ძალა საგრძნობლად შესუსტდა. დილით, იგი 6 მეტრს უდრიდა. ამასთანავე მნიშვნელოვნად აიწია ტემპერატურამ, რომელიც გუშინ დილით—2 გრადუსს უდრიდა.

დიდი თოვლი

ცენტ. სტატ. სამმართველოს აღწერის განყოფილებაში მიღებულია ცნობები, რომ რესპუბლიკის მთიან ადგილებში და მთელ რიგ მაზრებში უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოვიდა დიდი თოვლი, რაც ხელს უშლის აღწერის შემდეგ მასალების შეგროვებას.

სამხერ-ოსეთში და ლეჩხუმის მაზრაში სააღწერო მასალების შეგროვება შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ინსტრუქტორები მოემწყვდენ თავიანთ უბნებში და თოვლის გაუკვალვობის გამო მათ არ შეუძლიათ სამაზრო ცენტრში მისვლა. ბევრგან დიდმა თოვლმა და ყინვებმა გააფუჭეს სატელეფონო კავშირი და ცნობების გადაცემა შეუძლებელი ხდება. დიდი თოვლი არის მოსული აგრეთვე სვანეთში, მთა-თუშეთში, თელავის მაზრაში, ზემო-იმერეთში და რაჭაში.

აღნიშნული გარემოება აბრკოლებს რესპუბლიკის მოსახლეობის საბოლოო რიცხვის გამორკვევას და აღწერის მასალების დამუშავების დაწყებას.

დასავლეთ საქართველოში

ბათომში ტემპერატურა +8° უდრიდა. გუშინ დილით იგი 0-ზე დავიდა. წვიმა განუწყვეტლივ ქექა-ქუხილით მოდიოდა გუშინდლამდე. გუშინ დილით ბათომში მოთოვა.

ქუთაისში განუწყვეტლივ წვიმების შემდეგ, გუშინ მოთოვა. ტყიბულის მიდამოებში ადგილი ჰქონდა თოვლის ნამქერებს.

ჭიათურის რაიონში და შორაპნის მაზრის ზოგიერთ ნაწილებში ქარიშხალი ჩადგა. ჭიათურის რკ. გზის ხაზზე ქარიშხალმა დააზიანა ტელეგრაფი. რკინის გზის სამმართველოს ცნობით, ჭიათურასთან კავშირი აღადგინეს გუშინ საღამოს. სურამის უღელტეხილზე საგრძნობლადაა დაზიანებული ტელეგრაფი. სად. ხაშურიდან—ლიხამდე და ლიხიდან—გვირაბის აღმოსავლეთ ნაწილამდე ქარისაგან წაქცეულია 23 ტელეგრაფის ბოძი.

ტელეგრაფის აღსადგენად გუშინ სად. გრაკალიდან ლიხში გაიგზავნა 20 მუშა. გუშინდელი ცნობით, სურამის უღელტეხილზე აღარ თოვს. თოვლის სიმაღლე გუშინ დილით 60—70 სანტიმეტრს აღწევდა, ტემპერატურა—6 გრადუსს უდრის.

ამჟამად ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო აწარმოებს მუშაობას სატელეგრაფო კავშირის აღსადგენად ქუთაისთან და ფოთთან.

ქუთაისი, 4 იანვარი. 3 იანვარს ღამით ზეკარის გზიდან 12 ვერსის მანძილზე ნიაღვარმა წალეკა ბორანის მისადგომი მდ. ყვირილის ორთავე ნაპირზე. ნიაღვარმა წაიღო საგუშაგო სადგომი.

მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირი წალეკილია 20 საჟ. მანძილზე. წყალმა აიწია 2 საჟენით. ვარციხის მამულის მახლობლად ნაპირი წალეკილია 30 საჟ. მანძილზე და წყალი უახლოვდება შენობებს. **ყოველგვარი მიმოსვლა ქუთაისსა და ბაღდადს შორის შეწყვეტილია.** მდ. ყვირილის კალაპოტის სიფართოვემ 140 საჟენამდე მიაღწია (ნორმალური სიფართოვე კი უდრის 85 საჟ.). ნიაღვარმა წაიღო სიმონეთის და ყვირილის ბორანები. გზა რიონიდან ჭიათურისაკენ და რიონიდან ბაღდადამდე წყლით არის დაფარული. მიღებულია სასწრაფო ზომები მიმოსვლის აღსადგენად. (ადს).

მამისონის უღელტეხილზე

ქუთაისი, 4 იანვარი. მამისონის უღელტეხილზე დიდი თოვლი მოვიდა; თოვლის სიმაღლე 1 საჟ. აღწევს. მიმოსვლა შეწყვეტილია.

გრიგალი ბათომში

ბათომი, 4 იანვარი. 3 იანვარს ღამით ბათომში ძლიერი გრიგალი ამოვარდა. ქალაქის ქუჩებში გრიგალმა მრავალი ხე წააქცია და მავთულები დასწყვიტა. გრიგალის სიძლიერე 8 ბალს აღწევდა. ნავთსადგურში მყოფი გემები იძულებული იყვნენ გარეგან რეიდზე გასულიყვნენ. ამხ. შმიდტის სახელობის ზღვის ნაპირის ქუჩა ქვებით არის ავსილი. ქალაქში დილიდანვე სთოვს. ქარი თანდათან წყნარდება. გრიგალი ზღვაზე გრძელდება. (ადს).

აფხაზეთში

ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს სოხუმიდან ატყობინებენ, რომ 30 დეკემბრიდან სოხუმის ოლქში ადგილი ჰქონდა დიდ წვიმებს. ნიაღვარმა გააფუჭა აფხაზეთის გზატკეცილები, დააზიანა გზის ნაშენები და ჩამორეცხა გზის ნაპირები. ადიდებულმა მდ. გუმისტამ სოხუმიდან მე-9 ვერსზე დაანგრია დროებითი ხის ხიდი, რომლის სიგრძე 18 საჟენს აღწევდა. გზატკეცილზე მიმოსვლა არ სწარმოებდა 31 დეკემბერს, 1-სა და 2 იანვარს. 3 იანვარს, ადგილობრივმა დისტანციამ მოაწყო გადასვლა მდინარეზე ნავების საშუალებით.

სენაკ-სოხუმის გზატკეცილზე, სოხუმიდან 14 ვერსის დაშორებით 3 იანვარს, ჩამოიშვა მეწყერი. მეწყერმა ძლიერ დააზიანა გზატკეცილი. მეწყერის ჩამოშვება ჯერ არ შეწყვეტილა.

აფხაზეთის მთავარ გზატკეცილზე 3 იანვარს ნიაღვარმა გაარღვია დამბა, რომლის სიგრძე 60 საჟენს აღწევდა. ამავე დღეს ნიაღვრებმა გააფუჭეს გზის მნიშვნელოვანი ნაშენები. გუშინდელი ცნობით, წვიმები არ შეწყვეტილა. მდგომარეობა სერიოზულია. ამის გამო, ა.-კ. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა მიმართა გზათა სახალხო კომისარიატს აღმოუჩინოს ფინანსიური დახმარება 30.000 მანეთის რაოდენობით გზატკეცილების სამმართველოს სტიქიასთან საბრძოლველად.

ბაქოში

გუშინ დილით, ბაქოში ადგილი ჰქონდა დიდ გრიგალს; ქარიშხალის ძალა 26 მეტრს აღწევს წამში. საღამომდე ქარიშხალის ძალა არ შემცირებულა. ტემპერატურა—8 გრადუსს აღწევს.

ლენინაკანში

ლენინაკანის მიდამოებზე ციკლონმა გადაიარა. ჯაჯურის უღელტეხილზე ქარიშხალმა დააზიანა ტელეგრაფი. თოვლის სისქე 60 სანტიმეტრს უდრის. ტემპერატურა—15 გრადუსს.

—:—

ობსერვატორიის ცნობა

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის მიერ 4 დეკემბერს მიღებულ ცნობებით, ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში გრიგალი შენელდა.

ბორჯომში ქარბუქის შემდეგ დადგა ღრუბლიანი ამინდი. ყინვა 7 გრადუს უდრის. გუდაურის უღელტეხილზე ქარბუქი, რომელიც 3 იანვარს საღამოს ჩაცხრა, კვლავ ახალი ძალით განახლდა 4 იანვარს დილით. ყინვა 21 გრადუსამდე ავიდა. თოვლის სიმაღლე დაახლოებით 2 მეტრს უდრის.

გორში ქარიშხალი არ კლებულობს, ამინდი ღრუბლიანია, ყინვა 5 გრადუს უდრის. ღამით ამოვარდა ქარი. სურამის უღელტეხილიდან ობსერვატორიას ცნობები არ მიუღია. (ადს).

საბჭოთა საქართველო

წერილები

ვინ ვაჭრობს მიწით?

ამას წინათ სხვადასხვა დავალებებისა გამო, შემთხვევით მოვხვდი დ. საჩხერეში, სხვათა შორის მცხოვრებლები მეკითხებოდენ, მართალია თუ არა, მიწების ყიდვა-გაყიდვის ნებართვა გამოვიდაო? როცა მე ეს გავიკვირვე და დაუწყე მათ რწმუნება, შეცდომაში ხართ შეყვანილი მეთქი, მათ მომიყვანეს საკმაო მაგალითები, რომ მიწა კიდევაც გაყიდულა და კიდევაც გადაუცვლიათ. გადმომცეს: „დ. საჩხერეში, დიასახლისის დაუდევრობით გადამწვარა ორი მოსახლე; ქველაძე და ვიღაც მიროტაძე, უკანასკნელთა სამოსახლოები ერთი-მეორეზე ყოფილა მობმული.

ქველაძესთვის მიუციათ ფონდიდან სამოსახლო, საეზოვე და გარემო, აგრეთვე სახლიც და თავისი ძველი სამოსახლო კი მიუყიდია ვიღაც ვაჭარ გიორგაძესთვის, მაგრამ მიროტაძესთვის ქველაძის სამოსახლოს „დიდი“ მნიშვნელობა ჰქონია და მიროტაძე გულნაწყენი დარჩენილა მიწის სხვაზე გაყიდვით. ამიტომ მიროტაძის შვილს აღუძრავს საჩივარი, რაზედაც ყოფილა კვლევა-ძიება, მაგრამ კვლევა-ძიებამ დალია ჩაილურის წყალი.

რომ საქმე არ გამჟღავნებულიყო ერთი-მეორეს ქიშპობით და გიორგაძესაც ფული არ დაჰკარგოდა, ქველაძეს ყოფილი სამოსახლო მოუცვლია — მიროტაძესათვის სხვა მიწაზე. ამ გვარად „შენც სუ,—მეც სუ“!?!...

ეს ყველაფერი ხდება აღმასკომის თვალწინ (აღმასკომის ბინიდან ამ ადგილამდე 300 ნაბიჯამდეა). საქმე თურმე მიფუჩეჩებულია, მიროტაძეს უკვე თავის ფარგალში მოუქცევია გაყიდული და მოცვლილი ადგილი!!...

მერე ვის ჩაუდენია ეს დანაშაულობა?.. ქველაძე — სასულიერო წოდების პირს, ყოფილ მასწავლებელს, მიროტაძეს, შავიქვის მრეწველს და აქციონერს და გიორგაძეს — ვაჭარს და სოფლის კულაკს. განა სამწუხარო არაა, რომ ამგვარი წურბელების ასეთი თავგასულობა დღედი უყურადღებოთ ყოფილა დატოვებული?

აჯამეთელი.

სხვისი გულის მესაიდუმლე

ალექსანდრე ჯანგველაშვილი მთელი საგარეჯოს უბნის გულის მესაიდუმლეა. სოფლად ბევრია მკითხავები და „კუდიანები“, მაგრამ ტყუილია, ვერც ერთი მათგანი, წლებზედაც რომ ღეხი დაიდგას, ალექსანდრეს ვერ შეეცილება გულთმისნობაში და სხვისი აზრების კითხვაში. მკითხავები და „კუდიანი“ სტყუიან უპრაგონოთ, ლაპარაკობენ, რაც პირზე მოადგებათ, ჯანგველაშვილი კი ერთი თითის დადებითაც არ ასცდება სინამდვილეს, მისი მკითხაობა სწორია, როგორც აფთიაქის სასწორი და წინასწარმეტყველება მართალია, როგორც სიცხის საზომი.

გარეჯლები დიდ ხანს გაოცებას ეძლეოდენ ალექსანდრეს ამგვარ „ღვთაებრივ“ თვისებების გამო. ლამის იყო ზოგიერთ მერყევ კომკავშირელმა კვლავ ეკლესიისაკენ იბრუნა პირი. მოხუცი დედაკაცები კი ნიშნის მოგებით ეუბნებოდენ ახალგაზრდებს: „ესეც თქვენი კომწვამოლა, დახეთ ალექსანდრეს! ვენაცვალე ღვთის მადლსა, წმინდანები ჯერ კიდევ არ გადაშენებულანო“.

ალექსანდრეც იფერებდა საპატიო სახელს და ისე მძიმეთ, თვალღერებით დადიოდა საგარეჯოს ორღობეებში, როგორც ბორჩალოელი აქლემი. მან ყველაფერი იცოდა საგარეჯოსი: ვინ ვის ყვარობდა, ვინ ვის სამარეს უთხრიდა, ვინ სად და რისთვის აპირებდა წასვლას, ვის რა ცეცხლი ჰქონდა გულში და ვის რა სიხარული. აბა გარეჯელი გლეხკორების ხომ არც ერთი ნაბიჯი გამოეპარებოდა. ისე უცქეროდა თვითეულ მათგანს გულში, როგორც სარკეში. ცნება ფსევდონიმის ალექსანდრესათვის არც კი არსებობდა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, მუდმივი არაფერია ამ ქვეყნად. ალექსანდრეს კოკამაც დიდხანს ვერ ატარა წყალი. მალე აეხადა ფარდა გულთმისანს და გარეჯლებს ხელში შერჩათ ჩვეულებრივი ჟულიკი, სხვისი აზრების და ზრახვების უსირცხვილო ქურდ-ბაცაცი. საქმე იმაშია, რომ ალექსანდრე ადგილობრივ ფ.-ტ. განყოფილებას განაგებს. ბარათი ისე არ წავა და წამოვა საგარეჯოდან, რომ გამგეს პირადი რეგისტრაცია არ გაიაროს, თუ კი, რასაკვირველია, ის ამას მოისურვებს. სწერენ გარეჯელი გლეხკორები წერილებს რედაქციებს, ალექსანდრე ღებულობს მათ, სწერს ვინმე ახალგაზრდა გულის სატრფოს ცრემლით დანამულ უსტარს, ალექსანდრე სტკბება ამ უსტარით, შვილი მამას მოკითხვას და ნახვის ნატვრას უთვლის, ალექსანდრემ ესეც უნდა იცოდეს. თუ წერილი ჭკუაში არ დაუჯდა, ცეცხლისაკენ გაუძახებს მას. ერთი სიტყვით ალექსანდრე: რედაქტორიცაა, ცენზორიც, ფოსტის მუშაკიც, სხვისი რომანის არამკითხე მოწმე და სხვა.

გარდა ამისა ალექსანდრეს კვერცხებიც უყვარს, განსაკუთრებით, როცა ნატურით იძენს მათ. თითო გაზეთი თითო კვერცხი. შეუძლია ორი გაზეთიც მისცეს. რას ჰკარგავს. გარდა იმისა, რომ გაზეთებზე აგლეჯს ადრესატის გვარსა და სახელს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც გარეკახელი გლეხები და ფ.-ტელეგრაფი დაჰკარგავს რამეს, თუ თბილად მოკალათებულ ალექსანდრე ჯანგველაშვილს აგლეჯს საგარეჯოს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდან.

ნ. ბ—ლი.

დაბა ჩოხატაურის ავ-კარგი

(გურია)

მიღწევები ჩვენს აღმასკომს აღმშენებლობით ფრონტზე მართლაც საგრძნობი და თვალსაჩინო აქვს. ამის ნათელ სურათს იძლევა ჩოხატაურის საუცხოვო შენობა საავადმყოფოსათვის, აგრო-ტეხნიკუმისათვის ახლად აგებული კოპწია სახლი, 9 წლედის შენობის კაპიტალური რემონტი, თემაღმასკომის ბინის გამშვენიერება და მრავალი კიდევ სხვა, რომელთა ჩამოთვლა ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

მაგრამ უნაკლო რა არის, რომ აღმასკომის მუშაობა იყვეს. მთავარ ნაკლად მის მუშაობაში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მზა-მზარეული ელსადგური უქმათ არის გაჩერებული და სიბნელეში ვცხოვრობით. აქ მართებს თემაღმასკომს მეტი უნარის გამოჩენა.

ჩოხატაური არც კულტურული დაწესებულებებით არის ღარიბი. აქ არსებობს 1912 წლიდან სახალხო სახლი — თეატრით.

მუშაობა სახალხო სახლში მოიკოჭლებს. სურვილები დიდი იყო მუშაობის გაცხოველებისა, მაგრამ შედეგი მეტად მკრთალი მივიღეთ, ეს უთუოთ ჩვენი ინტელიგენციის სიზარმაცეს უნდა მივაწეროთ. თეატრის ნაცვლად ამ უკანასკნელად კინოს დავეწაფეთ; კიდევ კარგი, თორემ სრულიად მოვსწყდებოდით ცხოვრებას.

სახალხო სახლთან არსებობს პროფ. კავშირთა კლუბი. კლუბის მუშაობა მეტ გაცხოველებას საჭიროებს, არ კმარა მარტო ჭადრაკობა, ლოტოსა და ნარდის თამაში.

მეტად თვალსაჩინო და ავტორიტეტიანი დაწესებულება დ. ჩოხატაურში — არის მთლიანი კოოპერატივი „მნათობი“. ენერგიული — საქმიანი გამგეობისა და ერთგული თანამშრომლების მეშვეობით ჩვენ „ეპოს“ პირველი ადგილი უჭირავს მთელს მაზრაში. მას დიდი ნდობა და ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი მშრომელ მოსახლეობაში. ამის საუკეთესო სურათს იძლეოდა ამას წინად ჩატარებული რწმუნებულთა წლიური საზოგადო ყრილობა, სადაც ნათელი შეიქნა „ეპოს“ ნაყოფიერი საქმიანობის შედეგები. აღნიშნული ყურადღება ნამდვილ ზეიმს და აშკარა გამარჯვებას წარმოადგენდა [illegible] კოოპერაციისა.

ლეო.

ზაჰესის ამუშავება

პირველი ტურბინა ამუშავდა

გუშინ, ნაშუადღევის 2 საათისა და 55 წუთზე ზაჰესზე პირველად შეუშვეს არხიდან წყალი პირველ ტურბინში. ტურბინა ამუშავდა იმ ეფექტით, რომელიც გათვალისწინებული იყო სპეციალისტების მიერ.

დღეს ამუშავებულ იქნება მეორე ტურბინაც.

აღნიშნული ტურბინების ამუშავების მიზანია ერთის მხრივ მანქანების მოწყობილობათა შიგნითა ნაწილების გაშრობა და მეორეს მხრივ—მათი მუშაობის უნარიანობის გამოცდა. ეს მუშაობა გასტანს რამოდენიმე დღეს, რის შემდეგაც აამუშავებენ პირველი ტურბინის გენერატორს.

გენერატორების ამუშავების შემდეგ მიღებული იქნება ელექტრო-ენერგია, რომელსაც გადასცემენ ელექტრო-ტრანსფორმატორებს; ამნაირათ ჩაატარებენ ელექტრო-გამტარ ქსელის გამოცდას.

თუ ტურბინის ამუშავებისას გამოირკვა რომელიმე ტეხნიკურ დადგმულობის ნაკლი—იგი დაუყოვნებლივ იქნება გამოსწორებული.

პირველი ტურბინის ამუშავებას დაესწრო ზაჰესის სამუშაოთა ხელმძღვანელების კომისია. აღნიშნული კომისიის თანდასწრებით, იწარმოებს აგრეთვე სხვა საგამოცდო სამუშაოების ჩატარება.

წყალთა მეურნეობა

(მ. გ. ინსპექციის მასალებიდან)

მ. გ. ინსპექციის გამოკვლევით საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში აღმოჩენილ იქნა, რომ სამმართველოს გამომუშავებული ხარჯთ-აღრიცხვის 46.614 მანეთით ანუ 42,5 პროც. გადაუჭარბებია, რაც გამოუწვევია ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელ ხარჯებს (ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და სხვა) აღნიშნულია მივლინებულთა მგზავრობა რბილ ვაგონებში, დახმარებების გაცემა და სხვა. მოუწესრიგებელი ყოფილა აგრეთვე საკანცელარიო ნივთების ხარჯი და მათი განაწილება მოსამსახურეებს შორის. ხშირი ყოფილა ავანსების გაცემა ისეთ პირებზედაც კი, რომელსაც დაუფარავი ჰქონიათ წინანდელი დავალიანება. მოუწესრიგებელი ყოფილა აგრეთვე ანგარიშების წარდგენა დახარჯულ მასალებზე და სხ.

მ. გ. ინსპექციის კოლეგიამ გამოიმუშავა ღონისძიებები ამ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად. სხვათა შორის, წყალთა მეურნეობის სამმართველოს ევალება შეამციროს ხარჯები, აწარმოოს მასალების ხარჯის სწორი ანგარიში, შესწყვიტოს ავანსების გაცემა და სხვა.

ქაღალდის ფაბრიკა

საქართველოში ქაღალდის საწარმოებლათ არჩეული იყო ორი ადგილი. ერთი ენგური და მეორე—ბზიბის რაიონი. ორივე ადგილის შესახებ შემუშავებული იყო დაწვრილებითი გეგმები, ჩატარდა ქარხნების ასაგები ადგილების გამოკვლევა, მოხდა მახლობლათ მდებარე ნედლი მასალების შესწავლა, წყლის ანალიზი და სხვა.

ამას გარდა შეგროვილ იქნა სანიმუშო ნედლი მასალები, რომელიც გაიგზავნა არსებულ ქაღალდის ქარხნებში ქაღალდის დასამუშავებლათ. პირველი საცდელი ქაღალდი უკვე დამზადებულ იქნა რამოდენიმე ასეული ფუთის რაოდენობით, რამაც გამოარკვია, რომ ჩვენში დამზადებული ქაღალდი საუკეთესო ღირსებისაა და ჩვენებური საცელიულოზო ქაღალდი (გადაუმუშავებელი ქაღალდი) წარმოადგენს საუკეთესო საექსპორტო საქონელს.

საკავშირო ს. მ. უ. ს. განზრახვა აქვს კვლავ განაგრძოს თავის ლაბორატორიებსა და ქარხნებში ჩვენში ქაღალდის წარმოების დაწყების საქმის შესწავლა და ამ მიზნით საქართველოდან კვლავ უნდა გაიგზავნოს საკავშირო ს. მ. უ. საბჭოში საცდელი დამუშავებისათვის ჩვენებური ნედლი მასალის საჭირო რაოდენობა.

ცემენტი

7 იანვრისათვის თბილისში მოელიან სპეციალურ კომისიას, რომელშიაც შედიან პროფესორი **იუნგი**, პროფ. **სმირნოვი**, ინჟ. **სიტინი** და **პოლოხოვი**.

აღნიშნული კომისიის მიზანია საბოლოოდ გამოარკვიოს საქართველოში ცემენტის წარმოების საქმის დაწყება და შეიმუშაოს სათანადო პროექტები ცემენტის ქარხნის ასაგებათ. თბილისში სათანადო მასალებთან გაცნობის შემდეგ კომისია გაემგზავრება ცემენტის საწარმოებელ ადგილების დასათვალიერებლათ.

პროფ. იუნგი, რომელიც უხელმძღვანელებს კომისიის მუშაობას, ითვლება ცემენტის საქმის ცნობილ სპეციალისტად მთელ ევროპაში.

სულით ავადმყოფნი

თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს შესაფერი ზომები სულით ავადმყოფთათვის საექიმო დახმარების თავის დროზე აღმოსაჩენად. ამ მიზნით ქალაქის საავადმყოფოსთან მოეწყობა სულით ავადმყოფთა სამკურნალო განყოფილებები და ამავე დროს გაფართოებული იქნება უიმედო სულით ავადმყოფთა თავშესაფარი. სულით ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის საქმის სახელმწიფო ხასიათის გამო, თბილისის აღმასკომმა აგრეთვე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე ამ საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღების შესახებ. განზრახულია ქირისუფლები გახადონ ვალდებული ფსიქიურად დაავადებული ოჯახის წევრი გაგზავნონ სამკურნალოდ სათანადო საექიმო დაწესებულებებში.

დახმარება

დამსახ. რევოლიუციონერებს

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიდან სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა გუშინ მიიღო ხუთი ათასი მანეთი. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ამ ხუთი ათასს მანეთს ერთდროული დახმარების სახით გაუნაწილებს ისეთ პირებს, რომლებიც 1905 წლის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, ეხლა ცოცხლებია, მარა დაუძლურებული არიან, დაკარგული აქვთ შრომის უნარი და ნივთიერათ გაჭირვებას განიცდიან. დახმარება აგრეთვე მიეცემათ ასეთი პირების, იმ ქვრივებს და ობლებს, რომლებიც ამჟამად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან.

ყოფ. ახალგ. მარქსისტთა აქტივის დეკლარაცია

(ქუთაისის მაზრა)

ჩვენ ქუთაისის მაზრის ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტები, გადაჭრით ვაცხადებთ დანარჩენ ამხანაგთა საყურადღებოდ: 7, 8 ოქტომბრის ნაძალადევის მუშების კრება არის ისტორიული აქტივი ჩვენს ცხოვრებაში, „ახალი გზა“ სწორი შემფასებელია წარსული ბრძოლისა.

ჩვენ ყოფ. მარქსისტთა ორგანიზაციის წევრები მოვალენი ვართ უფროსს ამხანაგ მუშებთან ერთად ვიქნეთ მიმდინარე სოციალისტურ აღმშენებლობის მომენტში, საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოთ. გზა მენშევიზმისა, რომელსაც ჩვენ წინეთ ვიზიარებდით დამღუპველია ქართველი ერისა და მუშათა კლასისათვის და მისი ფიზიკური და კულტურული განადგურების მომხწავებელია; ამიტომ ყოველი ქართველი ახალგაზრდა უნდა ცდილობდეს, გვერდში ამოუდგეს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას იმ გიგანტიურ ბრძოლაში, რომელსაც ეს უკანასკნელი აწარმოებს დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ და გაუყლეფილთა კლასის (პროლეტარიატის) სასარგებლოთ. ჩვენც სწორედ აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენს ძველ ამხანაგებს, რომლებიც კიდევ არ დამდგარან ახალ გზას.

ძირს ყოველგვარი ბრძოლა საქართველოს მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და მის მესაჭე კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

ალექსანდრე ტყეშელაშვილი, აბაზაძე გრიშა, მიშა ლეჟავა, მიშა ჩილინგარიშვილი, გიორგი ლელაძე, თამარა გვარამია, მარიამ [illegible], ალექსანდრე გალაევი, დავით დოლიძე, შალვა ყუბანეიშვილი.

თბილისის საბჭოს სექციებში

ორშაბათს, 3 იანვარს შესდგა თბილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომა.

კომუნალური სექცია

სექციამ მოისმინა ამხ. იუსიპოვის მოხსენება თბილისის აბანოების შესახებ. აღმასკომს საექსპლოატაციოდ გადაცემული აქვს გოგირდის ათი აბანო, რომელნიც უკანასკნელი წლის განმავლობაში საფუძვლიანად იქნენ შეკეთებულნი და გაფართოებულნი. 1925—26 წლის განმავლობაში აბანოებში გაუვლია სულ 1.440.000 კაცს. ამავე ხნის განმავლობაში აბანოებს ჰქონიათ 435.337 მან. შემოსავალი და 269.546 მან. გასავალი, ე. ი: წმინდა მოგება უდრის 165.790 მანეთს. წელს აბანოებთან მოწყობილი იქნა სამარქაფო აუზები, სადაც ღამით გროვდება წყალი. წინად კი ასეთი არ იყო და მთელი წყალი ღამის განმავლობაში უსარგებლოდ იკარგებოდა.

კამათის შემდეგ სექციამ დაადგინა აირჩიოს კომისია, რომელსაც ევალება გამოიკვლიოს აბანოების გაფართოების და ბალნეოლოგიური სადგურის მოწყობის საკითხი.

შემდეგ სექციას ამხ. **სიხარულიძემ** გააცნო სავალდებულო დადგენილების პროექტი სახლებში ელექტრონის ფანრების მოწყობის შესახებ. სექციამ მცირე ცვლილების შეტანით პროექტი მიიღო.

საფინანსო სექცია

სექციის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. გაჩავამ თბილისის აღმასკომის საფინანსო კონტროლის მუშაობის შესახებ. მთელი თავის არსებობაში საფინანსო კონტროლს შეუმოწმებია 7 მილიონის საფინანსო საბუთები, და ამ თანხიდან კანონიერად არ უცვნია 5.000 მანეთის გასავალი.

სახალხო განათლების სექცია

პირველად სექციამ მოისმინა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება სკოლებთან არსებულ დამხმარე საბჭოების მუშაობის შესახებ. მომხსენებლის გადმოცემით დამხმარე საბჭოების მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. საბჭოები დიდ როლს თამაშობენ სკოლების საქმიანობის გაცხოველებაში.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **ბერძენიშვილის** მოხსენება აღმასკომის პოლიტგანათლების მუშაობის შესახებ. ამჟამად თბილისში მუშაობს 65 წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი, სადაც სწავლობს 1.500 კაცი, მათ შორის, 1.059 კავშირის წევრი.

სექციამ განყოფილების მუშაობა მოიწონა და სასურველად სცნო შემდგომი მუშაობის დროს ყურადღება მიექცეს სკოლების ქსელის გაფართოებას და მჭიდრო კავშირის დამყარებას შრომის სკოლებსა და წ. კ. უ. პუნქტებს შორის.

მომგებიანი სესხები

632.000 მანეთი

თბილისის საკრედიტო დაწესებულებების მიერ კამპანიის დაწყებიდან დღევანდლამდე პირველი სახელმწიფო 6 პროცენტიანი მომგებიანი სესხის და მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციები გასაღებული იქნა 632.000 მანეთის რაოდენობით.

მეორე საგლეხო სესხი

პირველი სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციების მარაგი სავსებით განაღდებულია; ამის გამო საგრძნობლად გაცხოველდა მეორე საგლეხო სესხის რეალიზაცია.

ამ სესხის მოგებათა ტირაჟი იწყება მიმდინარე წლის 20 იანვრიდან მოსკოვის გუბერნიის მაზრებში; სულ გათამაშებული იქნება 32.810 მოგება 1.250.000 მანეთის რაოდენობით.

კოლექტიური ხელისმოწერა

პირველი სახელმწიფო მომგებიანი სესხის მეცხრე ტირაჟის ჩასატარებელმა კამპანიამ დაამტკიცა, რომ სახელმწიფო კრედიტმა საბოლოოდ განამტკიცა თავისი პოზიცია იმ მხრივ, რომ მუშა-მოსამსახურეები ფართო ინტერესს იჩენენ სესხებისადმი და ნდობით ეპყრობიან მათ.

ეს ინტერესი მასიურ ხასიათს იღებს; თუ წინეთ ობლიგაციების ყიდვა ხდებოდა ინდივიდუალურად მუშა-მოსამსახურეების მიერ, ეხლა, პირიქით, ფართოდ ვრცელდება კოლექტიური ხელისმოწერა.

1926 წლის სესხის ობლიგაციები უმთავრესად განაღდებული იქნა კოლექტიური ხელისმოწერით; გასაღებული ობლიგაციების 60 პროც. მოდის კოლექტიურ ხელისმოწერაზე.

მუშათა სახლები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო პროექტი დადგენილებისა მუშათა საბინაო მშენებლობისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

ამ პროექტის ძალით, მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადადებული უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის 75 პროცენტი.

სახელმწიფო, საკრედიტო და დამზღვევი დაწესებულებების და წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდები მთლიანად გადადებული უნდა იქნეს მუშათა საბინაო აღმშენებლობის დასახმარებლად.

საგეგმო კომისიის დადგენილებით, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი კომუნალური წარმოებები მიეკუთვნა იმ წარმოებების რიცხვს, რომლებიც იღებენ ანარიცხებს მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში.

ამასთანავე საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო გაავრცელოს კაპიტალურ სამუშაოებზე დაზღვევის გადასახადების შეღავათიანი ტარიფი.

მრეწველობის

გაჯანსაღება

ს. მ. უ. საბჭომ წინადადება მისცა ყველა ტრესტებსა და საწარმოებებთან არსებულ სარევიზიო კომისიებს მოახდინონ სამუშაო პროგრამაში დასახულ უფრო აქტუალურ საკითხების კონცენტრაცია და მრეწველობის გასაჯანსაღებლად მიიღონ სათანადო ზომები.

სარევიზიო კომისიებმა თავიანთი მუშაობა უნდა მიმართონ უმთავრესად შემდეგი საკითხებისაკენ: კაპიტალური სამუშაონი და ახალი აღმშენებლობა; სამრეწველო ნაწარმოებთა ექსპორტი და მანქანა-იარაღების იმპორტი; სათბობ მასალით მომარაგების გეგმების შესრულება და სათბობ მასალათა ამოღების რაციონალიზაცია; მრეწველობის გადიდება და გაფართოება; სავაჭრო აპარატი და ფასების პოლიტიკა; სამეურნეო ორგანოთა მუშაობა თვითღირებულების დაკლების თვალსაზრისით; ანგარიშთ წარმოების განსამარტივებლად მიღებული

უმუშევრობა ჭიათურაში

უმუშევრების დიდი უმრავლესობა ფიზიკურ მუშებისაგან შესდგება; მცირე რიცხვს შეადგენენ გონებრივი მომუშავენი, რომელთა შორის კვალიფიციური მუშაკნი არ მოიპოვებიან.

საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად თბილისიდან მიღებული იქნა 3.571 მანეთი. ჭიათურის კომუნალურ მეურნეობასთან შეთანხმებით დაწყებული იქნა გზის გაყვანა სოფელ კაცხში, რომელზედაც მუშაობდა 97 უმუშევარი; მათი დღიური ხელფასი საშუალოდ ერთ მანეთს და 82 კაპ. უდრიდა.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში საზოგადო სამუშაოების მოწყობაზე ჭიათურაში დაიხარჯება 15.300 მანეთი.

საყოველთაო აღწერა

თბილისის მოსახლეობის რიცხვი

თბილისის აღწერის შემდეგ შეგროვილი მასალების მორიგედ გადამუშავების შედეგათ მიღებულია შემდეგი სურათი:

სულ თბილისში სცხოვრობს 279.565 მცხოვრები, აქედან მამაკაცები 135.616, ქალები 143.949.

რაიონების კვალობაზე მოსახლეობის რიცხვი იძლევა შემდეგ სურათს:

პირველ რაიონში სცხოვრობს 29.523, მეორე რაიონში—24.244, მესამე რაიონში—20.270, მეოთხეში—20.406, მეხუთეში—15.861, მეექვსეში—12.906, მეშვიდეში—25.877, მერვეში—21.654, მეცხრეში—35.087, მეათეში—31.644, მეთერთმეტეში — 25.467, მეთორმეტეში—16.626.

ამჟამად მოყვანილი ციფრი 279.565 არ არის კიდევ საბოლოო და მოსალოდნელია, რომ თბილისის მოსახლეობის რიცხვმა გადააჭარბოს ამ მოყვანილ ცნობას და მიაღწიოს 300.000-მდე.

საქალაქო მოსახლეობა

ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში მოსული ცნობებით, აზერბეიჯანის რესპუბლიკის ქალაქების და საქალაქო ტიპის დასახლებულ ადგილთა მოსახლეობის რიცხვი უდრის 635.293 მოსახლეს. აქედან მარტო ბაქოზე მოდის 444.333 მცხოვრები.

სომხეთის ქალაქთა მოსახლეობის საერთო რიცხვი უდრის 157.761 მცხოვრებს. აქედან მარტო ერევანზე მოდის 61.152 მცხოვრები.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობა წინასწარი გამოანგარიშების თანახმად, აჭარბებს ნახევარ მილიონს.

საგზაო მშენებლობა

1884 წლიდან, — 37 წლის განმავლობაში ძველი მთავრობის მიერ აჭარისტანში გაყვანილ იქნა მხოლოდ სამი გზატკეცილი, რომელთა საერთო სიგრძე 150 ვერსს უდრის. მათ შორის ყველაზე დიდი გზატკეცილია ბათომ-გოდერძის გზა, რომელსაც მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამავე ხნის განმავლობაში აგებულია 4 ხიდი სიგრძით 70 საჟენი. ამ გზატკეცილებით სარგებლობს მხოლოდ 12 სოფელი.

გასაბჭოების შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში გაყვანილია 8 ახალი გზატკეცილი, რომელთა საერთო სიგრძე 50 ვერსს უდრის; აგებულია 10 ხიდი, რომელთაგან მთავარია: ქედის რკინა-ბეტონის ხიდი (45 საჟენი) შუახევის ხიდი — (24 საჟენი). ახალი გზატკეცილებით სარგებლობს 95 სოფელი, რომელნიც წინად სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ ცენტრს. გარდა ამისა. ამჟამად სწარმოებს გაყვანა ოთხი ახალი გზატკეცილის, რომელთა საერთო სიგრძე 47 ვერსს უდრის, ეს გზებია — უჩამბის — 8 ვერსი, ჩაქვის —15 ვერსი, ჩიქუნეთის — 11 ვერსი და ჩახათის 13 ვერსი. ამ გზების გასაყვანად წარმოებული მუშაობა დამთავრებულია 80 პროცენტით. შენდება აგრეთვე კარადორისა და ტბეცის ხიდები. ამ ახლო მომავლისათვის განზრახულია 4 ახალი ხიდის აგება.

სუბტროპიკული

კულტ. განსავითარებლად

დეკემბრიდან მუშაობას შეუდგა ზემო ეწერის (გურია) სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, რომელსაც ამჟამად ჰყავს 500-მდე წევრი. ეს ამხანაგობა წარმოადგენს ერთ უდიდეს სასოფლო ამხანაგობას მთელს დასავლეთ საქართველოში. ამხანაგობის მთავარი მიზანია გაავრცელოს გურიის სასოფლო მეურნეობაში სუბტროპიკული კულტურა და გასწიოს პროპაგანდა მეურნეობის ამ დარგის საპოპულიარიზაციოთ გურიის გლეხობაში.

ამხანაგობას დასამუშავებლად გადაცემული აქვს 240 დესეტინა მიწა. აქედან ჩაის კულტურის გასაშენებლად გადაცემული აქვს 140 დესეტინა, მანდარინების ბაღების და სხვა ციტრუსების გასაშენებლად 40 დეს., ბამბუკი-ლერწამის პლენტაციების მოსაწყობათ 40 დესეტინა; დანარჩენი ათ დესეტინაზე მოწყობილი იქნება სხვა უმაღლესი სუბტროპიკული მცენარეების საცდელი პლანტაციები. მეურნეობის დარგებისათვის მიწის ნაჭრები დანაწილებულია სპეც აგრონომების ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით.

ამხანაგობას სესხი 46.000 მანეთის რაოდენობით გაუხსნა ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა. ამ თანხიდან ამხანაგობამ უკვე მიიღო 20.00 მან.

თამბაქოს ექსპორტი

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა აფხაზეთის თამბაქოს ექსპორტი ევროპის სახელმწიფოებში და აღმოსავლეთის ქვეყნებში.

განზრახულია გაძლიერებული იქნეს აფხაზეთის თამბაქოს ექსპორტი ეგვიპტეში.

ამჟამად საბჭოთა კავშირს მეოთხე ადგილი უჭირავს იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც თამბაქო შეაქვთ ეგვიპტეში. პირველი ადგილი ეკუთვნის ჩინეთს, მეორე—იაპონიას, მესამე— საბერძნეთს. 1924 წელში საბჭოთა კავშირმა ეგვიპტეში შეიტანა 800.000 კილოგრამი თუთუნი. 1925 წელში კი—700.000 კილოგრამი.

ახალი სანატორიუმი

სოციალური დაზღვევის სამმართველო წელს იწყებს ახალი სანატორიუმის აგებას ქობულეთში. უკანასკნელ დრომდე ქობულეთში არ ყოფილა შენობა სპეციალურად სანატორიუმისათვის. სანატორიუმები დღემდე მოწყობილია კერძო პირთაგან აგარაკზე აგებულ შენობებში, რაც მეტად აბრკოლებს საერთო სასანატორიუმო წესების შესრულებასა და დაცვას. სანატორიუმის ახალ შენობას ექნება რამდენიმე განყოფილება. ავადმყოფების მოსათავსებელ ცალკე ბინებს გარდა, სანატორიუმში მოთავსდება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, გასართობი დარბაზი და სხ. იქვე მოთავსებულ იქნება სასადილო, სამზარეულო, შენობა იქნება ორსართულიანი. უკვე შედგენილია შენობის პროექტი და მისი ასაგები ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უდრის 850.000 მანეთს. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა ეს ხარჯთ-აღრიცხვა.

მუშათა ცხოვრება

ვინაიდან 6 იანვარი უქმე დღეა გაზ. „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს მუშკორთა გაერთიანებული კრება, რომელიც უნდა შემდგარიყო ხუთშაბათს, 6 იანვარს, გადმოტანილია ოთხშაბათისათვის, 5 იანვარს, საღამოს ხუთ საათზე.

მოხსენებას გააკეთებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **შ. მათიკაშვილი** საბჭოთა ახალ არჩევნებზე და მუშკორების ამოცანებზე.

ყველა მუშკორების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

სასურველია ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულების კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისა და კედლკორების დასწრება.

ხაშურის საუბნო კომიტეტის მუშაობა

ხაშურის უბანში ითვლება 22 ადგილკომი. ადგილკომებთან არსებობს შემდეგი კომისიები: შრომის დაცვის, სანიტკომისია, შემფასებელ-საკონფლიქტო, კულტკომისია, სარევიზიო, საწარმო კომისია და სხ. ბოლო ხანებში დაარსდა აგრეთვე 11 სადუქნო საკონტროლო კომისია, რომელმაც მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი ჩააბა კოოპერაციაში. იგი აწესრიგებს სატრანსპორტო კოოპერაციის წევრების რიცხობრივად ზრდის საქმეს.

საუბნო კომიტეტი კომისიებს აძლევს სათანადო დირექტივებს, რომლის მიხედვით სწარმოებს მუშაობა. საკომისიო მუშაობაში ჩაბმულია აგრეთვე ახალგაზრდობა.

ადგილკომის სხდომები იმართება კვირაში ერთხელ, ხოლო დანარჩენ კომისიების ორ კვირაში ერთხელ. ადგილკომების სხდომების ოქმებს იხილავს საუბნო კომიტეტი.

ქალთა შორის მუშაობა ხაშურის უბანში შემდეგში მდგომარეობს: მთელ უბანში არსებობს სამი ქალთა წრე: ჭიათურაში, შორაპანში და ხაშურში. შორაპნის და ჭიათურის ქალთა წრე არსებობს მუშათა კლუბებთან, ხოლო ხაშურის კი მიმაგრებულია ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციასთან. მუშა ქალები შედიან საუბკომის წევრებად, საუბნო კომიტეტს ჰყავს ქალთა წრეების სახელმძღვანელოდ მიმაგრებული თითო კაცი. საუბნო კომიტეტის რწმუნებული აკეთებს მოხსენებებს ქალთა წრეებში, როგორც საუბკომის მუშაობის ირგვლივ, ისე სხვადასხვა თემებზე. ქალთა შემადგენლობის 80 პროც. ჩაბმულია პროფაქტივის მუშაობაში.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ახალგაზრდათა ჩაბმას კულტურულ და პროფესიონალურ მუშაობაში. ხშირი იყო შემთხვევები, რომ ახალგაზრდათა წარმომადგენელნი იგზავნებოდა ხაზზე საკავშირო მასიურ მუშაობის ჩასატარებლად. პირველ აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე ჩატარდა ახალგაზრდათა წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციაზე გამოაშკარავდა ახალგაზრდათა შორის წარმოებული სუსტი მუშაობა, რასაც საუბნო კომიტეტმა ყურადღება მიაქცია.

ხაშურის საუბნო კომიტეტს სატარიფო ეკონომიურ დარგში დიდი მიღწევა აქვს. თანახმად ყრილობის დადგენილებისა საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმმა ყურადღება მიაქცია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობას. ამჟამად მთელ უბანში ითვლება 9 შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია.

ადმინისტრაცია არ აქცევდა ყურადღებას და არ ატარებდა ცხოვრებაში საწარმოო თათბირების და კომისიების დადგენილებებს, როგორც სატარიფო, ისე ეკონომიურ დარგში. ამისთვის საუბნო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა სამმართველოს წინაშე, რათა გაღებული ყოფილიყო საჭირო თანხა საწარმოო თათბირების და კომისიის დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად. ამჟამად მათი დადგენილებების 60 პროც. ტარდება ცხოვრებაში.

თანახმად დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებისა ხელფასის დროზე გაცემის ვადა არ დარღვეულა. იყო შემთხვევები, როდესაც აგვიანდებოდა სხვადასხვა დამატებებს და ჯილდოებს, როგორც არის საევრსო ფული, მივლინების ჯილდო, ზედმეტ საათების, საევრსო და სხვა. საუბნო კომიტეტმა ეს საკითხიც მოაგვარა.

საერთოდ ხაშურის საუბნო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ი.

კედლის გაზეთი „კლუბის ხმა“

პლეხანოვის სახელ. კლუბთან არსებულ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ უკვე გამოუშვა კედლის გაზეთის პირველი ნომერი „კლუბის ხმა“-ს სახელწოდებით. კედლის გაზეთი აშუქებს კლუბში წარმოებულ კულტურულ მუშაობის, საწრეო მუშაობის ნაკლსა და მიღწევებს და ყველა საკლუბო საკითხებს, რითაც დაინტერესებული არიან კლუბის წევრები.

კედლის გაზეთში მოთავსებულია ხულიგნების თავგასულობის და სხვ. შესახებ.

საერთოდ კედლის გაზეთის შინაარსი დამაკმაყოფილებელია. ვიმედოვნებთ, რომ შემდეგი ნომერი უკეთესი იქნება.

კლუბის წევრი.

ჩემი სიმღერა

დედამ სახლში შემასწავლა
სიყვარულით კითხვა-წერა,
მამამ შრომას შემაჩვია,
ჩამინერგა მისი რწმენა.

—:—

სასწავლებელს მივადექი
სამი წელი იქ ვიჯექი
შემდეგ სწავლას გადუდგი,
ქალაქის გზას გაუდექი.

—:—

პირველ იყო ჩემი ნახვა
რკინის გზის და თვით ქალაქის,
ავისრული გულის ზრახვა,
სასურველი ტრფობა ალთქმის.

სუსტად ვიგრძენ ჩემი თავი,
როცა ქალაქს გადავხედე;
სხვა გზა, რომ ვერ დავინახე,
თვით შეგნებით ბედი ვხედე.

გულს მამცნო დაკვირვებამ
ხალხის ტანჯვა უღევლი,
მაგრამ შრომის მტკიცე ნებამ
შემაყვარა ბრძოლის ველი.

—:—

მახსოვს სოფლად დაწყებული,
საიდუმლო მითქმა-მოთქმა,
ბრძოლის ხმები ანთებული
ხალხის ღელვა, ხალხის შფოთვა.

—:—

სოფლად ნახულს, სოფლად ნახმენს
აქ შევსხა ელვის ფრთები,
შეურთდი მებრძოლ მოძმენს
რომლებსაც დღეს თავს ვევლები.

—:—

ჩვენი საქმე დაწყებული
დაგვირგვინდა ზამარჯვებით,
შრომის ტრფობით ანთებული
მშრომელთ ვუმღერ თავდადებით.

მუშა სიო. ხიდისთაველი.

—:—

მუშკოოპი საბურთალოზე

19 ნოემბერს დაიწყო მოქმედება მახარაძის უბანში მუშკოოპის მე-49 მაღაზიამ. ამას აქაური მცხოვრებლები დიდ ყურადღებად სთვლიან მუშკოოპის გამგეობის მხრივ. ხალხს აღარ სურს კერძო ვაჭრების კლანჭებში ყოფნა, აღარ სურს აქაურ ვაჭრუკების ბინძურ დუქნებში შესვლა. ყველა ცდილობს ყველაფერი მუშკოოპის მაღაზიაში იყიდოს. ნეტავი გაუგებინათ როგორი გულდამწვარი არიან, როცა ეს თუ ის საქონელი არ აღმოჩნდება, ეხვეწებიან მაღაზიის გამგეს, რომ მან ეცადოს მაღაზიის მომარაგება საჭირო ნივთებით, იგიც პირდება.

ეტყობა მუშკოოპის გამგეობა ყურადღებას აქცევს ჩვენ მაღაზიას, მაგრამ უფრო მეტ ყურადღებას მოვითხოვთ. თუ ეხლა საბურთალოს ბაზარი 70 პროც. არის დაპყრობილი, მალე მთელი 100 პროც. იქნება დაპყრობილი. ტყუილად არ ამოძრავდენ აქაური ვაჭრები. აფართოვებენ თავიანთ მაღაზიებს, უმატებენ საქონელს, ფასს უთანასწორებენ მუშკოოპის ფასს; ცოტა სისუფთავის დაცვაც დაიწყეს, გაუხსნეს ზოგიერთებს კრედიტები და სხვა. მაგრამ ტყუილია მათი ოინები. ბაზარი აქაურ მუშკოოპმა დაიპყრო და მას სპეკულიანტები ვერ გამოგვგლეჯენ ხელიდან, თუ მუშკოოპი ფხიზლად იქნება.

ჩინთანიძე.

პოლიტგანათლების სამკითხველო

თბილისის მუშათა თეატრთან არსებული აღმასკომის პოლიტგანათლების სამკითხველო უკანასკნელ ხანებში საუცხოოთ მოეწყო. სამკითხველოში ყოველ დღე ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობს 380—340 კაცი. მუშა-მოსამსახურეებს, სტუდენტებს და მოწაფეებს სახლში წასაკითხავად მიაქვთ წიგნები 200-მდე.

აღმასკომის პოლიტგანათლება იწერს აღნიშნულ სამკითხველოსათვის შემდეგ გაზეთებს: „კომუნისტს“—3 ცალს, „მუშა“-ს—3 ც., „ზარია ვოსტოკა“-ს—3 ც., „რაბოჩაია პრავდა“-ს—3 ც. და „მარტაკოჩს“—3 ც. გამოწერილია აგრეთვე მოსკოვიდან „იზვესტია“-ს—3 ც. და „პრავდა“-ს—3 ც.

ხსენებულ სამკითხველოს რუსულ განყოფილებას აქვს 12.000 წიგნი; ქართული—2.000 ცალი და სომხური—1000 ცალი. სამკითხველოში არის ყველა ბელადების და ქართველ მწერლების სურათები.

ილორელი.

თბილისის საყუდელი 1926 წ.

გასული წლების შედარებით თბილისის საყუდელს თვალსაჩინო მიღწევები აქვს. მომჭირნეობის რეჟიმი, როგორც სხვაგან, ისე საყუდელშიც ჩატარდა. მივლინებები შემცირებულ იქნა 40 პროცენტით. შეკეთებულია მექანიკური სახელოსნო, რომლის წყალობით შემცირდა ზედმეტი ხარჯი 30 პროცენტამდე, ვინაიდან ყოველივე სამექანიკო ნაწილები შეკეთების სახით კეთდებოდა მთავარ სახელოსნოებში. აქედან წლიურად ხარჯი შემცირდა არა ნაკლებ 6.000 მანეთისა.

როგორც ორთქლმავლების, აგრეთვე რონოდებისათვის გადასაბმელი ხელსაწყოები წინად იგზავნებოდა გასაკეთებლად მთავარ სახელოსნოში, დღეს კი კეთდება ჩვენ საკუთარ სახელოსნოში, რამაც მოგვცა მომჭირნეობის მხრივ 50 პროც. სარონოდოების ფარეხში მუშაობს არა ნაკლებ 460 კაცისა. ხსენებულ მუშებს უხდებოდათ წარა-მარა გამოსვლა საყუდში იარაღებისათვის, დღეს კი ამნაირ უნაყოფო სირბილს ადგილი არა აქვს, ვინაიდან ფარეხში (პარკში) იქნა მოწყობილი საიარაღო სახელოსნო და დღემდე თუ უმიზნოდ იკარგებოდა სირბილში 50—60 საათი, დღეს კი ერთი საათიც არ იკარგება უნაყოფოდ, რადგან ყოველნაირი იარაღი მანდვე ფარეხში კეთდება და საჭიროების მიხედვით ეძლევა ყველას.

მიღწევების შესახებ თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ გასულ წლებთან შედარებით, რასაც გვიმტკიცებს შემდეგი ციფრები:

1924 წელს ორთქლმავლების მიმდინარე შეკეთება იყო 8893 ცალი, 1925 წელს 10.523 ც. 1926 წლის ნოემბრის თვემდე 10.980 ც. ამნაირად ნაყოფიერება გაიზარდა 1926 წ. ორთქლმავლების საშუალო შეკეთების მხრივ შედარებით 1924—25 წ. 21.33 პროცენტით თბილისის საყუდელ ექვემდებარება 2.145 კაცი. თუ დღემდე ორთქლმავლების შეკეთება ხდებოდა სანაინის, ხაშურის, ახსტაფის და სხვ. საყუდებში, დღეს ყველა რონოდების შეკეთება ხდება თბილისის საყუდში. ორთქლმავლები არის სულ 124 ცალი, მათ შორის 75 პროც. მძლავრები. ვიწროობა ძლიერ ხელს უშლის წარმოების პროგრამის მთლიანად შესრულებას. მიუხედავად ყოველივე ამისა ყოველდღიურად გადის და შემოდის 132 ორთქლმავალი თბილისის საყუდში.

საერთოდ 1926 წ. თბილისის საყუდს თვალსაჩინო მიღწევები აქვს. შედარებით გასულ წლებთან შრომის ნაყოფიერება გაიზარდა. რამდენადაც შეიძლება გატარებულია მომჭირნეობა.

მუშკორი ძია—ლევან.

მუშათა წერილებიდან

= **კითხვა-პასუხის საღამო.** 30 დეკემბერს სად. კავთისხევის მუშა-მოსამსახურეთათვის გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო.

საუბნო დამზღვევ სალაროს მუშაობის და სოცდაზღვევის საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ამხ. ლაშქარიშვილმა. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ცხადი.

მუშათა ქრონიკა

= **კომისიის გაუქმება.** სადგ. ქარელის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ გააუქმა სადუქნო-საკონტროლო კომისია, ხოლო მისი ფუნქციები დაავალა შრომის დაცვის კომისიას.

— **„წითელი მეჭედავი“.** მეოთხე სტამბის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მესამე ნომერი „წითელი მეჭედავი“.

— **კედლის გაზეთი.** სასაკლაოს კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „სალახი“-ს სახელწოდებით.

— **რევიზია.** სადგ. აქტალის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაავალა სარევიზიო კომისიას მოახდინოს საჩქაროდ ადგილკომში რევიზია და შედეგი აცნობოს საუბნო პროფკავშირს.

— **შეკეთება.** სად. ვაზიანის ადგილკომმა სთხოვა უბკავშირს შეკეთებულ იქნეს [illegible].

— **საერთო კრება.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ დაადგინა 27 თებერვლამდე მოიწვიოს კლუბის წევრთა საერთო კრება, სადაც გადაირჩევა კლუბის გამგეობა.

— **გეგმა.** ამ დღეებში საუბნო კავშირი დაუგზავნის ადგილკომებს ზაქტპოს წევრთა საერთო კრების ჩასატარებლად კალენდარულ ცხრილს.

— **საექიმო პუნქტი.** სადგ. მცხეთის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ სთხოვა დამზღვევ სალაროს, რათა მცხეთაში გაიხსნას საექიმო პუნქტი.

— **მეისრეთა დამატება.** სადგ. მარნეულის ადგილკომმა სთხოვა უბკავშირს დაამატოს სადგურში ორი მეისრე.

— **საპარიკმახერო.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ განზრახული აქვს კლუბთან მოაწყოს საპარიკმახერო.

— **სანიტარი.** სადგ. გარდაბანის ადგილკომი სთხოვს ჯანმრთელობის განყოფილებას, რათა სადგურში დაინიშნოს ერთი სანიტარი.

— **დრეზინა.** სადგ. გარდაბანის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება შუამდგომლობს პჩ-7-ის წინაშე, რათა სადგურს დაეთმოს ერთი დრეზინა.

რკინიგზაზე

ძეგვის ხიდთან მომხდარი კატასტროფის მიზეზები

მატარებლების მარცხებთან მებრძოლმა რკ. გზ. საგზაო კომისიამ განიხილა საქმე ძეგვის ხიდზე 6 დეკემბერს მომხდარ კატასტროფის შესახებ.

საგზაო კომისიის დასკვნით მატარებლის გაწყვეტა და მარცხი გამოწვეული იყო მატარებლის გაჩერებით, რომელიც მოხდა მთავარ კონდუქტორისა და მემანქანის შეთანხმებით.

მემანქანეს დაუწევია მატარებელი უკან ხიდისაკენ, რომ უფრო ადვილათ აეყვანა მატარებელი აღმართზე.

უეცარი დახევის გამო მატარებელი გაწყდა. წინა ნაწილი შეჩერდა, ხოლო უკანა ნაწილი გაგორდა 300 მეტრის მანძილზე. უკანა ნაწილი დაბრუნებისას დაეჯახა წინა ნაწილს, რასაც შედეგათ მოჰყვა 15 დახურული ვაგონის და 5 ცისტერნის დამსხვრევა. მარცხის დროს მოკვდა ერთი კონდუქტორი და ერთი მუშა.

საგზაო კომისიის დადგენილებით მემანქანე **კრავცოვი**, ცნობილი იქნა დამნაშავეთ ამ საქმეში, რის გამოც იგი მოიხსნა ორთქლმავალიდან და გადაყვანილ იქნება ისეთ სამუშაოზე, რომელიც არ არის დაკავშირებული მოძრაობასთან. უფროსი კონდუქტორი **ტარანოვი** კი ჩამოყენებული იქნება უნცროს კონდუქტორათ იმ პირობით, რომ არ დაეკისრება მომავალში უფროს კონდუქტორის მოვალეობის შესრულება.

მატარებლის ბრიგადას ამ საქმეზე გამოეცხადა საყვედური, ხოლო წევის დარგის რევიზორს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

საბარგო მატარებლის დამტვრევა

2 იანვარს საბარგო მატარებელი, რომელიც ბაქოდან თბილისში მოდიოდა, გიურაკჩაი-გერანის რაიონში გაწყდა და აცდა ლიანდაგს მატარებლის უკანა ნაწილი დაეჯახა წინა ნაწილს. სულ დამტვრეულია ერთი ცისტერნა, დაზიანებულია 12. (ადს).

ცეცხლი სამგზავრო მატარებელში

2 იანვარს სადგურ მოლითთან ბათომში მიმავალ სამგზავრო მატარებლის ერთ-ერთ რონოდში გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლი გაჩნდა სათბობ განყოფილებაში, მგზავრები პანიკამ შეიპყრო დაუყოვნებლივ მოხსნილ იქნა ის რონოდი, რომელშიაც ცეცხლი იყო გაჩენილი, რითაც შესაძლებელი გახდა ხანძარის ლიკვიდაცია. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

აზერბეიჯანის ხაზზე

3 იანვარს აღმოსავლეთის რკინის გზის ხაზზე გაემგზავრა ა.-კ. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამხ. ხაჩიევი და რწმუნებულის ინსპექტორები ინჟ. ხელთუფლიშვილი და სარაჯიშვილი. აზერბეიჯანის რკინის გზის ხაზზე გზის აგენტებს შორის ისინი ჩაატარებენ საუბარს და მოხსენებებს რკინის გზაზე უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველად.

დღეს ამავე მიზნით ბაქოში გაემგზავრება ა.-კ. გზათა სახალხო კომისარის რწმუნებული ამხ. შალვა ელიავა.

მიზნობრივი გადასახადი

მიმდინარე წელში მთელ საქართველოში მიზნობრივი გადასახადის სახით აიკრიფება 284.000 მანეთი. აქედან თბილისში — 200.000 მანეთი, ბათომში — 16.000 მანეთი, ქუთაისში — 27.000 მან., ფოთში — 7.000 მან., სოხუმში — 12.000 მან.; გორში — 5.000 მ., თელავში — 3.000 მან., ახალციხეში — 2.500 მან., სენაკში — 2.500 მ., ჭიათურაში — 7.000 მ., სიღნაღში — 500 მ., ცხინვალში — 1.000 მ.

დანარჩენი ქალაქები განთავისუფლებული არიან მიზნობრივი საბინაო გადასახადისაგან.

დროა გათავდეს ბოროტი თამაში

წითელ ჯარში

გასამხედროების ფრონტზე

(ქიზიყი)

ქიზიყში (სიღნაღის მაზრა) № ლეგიონის მიერ გახსნილია რვა სამხედრო კუთხე. კუთხეების გამგეებათ გამოყოფილნი არიან ყოფილი წითელარმიელები და ცვალებადნი.

ყოველ კუთხესთან ჩამოყალიბებულია სამხედრო საქმის შემსწავლელი წრეები, სადაც მოსახლეობა იძენს სამხედრო ცოდნას.

სამხედრო კუთხეებს გლეხობაში მოპოვებული აქვს დიდი ნდობა და სიყვარული. კუთხეები გადაიქცნენ მოსახლეობის გასამხედროების ცენტრათ, მათი შემწეობით ვრცელდება მოსახლეობის შორის სამხედრო ცოდნა და ტარდება მეცადინეობა ცვალებად წითელარმიელებთან.

სამხედრო კუთხეები მუშაობენ წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით. სისტემატიურად ტარდება საუბრები სამხედრო საქმის ირგვლივ; იმართება წიგნების და გაზეთების ხმამაღალი კითხვა საღამოობით, ეწყობა მოხსენებები, შეჯიბრი, სპორტიული უქმეები. ყველა საუბარს და კითხვას ესწრება მრავალი გლეხობა და ახალგაზრდობა. წრეებში ეწერებიან აგრეთვე ქალებიც.

ახალგაზრდობა მეტწილად ეტანება სასპორტო მუშაობას.

ზ.

—:—

წიგნი წვევამდე მზადებაზე

იანვრის შუა რიცხვებში დაიწყება სამხედრო წვევამდე მზადება 1905 და 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების. წვევამდე მზადება იწარმოებს საქართველოს ყველა კუთხეებში და ავტონომიურ ოლქებში.

№ ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილების მიერ გამოცემულია წიგნი სათაურით „რა არის სამხედრო წვევამდე მზადება“. წიგნის დანიშნულებაა გააცნოს მშრომელთა ფართო მასებს წვევამდე მზადების მიზნები და ამოცანები და აგრეთვე მისი ჩატარების წესი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის უახლოესი პერსპექტივები

მოდუნებულად დაიწყო საოპერო სეზონი. წინააღმდეგ წარსულ სეზონისა, საზოგადოება წელს რაღაც უგულოდ მოეკიდა ოპერის მოღვაწეობას. დადის ვიღაცას მიერ გავრცელებული ბოროტი ხმები, თითქოს მიმდინარე სეზონში სუსტი იყოს საოპერო დასის შემადგენლობა, რითაც აიხსნებოდეს საზოგადოების გულგრილობა საოპერო თეატრის მიმართ. მაგრამ, ცხადია, რომ ეს არ არის მიზეზი. საქმის ურიგოდ წარმოება — აი სად არის მიზეზი.

ბოლო დროს მდგომარეობა გამოსწორდა. უპირველეს ყოვლისა, საოპერო დასის რეორგანიზაცია მოხდა იმ დროს, როცა თბილისში ჩამოვიდა საოპერო დადგმათა მხატვრული მხარის გამგე — ანტონ ეიხენვალდი, რომელსაც დიდი ხანია თბილისში მოელოდენ, და საქმეც დღითი-დღე უმჯობესდება.

ამჟამად ადმინისტრაციისა და საოპერო დასის მსახიობთა (ყველას სახის) მიერ ურთიერთ დათმობის გზით მოწესრიგებულია საქმის ფინანსიური მხარე, შემცირებულია მსახიობთა ხელფასი და, აგრეთვე ადგილების ფასი, რაც საოპერო თეატრს ასე თუ ისე მისაწვდომს ხდის ფართო მასებისათვის. შემდეგ, გაუმჯობესებულია მხატვრული ნაწილი, რომელიც სავსებით ეიხენვალდის ხელშია. ჩაიკოვსკის ოპერა „მაზეპა“-ს სამაგალითო დადგმამ კვლავ აღადგინა ნდობა და სიმპატიები საქმის მხატვრული მხარის მიმართ. ეს ოპერა თვითეულ დადგმასთან ერთად სულ უფრო მრავალრიცხოვან აუდიტორიას იზიდავს. ეს მოწმობს იმას, რომ საქმის კეთილსინდისიერი და მოხერხებული წარმოება ოპერის ინტერესებსაც უზრუნველჰყოფს.

ეიხენვალდის მოღვაწეობის ერთ უდიდეს დადებით მხარეს წარმოადგენს დადგმის მხატვრული მიღწევები ყოველგვარი ხარჯის გაწევის გარეშე, გარდა ოპერის ყოველდღიური დადგმისათვის საჭირო და ჩვეულებრივად დაწესებულ ხარჯებისა. ასე, მაგალითად, ოპერა „მაზეპას“ განმეორებაზე არ დახარჯულა რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი თანხები, ხოლო ამ დადგმას კი შეეძლო კონკურენციის გაწევა ლენინგრადის მუსიკალური ოპერის დადგმებისათვის. ეიხენვალდის მიზანია — რაც შეიძლება რეალური ცხოვრების გადმოცემა სცენაზე და ჩვეულებრივ დახავსებულ საოპერო დადგმებისაგან თავის დაღწევა. და უნდა ვსთქვათ, რომ ოპერა „მაზეპა“-ში ეიხენვალდმა სცენაზე თავიდან ბოლომდე მიაღწია თავის მიზანს — ცხოვრების გადმოცემას რეალურ ფორმებში და ამასთან ერთად სცენისა და ორკესტრის კონტაქტს. საოპერო შემადგენლობა თავის უმეტესი ნაწილით ძლიერია და, რასაკვირველია, ასეთი ძალებით და ასეთი ორკესტრით შეიძლება მართლაც დადებითი ნაყოფის მიღება.

ეიხენვალდს განზრახული აქვს რამდენიმე ახალი დადგმა. პირველ რიგში განახლდება სენ-სანსის ოპერა „სამსონ და დალილა“, შემდეგ დებიუსის ოპერა „პელეას და მელისანდრა“, პუჩინის „ქალი ოქროვან დასავლეთიდან“, მისივე „პრინცესა ტურანდოტ“, ზუპპეს კომედიური ოპერა „ბოკაჩიო“ (უკანასკნელი ორი მარჯანიშვილის მხატვრული დამუშავებით). განახლებული იქნება მასენეს ოპერა „ვერტერი“, ვერდის „ტრუბადური“, ვაგნერის „ლოენგრინი“ და დაიდგმება ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის თაქთაქიშვილის ახალი ოპერა.

მოეწყობა მთელი რიგი გასტროლები, რომლებსაც დაიწყებს მსახიობი ინაშვილი; მოელიან მოცეკვავე ქალის კრიგერის ჩამოსვლას. გარდა ამისა ეიხენვალდის ხელმძღვანელობით გაიმართება მრავალი სიმფონიური კონცერტი ახალი პროგრამით (სიმფონიური ლიტერატურის ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ჯერ არ მოუსმენია თბილისს).

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ „ბატერფლაი“. დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ქ-ნი ბატერფლაი“.

◆ დუხოვსკაიას და ბიხტერის მეორე კონცერტი გაიმართება დღეს კონსერვატორიის დარბაზში.

◆ „არალეგალური სასტუმრო“. ს. შავგულიძემ დასწერა რევოლიუციონური მოთხრობა „არალეგალური სასტუმრო“. შინაარსი აღებულია ბაქოს გასაბჭოების მომენტიდან მოთხრობას ავტორი უძღვნის საქართველოს გასაბჭოების 6 წ. თავს.

◆ ცირკში დღეს სანახაობაა: „ინდოეთის აკლდამა“ ძმ. ტანტების მონაწილეობით.

◆ **ახალი წიგნი.** სახელგამის გამოცემა ამ მოკლე ხანში უშვებს პროლეტარულ პოეტის ალიო მაშაშვილის ლექსების მეორე წიგნს პლატონ ქიქოძის წინასიტყვაობით.

◆ „ჩვენი სტუმართმოყვარეობა“. ამ დღეებში თბილისის კინოებში დაიწყება ჩვენება „ჩვენი სტუმართმოყვარეობა“.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება თურქული წარმოდგენა.

ქრონიკა

6 იანვარი დასასვენებელი დღეა

შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით, ხვალინდელი დღე—6 იანვარი დასასვენებელი დღეა. დღეს 5 იანვარს სამუშაო დღე არ შემოკლდება.

ამხ. ს. ლორთქიფანიძის დანიშვნა

მეტრიულ სისტემის რეფორმის ჩამტარებელ საქართველოს საუწყებათაშორისო კომისიაში აჭარისტანიდან დაინიშნა აჭარმრეწველობის მმართველი ამხ. სულეიმან ლორთქიფანიძე.

სპეცების ხელფასი

საქართველოს პროფსაბჭომ აუცილებლად სცნო სპეცებთან დადებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებში ჩამოთვლილი იქნეს მათი ძირითადი მოვალეობანი, რაც არ უნდა საზღვრავდეს სპეციალისტებზე დამატებით დატვირთვას ან დავალების მიცემას.

არალიკვიდური ქონება

ამჟამად ს. მ. უ. ს. ტრესტების და შენაერთების განკარგულებაშია 167.096 მანეთის არალიკვიდური, ანუ გამოუსადეგარი ქონება, რომელიც უნდა იქნეს განაღდებული მარტის ბოლომდე.

არალიკვიდურ, ანუ გამოუსადეგარ ფონდების განაღდებლად შექმნილია სპეციალური ბიურო, რომელიც აწარმოებს ამ ქონების რეალიზაციას.

აგროდახმარება

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულმა აგროღონისძიებათა განყოფილებამ გადასწყვიტა უახლოესი ორი თვის განმავლობაში ჩაატაროს შემდეგი ხასიათის საშუალებები: ზრუნვა და ზომების მიღება ადგილებზე აგროკაბინეტების, სას.-სამ. ბიბლიოთეკების, მანქანა-იარაღების პუნქტების და სხ. მოსაწყობათ; შესაფერი კვალიფიკაციის სამუშაოთ და სხვა.

საბინაო მშენებლობა

მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დაამტკიცა საქართველოში საბინაო მშენებლობის 5 წლიანი გეგმა. გეგმის მიხედვით, უახლოეს 5 წლის განმავლობაში საქართველოში საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯება 73.570.000 მანეთი; აქედან ადგილობრივ საშუალებებიდან დაიხარჯება 21.800.000 მანეთი. ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან აღებული სესხის სახით 51.600.000 მანეთი.

მალიარიის საწინააღმდეგო ყრილობა

ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებით, 25—30 იანვრამდი თბილისში მოწვეული იქნება მალიარიის საწინააღმდეგო ამიერ-კავკასიის ყრილობა.

ყრილობაზე მოსმენილი იქნება მოხსენებები მალარიასთან ბრძოლის შესახებ საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში.

თათბირი

ა.-კ. ცაკმა დაადგინა მოიწვიოს 1-დან 5 თებერვლამდი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების, იუსტიციის სახალხო კომისართა და უზენაეს სასამართლოების თავმჯდომარეთა თათბირი.

თბ. ალმასკომში

◆ **ზოოლოგიური ბაღის** მოსაწყობათ წინასწარი ხარჯებისათვის გადაიდო 4.600 მანეთი. ბაღი მოეწყობა ვერის პარკში.

◆ **ლენინის სახელობის საალმშენებლო** საზ-ბას სესხად მიეცა 2 ათასი მანეთი.

◆ **ახალი საბინაო ამხ-ბა.** ალმასკომმა დაამტკიცა ახალი საბინაო-საიჯარო ამხ-ბა სად გურის ქ., № 19.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **მწყემსების და მენახირეების** შრომის პირობების შესახებ კომისარიატმა დაამტკიცა ახალი წესები.

◆ **მუშათა ბინები.** შრ. კომისარიატმა გადასდო 602 მანეთი თბილისის და ბათომის მუშათა ბინების შესაკეთებლად.

◆ **შრომის რწმუნებულები.** კომისარიატმა დაადგინა შეადგინოს იმ მაზრების სია, სადაც დაარსდება შრომის რწმუნებულთა თანამდებობები.

◆ **შრომის ინსპექტორად** თელავის მაზრაში დაინიშნა ამხ. არუთინოვი.

სოცუზრუნველყოფის კომისარიატში

◆ **ახალი ნადი.** სოფ. ახმეტში შესდგა ნადი „ვაზის მეგობარი", სათემო გლეხკომმა ნადს სესხად მისცა 2.000 მ.

◆ **კოოპერატივის წევრებად** სოფ. შაშიანის (თელავის მაზრა) გლეხკომმა თავის ხარჯით ჩასწერა 180 ღარიბესი გლეხი.

◆ **გლეხკომები.** ამჟამად თელავის მაზრაში არსებობს 25 გლეხკომი.

◆ **ტრაქტორები.** თელავის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა გლეხკომებისათვის შეიძინოს 3-4 ტრაქტორი.

შინამრეწველობა

◆ **ახალი სახლი.** ხელოსანთა და შინამრეწველთა კავშირმა გადასწყვიტა აგოს ახალი შენობა.

◆ **შინამრეწველობის გაძლიერების მიზნით** ამავე კავშირმა აღძრა შუამდგომლობა უმაღლესი ხელისუფლების წინაშე გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ სახელმწიფო, კომუნალურ და სასოფლო-სამეურნეო ბანკებიდან.

◆ **ხელოსანთა შინამრეწველთა** კავშირის წევრთა რიცხვი 1 იანვრამდე აღწევდა 4.000 კაცს.

განათლების კომისარიატში

◆ **ქრესტომატია.** პროფგანათლების მთავარმმართველობამ მიიღო გამოსაცემად მუშფაკებისათვის ა. იოვინის და ა. კანდელაკის მიერ შედგენილი ქართული ქრესტომატია.

◆ **ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს** მორიგი პლენარული სხდომა გაიხსნება 10 იანვარს, დღით ორშაბათს.

◆ **საერთო განათლების კურსები მოზრდილთათვის.** პროფგანათლების მთავარმმართველობის კოლეგიის დადგენილებით 1-ლი და მე-2 საღამოს ტეხნიკუმები გადაკეთებული იქნა საერთო განათლების საღამოს კურსებად მოზრდილთათვის.

◆ **ხონის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმისათვის** პროფგანათლების მთავარმმართველობამ გადასწყვიტა შეიძინოს ფიზიკური კაბინეტი და ჩარხები.

◆ **საანგარიშო კურსები.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირს ნება დაერთო თბილისში გახსნას მოკლე ვადიანი საანგარიშო კურსები თავის წევრებისათვის.

◆ **ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმთან** მომავალი სასწავლო წლიდან განსახკომის დადგენილებით მოეწყობა ელექტრო-სადგური პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად.

სხვადასხვა

თამბაქო. სახელმწიფო ვაჭრობა შეუდგა თამბაქოს დამზადებას მთელ ამიერ-კავკასიაში საზღვარგარეთ გასატანად.

◆ **ბამბის გადაზიდვა.** ა.-კავკასიიდან რუსეთში გადასაზიდად ბამბაზე დაკლებულია საგზაო ნიხრი 10 პროცენტით.

◆ **ტყეების მოწყობა.** მიწათმოქმ. სახ. კომისარიატი გაზაფხულზე შეუდგება გლეხებზე გადაცემულ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოწყობას.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** მეცნიერი-პედაგოგი ზელინსკი 6 იანვარს, საღამოს 7 ს. წაიკითხავს ლექციას: „ამერიკა და სახალხო სკოლები".

სასამართლო

თავდამსხმელები

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნული იყო თეოფანე ელიზბარის ძის ჯიქიას, ვლადიმერ და გრიგოლ ევნატეს ძე ჯიქიების საქმე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა გაძარცვის მიზნით.

1925 წ. 11 დეკემბერს, დაახლოებით 7—8 საათზე მოქ. გიორგი შაროვი თავისი ცოლით და 16 წლის ქალიშვილით ისხდა საკუთარ სახლში ბუხრის წინ. ამ დროს კარების გატეხის საშუალებით მათთან ოთახში შეიჭრა ვიღაც უცნობი ახალგაზრდა და სიკვდილის მუქარით მოინდომა შაროვის ოჯახობის გაძარცვა. ქალებმა კივილი მორთეს, ხოლო შაროვი ეტაკა ახალგაზრდა გამძარცველს და აართვა რევოლვერი. ბოლოს უცნობმა მოახერხა შაროვის ხელიდან გასხლტომა და გაიპარა.

შაროვმა ხელში ჩაიგდო გამძარცველის ქუდი.

გაქცეულ ახალგაზრდას შაროვმა თვალი გაადევნა ფანჯრიდან და მიუხედავათ იმისა, რომ სიბნელე იყო შეამჩნია, რომ გაქცეულს გარდა ორი ბოროტმოქმედი ღებულობდენ მონაწილეობას მის გაძარცვაში; ისინი გარეთ იცდიდენ.

ამ საქმის გამო სისხლის სამართლის მილიციამ ეჭვით დააპატიმრა პეტრე (ბუჯუ) ჯიქია.

ს. ს. მილიციაში დაპირისპირების დროს შაროვმა განაცხადა, რომ პეტრე ჯიქია შეიარაღებული თავს დაესხა მის (შაროვის) ოჯახობას გაძარცვის მიზნით.

ამის გამო პეტრე ჯიქია პასუხისგებაში მისცეს.

პეტრე ჯიქიას ძმა ანტონი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ძისი ძმა ასეთ ბოროტმოქმედებას არ ჩაიდენდა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შაროვი ჯიქიას ხელს ადებდა მიმზგავსებით.

პეტრე ჯიქიას მახლობლად სცხოვრობდა თეოფანე ჯიქია, რომელიც სახებით ჰგავდა მას. (პ. ჯიქიას).

სინამდვილის გამოსარკვევად ანტონ ჯიქია მივიდა თეოფანე ჯიქიასთან. აუხსნა საქმის ვითარება და დასძინა, რომ პეტრე ჯიქია სრულიად უდანაშაულოა. განუმარტა, აგრეთვე, რომ მას სმენია, რომ შაროვის გაძარცვა მოწყობილია თვით თეოფანე ჯიქიას მიერ.

თეოფანე ჯიქიამ ცოტა ყოყმანის შემდეგ თავი დამნაშავეთ სცნო და განაცხადა, რომ პეტრე ჯიქიას არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

ამჟამად ამ საქმეზე პასუხისგებაშია მიცემული თეოფანე, ვლადიმერ და გრიგოლ ჯიქიები.

საქმის გარჩევა გადაიდო სხვა დღისათვის.

სიყალბე

გუშინდელ სხდომაზე ლავრენტი ხვანძის საქმეზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა. შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

შემთხვევა სასადილო „იმედში"

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნული იყო ზამიდ კანკოევის საქმე.

კანკოევს ბრალდება მოქ. მუსტაფა კალიევის მოკვლა.

ამა წლის 6 აპრილს, კანკოევი შევიდა სასადილო „იმედში", რომ ესადილა. სადილის შემდეგ, მან დაიწყო ქეიფი ამხანაგებთან ერთად, რომელთა რიცხვში იყო კალიევი. შეზარხოშების შემდეგ კანკოევი და კალიევი წაეკიდნენ. კანკოევმა ხანჯლით რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა კალიევს. მიღებული ჭრილობებისაგან ის გარდაიცვალა.

საქმის გარჩევა გადაიდო შემდეგისათვის.

ნ. ი. ტოტიევის მკვლელების საქმე

დუშეთი, 4 იანვარი. აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ გაარჩია ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო ალმასკომის წევრის ტოტიევის მკვლელობის საქმე.

მკვლელობაში ბრალი ედებათ ი. ნ. წიკლაურს, ლ. ს. ჩოფიკაშვილს და ი. დ. ბაზალის. სასამართლომ დამტკიცებულად სცნო, რომ 1926 წ. 17 აგვისტოს საქართველოს სამხედრო გზაზე, სოფ. სიონის ახლო, წიკლაური, ჩოფიკაშვილი და ბაზალი, წინასწარი შედგენილი გეგმის თანახმად თავს დაესხნენ ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო ალმასკომის წევრს ნ. ტოტიევს, რომელსაც წაართვეს 5.000 მანეთი და შემდეგ ხანჯლით მოკლეს იგი.

ბრალდებულებს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა (ადს).

შემთხვევები

◆ **ქურდის მოკვლა.** 29 დეკემბერს, ღამით სახალხო მამულში ნამყოფი ვაზის მოპარვის დროს თოფით მოკლეს აბარია სირბილაშვილი.

◆ **ხანძარი.** 3 იანვარს, ლენინის ქ., № 83, ამზარცუმ გუგუნავას სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით.

◆ ამავე დღეს მე-2 სამილიციო რაიონში მარიამ ისრაილოვის ბინის დერეფანზე დაწყობილ შეშას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ **ბანდიტის მოკვლა.** ყარაიაზის სამილიციო ფარგლებში სოფ. უნაბრომში, ხანგრძლივი სროლის შემდეგ ადგილობრივი მილიციის მიერ მოკლულ იქნა ბანდიტი აღილ გულ მალი-ოღლი და შეპყრობილი მეორე ბანდიტი სოინ ფაშა-ოღლი. მასთან ერთად შეპყრობილი არიან კიდევ რამდენიმე ყაჩაღი.

◆ **თავის მოწამვლა.** 3 იანვარს, ელისაბედის ქ., № 108, მოქ. ელენე ებრალიძემ ნაშადურის სპირტით მოიწამლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **მცირეწლოვანი ქურდი.** 3 იანვარს ქურდობისათვის დააპატიმრეს მცირეწლოვანი ნიკოლოზ არმენაკისძე ისრაელიანცი.

◆ **გაძარცვა.** 2 იანვარს რიყეში გაძარცვეს ანდრო ბედნიკოვი, რომელსაც სიკვდილის მუქარის ქვეშ წაართვეს 290 მ. მიღებული ზომებით შეპყრობილი იქნენ მიხეილ პავლესძე სამურდოვი და გრიგოლ სიმონისძე პერიასლავცევი, რომლებიც დანაშაულში გამოტყდენ.

◆ **ჯიბგირობა.** 3 იან. პუშკინის ბაღთან ანა ბეზგოდკოვას ჯიბიდან ამოაცალეს 26 მ.

◆ **სამიკიტნოში ღვინის დალევის დროს** 3 იან. ევგენი დავითულიანცს მოპარეს ბაზარში გასასყიდათ წამოღებული 20 წყვილი წუღა.

◆ **კარების გატეხვის საშუალებით** 1 იანვ. გაქურდეს ალექსი გეჯაძეს ბინა (კრილოვის ქ. № 10).

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** ნიკოლოზის ქ. № 112 დავით ჯაფარიძის ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები და 200 მ. ტანისამოსი.

◆ **კარების შენგრევის საშუალებით** 1 იანვ. საგურამოს ქ. № 21 გაქურდეს ანნა კაზიანის ბინა

◆ **31 დეკემბერს ღამით ფანჯრიდან შესვლის საშუალებით** გაქურდეს აბგარ ოსეფიანცის ბინა (ავლაბრის ქ. № 21). წაღებულია 150 მან. ნივთები.

◆ **სოფ. სოღანლუღში** უცნობის მიერ თოფით დაჭრილი იქნა ქირიამ რახიმ ოღლი.

◆ ამავე საშუალებით მალაკნის ქ. № 54 გაქურდეს ილია ადეიშვილის ბინა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული თათბირი

— ს. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს დადგენილებით, 15 იანვარს მოწვეულია ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის, სამაზრო და საოლქო კომიტეტების და თბილისის რაიკომების აგიტპროპთა გამგეების თათბირი.

დღის წესრიგი:

მოხსენებები ადგილებიდან (აჭარისტანი, აფხაზეთი, სამ. ოსეთი, ახალქალაქი, თელავი და რაჭა). საგიტ.-საპროპ. მუშაობის მორიგი ამოცანები (მოხ. ცეკას აგიტპროპი) საპოლიტ-განმანათლებლო მუშაობის შესახებ — პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო. ანტირელიგიური მუშაობის შესახებ — ცეკას აგიტპროპი. სოფლად პოლიტგანათლების საკითხები — ცეკას აგიტპროპი. თვითგანვითარების შესახებ — ცეკას აგიტპროპი, უჯრედის საგიტ.-საპროპ. მუშაობის შესახებ — მოხ. თბილისის კომიტეტის აგიტპროპი და ქუთაისის სამაზრო კომიტეტის აგიტპროპი. ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ — ცეკას აგიტპროპი. [illegible] მუშაობის შესახებ — ცეკას აგიტპროპი.

მომხსენებლებმა უნდა წარმოადგინონ ცეკას აგიტპროპში თავიანთი მოხსენების თეზისები არა უგვიანეს ა.-წ. 8 იანვრისა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 5 იანვარს, დანიშნული საუჯრედო კრება (გაზეთებში გამოცხადებული იყო ა.-წ. 4 იანვარს) შესდგება პარასკევს, 1927 წლის 7 იანვარს.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს 1927 წლის 7 იანვარს პარტიულ დღეს უჯრედებში ჩატარებულ იქნება მეხუთმეტე კონფერენციის მიერ ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციის დამუშავება შემდეგი წესით:

1) ტრამვაის უჯრედი. ამხ. ლისოვსკი, 2) ელექტრონების უჯრედი—ამხ. სტელმახი, 3) 26 კომუნართა ქარხნის უჯრედი—ამხ. ასრიბეკოვი, 4) სპილენძის ქარხნის უჯრედი—ამხ. პრეობრაჟენსკი, 5) არსენალის უჯრედი—ამხ. მაშკევიჩი, 6) მექანიკურ სარემონტო ქარხნის უჯრედი—ამხ. ბირიუკოვი, 7) წყალსადენის სახელოსნოს უჯრედი—ამხ. ნარიმაშვილი, 8) „ზაკავტოპრომტორგის" უჯრედი—ამხ. ხაცკევიჩი, 9) მუშკოოპის უჯრედი—ამხ. ფანცხავა, 10) როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბ. ქარხნის უჯრედი—ამხ. ბაბაჯანოვი, 11) თამბაქოს ქარხნის „პროლეტარი"-ს უჯრედი—ამხ. პევცოვი, 12) მესამე საქარხნო კომიტეტის უჯრედი—ამხ. შახნაზაროვი, 13) ტყის სახერხი ქარხნის უჯრედი—ამხ. შავერდოვი ს., 14) საკარტონო ფაბრიკის უჯრედი—ამხ. სოსიანი, 15) „გრუზშვეიპრომ"-ის უჯრედი—ამხ. პოდოლსკი, 16) სანიტ.-ტეხნიკურ სამმართველოს უჯრედი—ამხ. შავერდოვი, 17) სახკინმრეწვის უჯრედი—ამხ. არუსტამოვი, 18) მეტყევეთა უჯრედი—ამხ. ბენიამანი, 19) მუშკოოპის ტრანსპორტის უჯრედი—ამხ. მოლოტნიკოვი, 20) სახელმწიფო სპირტის სამმართველოს და ლუდის სახდელ ქარხნის უჯრედი—ამხ. მელი, 21) ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის უჯრედი—ამხ. პიჩიკიანი, 22) სახმედავაჭის უჯრედი—ამხ. კამალოვი, 23) ცეკავშირის უჯრედი—ამხ. ნაფეტვარიძე, 24) მთავარ საავთმყოფოს უჯრედი—ამხ. ფრანგულიანი, 25) მკერავთა კოლექტივის უჯრედი—ამხ. საკოლინსკაია, 26) ს. მ. უ. საბჭოს უჯრედი—ამხ. ცვაკოვი, 27) ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის უჯრედი—ამხ. ბეჟანოვი, 28) თვითმშრომელთა უჯრედი—ამხ. ნასარიძე, 29) განათლების მუშაკთა უჯრედი—ამხ. ხრისტოლიუბოვი, 30) დამზღვევ სალაროს უჯრედი—ამხ. ცომაია, 31) ტრამვაის ელექტრო - სადგურის უჯრედი—ამხ. სირაძე, 32) პურის მცხობელთა უჯრედი— ამხ კოლოსოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 5 იანვარს 1927 წელს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია მეთოდიური პროპაგანდის ბიუროს სხდომა.

სავალდებულოა ამხ. ნარჩემაშვილის, ზერიაზინის, ველიძის, პრეობრაჟენსკის, ცხაკაიას, მელკუევის, არუტინოვის და შაროიანის დასწრება.

— საქ. კომ. პარტიის ც. ს. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ალექსანდრე ფოლიძეს გამოცხადდეს ც. ს. კომისიაში. (რუსთაველის პრ., 24).

— ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა № 24 კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ პარასკევს, 7 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-5 პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპ., № 166) შესდგება კომუჯრედის დახურული სხდომა.

— ლენრაიონის მ. გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება აცნობებს ყველა ქალთა-ორგანიზატორებს, რომ ქართული წრის მეცადინეობა ოთხშაბათის მაგიერ გადატანილია ხუთშაბათისათვის 6 იანვარს 1927 წ. პლეხანოვის სახ. კლუბის ქალთა-კუთხეში, რუსული წრის კი — „დტკ"-ი კლუბში ამავე დღეს.

— ს. კ. პ. ლენრაიკომის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილება ატყობინებს ლენრაიონის ყველა მუშკორებს, რომ ოთხშაბათს 5 იანვარს, საღამოს 6 სათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბის სალექციო დარბაზში შესდგება მუშკორების რაიონული კონფერენცია, რომელზედაც სასურველია დაესწრონ უჯრედის ყველა აგიტ-კომისიის წევრები და მდივნები. დღის წესრიგი: 1. მუშკორების საქალაქო კონფერენციის შედეგების და კედლის გაზეთის რედკოლეგიის ამოცანების შესახებ.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ რაიკომთან არსებულ ლენინის წრეული კაბინეტი ღიაა ყოველდღე, გარდა პარასკევისა საღამოს 5 საათიდან 10 ნახ. საათამდე.

— საქ. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ბარნაბ არონიშს, რათა სამი დღის ვადაში გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული).

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას იძლევა 3 დღის ვადაში რაიკომის საღრიცხვო ქვეგანყოფილებაში ამხ. ეგოროვთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: 1. მამუკიანი არამი, 2. მკრტიჩიანი ალექსანდრე, 3. ხმოსტოვი ალექსი, 4. პეტროვი პეტრე, 5. ჯლანჯლავა მარიამი, 6 აკიმოვი სტეფანე, 7. მირიმანოვი ბორისი, 8. ქუთათელაძე პეტრე, 9. ვასილიევი პეტრე, 10 ცაგურია ბიქტორი, 11. გორგასლიძე (უჯრ. № 40) 12. მელაძე ილო, 13. მათიევი ბაგრატი, 14. ახრიევი სერგო, 15. ტყეშელაშვილი არტემი, 16 პეტროსიანი არუსიაკი, 17. ტერ-სტეფანოვი ივანე, 18. პოლოსოვი არმენაკი, 19. გერასიმაშვილი იაკობი, 20. ბაქრაძე ანდრო.

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ 1927 წლის 7 იანვარს დილის 9 საათზე თბილისის ალმასკომის დარბაზში გაიმართება თემკომების მდივანთა თათბირი, სასოფლო უჯრედების იმ წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც არჩეული არიან თბილისის მე-7 სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციისათვის.

დღის წესრიგშია: 1) პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. 2) საბჭოების ხელარჩევის შესახებ, 3) ღარიბებთა შორის მუშაობის შესახებ და 4) პარტგანათლების შესახებ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 65

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2-სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა: სააქციონერო საზოგადოება (სააქციო ამხანაგობა), რომელშიაც მონაწილეობს როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალი, ეთანხმება სახელმწიფო საწარმოს მით, რომ მისი პრეტენზია იმავე რიგობით უნდა იქნეს მოვალეთა ქონებიდან დაკმაყოფილებული, როგორც სახელმწიფო საწარმოს პრეტენზია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— **ს. თოდრია.**

1926 წ. თბილისი—სასახლე.

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა ივანე გრიგოლის-ძე მეუღლეთი ეკატერინე და შვილი ელენეთი, და ეკატერინე ლოლაშვილისა შვილებით: ილია და ანათი, ძმისწული ნინა როველიაშვილისა შვილებით: მარიამ და გოგია, სიძე მოსე ლუარსაბის-ძე არეშიძე მეუღლე მარიამით, შვილებით: ალექსანდრე, შალვა, ვახტანგი, ოლია და სიძეთი ვასილი მიხეილის-ძე ქუნთელია მეუღლეთ თამარით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობით 2 იანვარს, ღამით გარდაიცვალა ყველასათვის კეთილი და საყვარელი, მთავარ სახელოსნოს მუშა

ნიკოლოზ გრიგოლის-ძე გოგინაშვილი

გამოსვენება და დაკრძალვა 5 იანვარს, ოთხშაბათს, (ხუდადოვის ქუჩ. № 14), კუკიის სასაფლაოზე. 1148

ღრმად და წუხრებულნი: მეუღლე ნინო სოლომონის ასული, ცოლის ძმა ალექსანდრე კარუმიძე, მეუღლე ანა შვილებით ცოლისდა ნადეჟდა ქმრით ისაკით, ცოლის დისწულები: ელენე კაპანაძე მეუღლე ვასოთი და თამარა მთვრალაშვილი, მეუღლე ივანეთი, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობით გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და ყველასათვის ერთგული, მთავარ სახელოსნოს მუშა

ნიკოლოზ გრიგოლის-ძე გოგინაშვილი

გამოსვენება და დაკრძალვა 5 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე (ხუდადოვის ქუჩა № 14, ლენინის უბანი) კუკიის სასაფლაოზე. 1148

ღრმად დამწუხრებულნი ძმა—კბილის ექიმი ალექსანდრე სოლოლაშვილი შვილებით, ძმისწულები ლიდა, ოლია, თამარა, ლადო, შალიკო და სოსო სოლოლაშვილები, ნინა და ალექსანდრე მიხაილოვები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს

დარია გრიგოლის ასულის ჯალათაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 7 საათზე, გამოსვენება 6 იანვარს დილის 10 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში—რუსთაველის პრ. № 12-დან დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 1146

„კომუნისტი"
დიდი პოლიტიკური გაზეთი
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო
1927 წლისათვის—მიიღება ხელისმოწერა—1927 წლისათვის
გაზეთი ეღირება
მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	7 "	6—70
2 "	2 "	8 "	7—65
3 "	2—90	9 "	8—60
4 "	3—85	10 "	9—55
5 "	4—80	11 "	10—50
6 "	5—75	ერთი წლით	11 მან. 50 კ.

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით.	1—30	7 "	8—80
2 "	2—60	8 "	10—00
3 "	3—80	9 "	11—30
4 "	5—00	10 "	12—60
5 "	6—25	11 "	13—80
6 "	7—55	ერთი წლით	15 მან.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში
1 თვით 1 მან. 50 კ.
1 წლით 18 მან.

საზღვარ-გარეთ
1 თვით 1 ნახ. დოლ.
3 " 4 "
6 თვით 8 "
1 წლით 16 "

სახელმწიფო დრამა
ხუთშაბათს, 6 იანვარს. პრემიერა. ფრიდრიხ შილლერის.
ვილჰელმ ტელ
დრამა 10 სურ. თარგ. გურ. ს. შანშიაშვილის
მუსიკა: ჯიაკომი როსსინის. დადგმა: დ. ანთაძის. მხატვარი: ირ. გამრეკელი. დირიჟორი: ალ. გველესიანი. რეჟისორის თანაშემწე: არ. ჩხარტიშვილი. პანტომიმის დადგმა: ს. სერგეევის.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
4—1 ნ. 425

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 5 იანვარს ქ-ნი ბატერფლეი
მონაწილ.: სპრიშევსკაია, ვოლჩანეცკაია, კანსბურგი, ვენაძე. დირიჟორობს დამს. არტისტი სტოლერმანი.
ხუთშაბათს, 6 იანვარს, დაისი
პარასკევს, 7 იანვარს პრემიერა (აბონემენტის გარეშე)
მეფის საცოლე
ნ. 436

ცირკი ძმ. ტანტების
ს. ს. ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელ.
დღეს, 5 იანვარს
ახალი დადგმები და ასტროლეგი
3 ვრცელი განყოფ. 14 ნომრით. მხოლოდ ორი დღე. პაროდია ინდოელ ფაკირებისა და ბრამინების. ლეო ტანტი. ინდოეთის აკლდამა.
იოგის სასწაულთა და საშინელებათა ღამე.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე. დაწვრილებით აფიშებში.
ანონსი: ამ დღეებში ფრიად მარიონის საზღვარგარეთული ატრაქციონი.
ადმინ. ხელმძღ. მ. ი. ტ ა დ ე.
ნ. 427 2—2

მუშათა თეატრი (ყოფ. სახალხო სახლი)
ქართული დრამა.
ოთხშაბათი, 5 იანვარი
მეორედ
პ ა რ ი ზ ი
დადგმა მიხ. ქორელის.
1141

აპოლო
არფასიო
სოლეი
დარბაზი
საუკეთესო სურათი ჰო ან არა?
მთავარ როლში ლუიზა ვილსონი
ანონსი: ამ დღეებში „უკანასკნელი გაქცევა"
მხატვრული სურათი სიკვდილის ადგილი
ანონსი: ამ დღეებში: „დიდი ჰერცოგის ფინანსები" გარრი ლიდტკეს მონაწილეობით.
სენსაციური სურათი მისს-მენდ მე- -რე სერია
ამერიკული სურათი
სტენლეი აფრიკის ტყეებში
3 და 4 სერია ერთად
ანონსი: მზადდება „ჩვენი სტუმართმოყვარეობა"
10—23 ნ. 419

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტი

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, ვინც მიიღო ნისიათ საქონელი, რომ

დავალიანების დაფარვის უკანასკნელი ვადა დანიშნულია 1927 წლის 15 იანვრამდე, რომელ დროის შემდეგ მიღებული იქნება გადამწყვეტი ზომები დავალიანების იძულებითი წესით განაღდებლად.

ნ. 437

ალმასკომის 1-ლი საბჭოთა სახლის

„ოტელ პალასის" (ყოფ. სასახლის სასტუმრო) შენობაში იძლევა იჯარით დარბაზის ნაწილი „შ ძა ჩაის" გასამართავათ.

საჯარო ვაჭრობა

ამის შესახებ მოხდება ამავე შენობაში პარასკევს, მიმდინარე იანვრის 7-ს დილის 12 საათზე. პირობებზე ცნობების მიღება შეიძლება მოხსენებულ სასტუმროს კანტორაში. პუშკინის ქ. № 4 ელსმენის № 9—13 და 5—12.ონ 441

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

გამოვიდა და იყიდება
მეოთხე შევსებული გამოცემით
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 9 იანვარს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 442

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში თბილისის ქუჩის 2 რე შესახვევში სახლი № 39 დანიშნულია 14 იანვარს 1927 წ. დღით 12 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობა** შალვა დავითის-ძე ბექუაშვილის ერთი ერთ სართულიანი ქვეშ სარდაფიანი პალატით ქვითკირის შენობის. შემდგარის ოთხი საცხოვრებელი ოთახისაგან და ერთი თვალი დერეფანისაგან, ბინა შეფასებულია 1500 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან სახოგადოება „ტრანსპორტის" პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. შენობის შეფასების საწინდარი. ნ. 439

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ლენინის ქუჩის შესახვევში, ბეჟანეიშვილის სახლში დანიშნულია 24 იანვარს 1927 წ. დილის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ვასილ და ანა ბეჟანეიშვილების სახლის მორთულობის—შკაფების, სკამების. მაგიდების, საკერავი მანქანის და სხვა, შეფასებულის 84 მან. და ანა ბეჟანეიშვილის შენობის მდებარე იმავე ქუჩის შესახვევში—ორ სართულიანი სახლზე.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ვალერიან გაჩეჩილაძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ; ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 439

ქ ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს რომ 24 იანვარს 1927 წლისა დილის 10 საათზე ადგილობ სოფ. ფარცხანაყანებში სერაპიონ დარისპანის ძე ფხაკაძის ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა:** გაიყიდება ხსენებული სერაპიონ ფხაკაძის აწერილი 5 სექტემბერს 1926 წელსა გადასატანად უფლება ერთ მეექვსედ ნაწილზე: 1) ერთი მუხის ხის საცხოვრებელი სახლისა დაფას. 300 მან., 2) ერთი ხის სამზარეულოსი, დაფას. 40 მან., 3) ერთი ხის ბეღლის—დაფას. 15 მან. და 4) ერთი საქონლის საბამის ხის სახლისა, დაფას. 30 მან., მისი შვილის გერონტი ფხაკაძის სამ წლის საზრდოს 396 მან. სასამართლოს და საქ. საწარ. 55 მანეთ. 48 კაპ. დასაკმაყოფილებლად. ქონება გაიყიდება ცალცალკე შეფასებული თანხიდან. მყიდველმა უნდა იქონიოს საწინდარი 10 პროც. ნ. 439

ექიმი
ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1
ქვ. 788

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ
ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი შ უ ხ მ ა ნ ი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
დიდი ვანქის ქ. № 6.
სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 2 —

ექიმი ა. დ. შახბაზიან
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუქბაძის ქ. 30 (ყოფილი ვოლიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი
ნ. ხეჩინოვი
დაბრუნდა რუსეთიდან ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღებ .

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02 25—

მ დიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. 25—1

დავკარგე პარტიის პირადი ფურცლები—ათი გვერდი № 31, მიღებული დუშეთის მაზრის პარტკომიდან დავით ილიკოსძე იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1152

დავკარგე დროებითი მოწმობა № 36, მიღებული თბილისის ქალაქის ბანკის სიღნაღის განყოფილების მიერ ერთი აქციის ღირებულების ანგარიშში, შეტანილი ოცი მანეთათ სანდრო იოსებისძე მესტიაშვილის სახელზე. ჩ. გ. ნ. 490

დავკარგე დაზღვევის და უმუშევრობის წიგნაკი № 4826 ლევანი გრიგოლისძე ქუშაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1152

დავკარგე ს. ბჭ. და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 13908, ვაც. თბ. ცენტრ. გამგეობის მიერ დავით ივანესძე ცაგარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1153

დავკარგე ატესტატი, მოცემული ქუთაისის სოციალურ-ჰუმანურ ტეხნიკუმის მიერ და პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ვლადიმერ ვასილისძე ცხომელიძეს სახელზე, ჩ. გ 1151

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 2065 ნიკოლოზ შარვაშიძის სახელზე. ჩ. გ. ნ. 439

დავკარგე „ზაკტიპოს" საწევრო წიგნაკი № 31436 კოწია სისოსძე სირბილაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 439

დავკარგე პირადობის მოწმობა ვერა იაგორის ასული ბაცაძეს სახელზე, ჩ. გ. 1144

დავკარგე პარტბილეთი № 490.392 ნიკოლოზ ბეჟანოვის სახელზე, ჩ. გ. 1150

დავკარგე საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი გიორგი დიმიტრისძე ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 1145

დავკარგე მედსანშრომის კავშირის წიგნ. № 569 მიხეილ ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 1147

დავკარგე უვადო პასპორტი მოცემული მიწათმოქმედ. სახალხო კომისარიატიდან, სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 56, კავშირის წიგნაკი, მთლიანი მუშათა კოოპერატივის წიგნაკი № 16—191 და სხვა მოწმობები მიხეილ სტეფანესძე გელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1149

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.